აბესალომ ტულუში

ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან



გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი

რედაქტორი
როინ მეტრეველი

წიგნი იბეჭდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის
ალექსანდრე ქობალიას მატერიალური მხარდაჭერით

ISBN 978-9941-421-88-4

© გია ტუღუში, 2012.
© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2012.

რედაქტორისაგან

წინამდებარე „ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან“ შეიცავს საინტერესო მასალას საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის – სამეგრელოს მნიშვნელოვანი ქალაქის ზუგდიდის შესახებ. ავტორი აწ განსვენებული ისტორიკოსი, არაერთი სამეცნიერო შრომის შემქმნელი აბესალომ ტულუშია. ამ ნარკვევის ზოგიერთი მონაკვეთი გაზეთ „მებრძოლში“ დაიბეჭდა.

წიგნი გვაძლევს ინფორმაციას ზუგდიდის ეტიმოლოგიის შესახებ. განიხილავს რა სხვადასხვა მოსაზრებებს აღნიშნული საკითხის ირგვლივ, ა. ტულუში მიიჩნევს, რომ სახელწოდება იმ ადგილის გამო უნდა მიეღო, სადაც თავდაპირველად იყო გაშენებული. ავტორი ასკვნის, რომ ძველი ზუგდიდი მაცხოვრის (მაცხვარკარის) გორაზე მდებარეობდა.

„ნარკვევებში“ მიმოხილულია ვაჭრობა და ხელოსნობა 1804-1867 წლების ზუგდიდში. ხაზია გასმული იმ გარემოებაზე, რომ ქალაქის ირგვლივ სავაჭრო ცენტრები შეიქმნა. მნიშვნელოვანი იყო, რომ სამეგრელოს სამთავროში განვითარების მიზნით 1818 წელს შეიქმნა „სამეგრელოს სავაჭრო კომპანია“. ვაჭრობა გამოცოცხლდა ყულევსა და ანაკლიაში, რამაც დადებითად იმოქმედა ვაჭრობის განვითარებაზე მთელ სამეგრელოში, განსაკუთრებით ზუგდიდში. აქ საკუთარი დუქნები ჰქონდა სამეგრელოს მთავარს. 1820 წელს ზუგდიდში 20 ვაჭარი და ხელოსანი იყო. ქალაქში ვაჭრობის დაწინაურებას XX საუკუნის 30-იან წლებში ხელი შეუწყო ყულევ-ზუგდიდის, ზუგდიდ-სვანეთის, ზუგდიდ-სოხუმისა და ზუგდიდ-ანაკლიის გზების შეკეთებამ.

ზუგდიდელ ვაჭრებს XX საუკუნეში ურთიერთობა ჰქონდათ სტამბოლის, ტრაპიზონისა და ყირიმის კოლეგებთან. ვაჭართა ნაწილი საგრძნობლად გამდიდრდა. ზუგდიდში ებრაელი ვაჭრებიც იყვნენ. ირკვევა, რომ 1840 წელს ზუგდიდში, გარდა ადგილობრივებისა (ასეთი

120 იყო) 20 თურქი და 15 ბერძენი ვაჭარი იყო. ნიშანდობლივია, რომ ზუგდიდში ხელოსნობის დარგებიც (ოქრომჭედლობა, მეუნაგირეობა და სხვ.) განვითარდა.

„ნარკვევებში" ყურადღება გამახვილებულია იმ გარემოებაზე, რომ იყო ცდა ზუგდიდისთვის გრიგორიოპოლისის დარქმევისა. თუმცა შემოთავაზებული სახელწოდება ვერ დამკვიდრდა. ოფიციალურად ზუგდიდი ქალაქად 1917 წელს აღიარეს.

ა. ტულუში გვაძლევს მასალას ზუგდიდისა და ზუგდიდის მაზრის მართვის შესახებ XIX საუკუნეში და XX საუკუნის დამდეგს, აზუსტებს ზუგდიდის მდივანბეგთა (თეიმურაზ აღიაშვილი, კაცია ჩიჩუა, დუტუ დადიანი, ნიკო დადიანი) სიას. ცალკე ჩერდება ზუგდიდის ოლქისა და მაზრის უფროსებზე. აზუსტებს ოლქის მმართველებისა (რაფიელ ერისთავი, იოსებ მიქაბერიძე, ფელიქს კოლვანოვი, ნიკო დადიანი) და მაზრის უფროსების (ივან ვახრამოვი, პიოტრ გერარდი, იოსებ მიქაბერიძე, ნიკოლაი სპილობორგი, ლევან ჯაყელი, ნიკოლაი ზაბელინი, ზურაბ ყიფიანი, გიორგი დადიშქელიანი, ვასილ კელამოვი, ნიკოლოზ ტატიშვილი, ევგენი ლავროვი, ნიკოლაი ჩერნოვი, ვლადიმერ გამყრელიძე) ვინაობას.

ავტორი აღგვიწერს ზუგდიდის იერსახეს XIX საუკუნეში და XX საუკუნის პირველ მეოთხედში. იყენებს ქართველ და უცხოელ მოლვაწეთა ცნობებს. განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ფრანგი მეცნიერის მარი ბროსეს ინფორმაციას, რომელიც კმაყოფილი იყო დავით დადიანის სტუმართმოყვარეობით და აღმატებული ფორმით წარმოგვიდგენს როგორც ზოგადად ქალაქს, ისე დადიანის სასახლეს (ნიშანდობლივია, რომ მარი ბროსემ დაგვიტოვა უცნობი მხატვრის შესრულებული მთავრის ჯვარედინა სასახლის ხედი და გეგმა).

წინამდებარე წიგნში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ზუგდიდის ხუროთმოძღვრულ ძეგლებს (მანცხვარკარი, დედოფლის სასახლე და სხვ.). შთამბეჭდავია ინფორმაცია ზუგდიდში მრეწველობის ჩასახვისა და განვითარების შესახებ. აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა, აგურის ქარხანა, არყის სახდელი ქარხანა – ეს ის წარმოებებია, რომლებიც მთელი სისრულით მუშაობდნენ.

„ნარკვევებში" მოთხრობილია ზუგდიდის მოსახლეობის შესახებ XIX საუკუნეში და XX საუკუნის პირველ მეოთხედში. საინტერესოა

ცნობა, რომ ზუგდიდში 1840 წელს 912 კაცი ცხოვრობდა, 1850 წელს – 1570 კაცი, 1854 წელს – 2000 კაცამდე. საყურადღებოა, რომ ზუგდიდის თემის (სასოფლო საზოგადოება) მოსახლეობა 1886 წელს ერთეროვანი იყო – 3092 მცხოვრებიდან ყველა ქართველი იყო. 1908 წელს ზუგდიდში 5052 კაცი ცხოვრობდა. 1912 წელს ოფიციალურად გაქალაქებული ზუგდიდის მოსახლეობა 4000 კაცამდე იყო. 1929 წელს, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის შედეგად, ზუგდიდის თემში შემავალი სოფლები ზუგდიდის სასოფლო საბჭოში გაერთიანდნენ (ქალაქი ზუგდიდი ცალკე იყო).

„ნარკვევებში“ ცალკეა გამოყოფილი ვაჭრობა და ხელოსნობა 1867-1921 წლებში. 1866 წელს სამეგრელოში ბატონყმობა გაუქმდა. სწორედ ამ ფონზეა მოცემული ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარება. 1907 წელს ზუგდიდში იყო 87 მკერავი, 103 მჭედელი, 112 მეჩექმე, 77 დურგალი, 64 მეუნაგირე, 11 ოქრომჭედელი, 4 მესაათე, 21 მეწაღე, 9 დალაქი და სხვ. სამეცნიერო ლიტერატურაში დამოწმებულია გამოთქმა: „უზანგები – კვარაცხელიასი, ქამარხანჯალი – ძაძამიასი, ყალიონი – ლომაიასი, უნაგირი – რაფავასი, მათრახი – აჩიგვარული“. ზუგდიდში განვითარებული ყოფილა ავეჯის წარმოებაც.

აბესალომ ტყულუში აღწერს ზუგდიდის კულტურას XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე. აქ ძველთაგანვე არსებობდა თეატრი (1868 წ.), წიგნთსაცავ-სამკითხველოები (1884 წ.); იმართებოდა გასართობი ღონისძიებები, ტარდებოდა შეჯიბრებები. ზუგდიდის მაზრაში არსებობდა რამდენიმე სკოლა (ზუგდიდი, ანაკლია, დარჩელი, კორცხელი, აბასთუმანი, კახათი, ჭკადუაში, ცაიში, რუხი და სხვ.). იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გახსნილი სკოლებიც. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან იხსნება საკვირაო სკოლები. ზუგდიდის მაზრაში ყურადღება ექცეოდა პროფესიულ განათლებასაც.

წიგნში გარკვეული ყურადღება ექცევა XX საუკუნის ისტორიის საკითხებსაც (1905-1907 წლების რევოლუცია, ბოლშევიკური ამბოხი ზუგდიდში, ზუგდიდის პოლიტიკური ცხოვრება 1917-1921 წლებში). მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ზუგდიდის ტოპონიმია-ერგონიმიის საკითხებს. წიგნს გააჩნია დანართი, სადაც სხვადასხვა მასალაა გამოქვეყნებული.

გვინდა შევნიშნოთ, რომ ავტორის ზოგიერთი მოსაზრება სადავოა, მაგრამ, ჩვენი აზრით, მათ აქვთ არსებობის უფლება.

„ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან" უხვი მასალით, საინტერესო საკითხების წამოწევითა და გაშუქებით, წყაროების კეთილსინდისიერი გამოყენებითა და ისტორიოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით, უთუოდ საინტერესოა და, ვფიქრობ, ქართველ მკითხველს რეალურად გამოადგება იგი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის – ზუგდიდის ისტორიის გასაცნობად.

როინ მეტრეველი

შესავალი

ქვეყნის მეტნაკლებად სრულყოფილი ისტორიის დასაწერად აუცილებელია მისი თითოეული კუთხის, თითოეული ქალაქისა და სოფლის ისტორიის დაწვრილებით შესწავლა. ამ მხრივ ჩვენს ისტორიოგრაფიაში ცოტა არაა გაკეთებული. შესწავლილია ქართული ქალაქების, საქალაქო ცხოვრებისა და ვაჭრობის ისტორიის არაერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი,[1] დაიწერა და გამოიცა გამოკვლევები თბილისის,[2] ქუთაისის,[3] ბათუმის,[4] სოხუმის,[5] ფოთის,[6] გორის,[7] მცხეთის,[8] ხონისა[9] და სხვა ქალაქების შესახებ.

რაც შეეხება ზუგდიდის ისტორიას (მხედველობაში მაქვს ფეოდალური ხანის, აგრეთვე XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის ისტორია), დღემდის თითქმის შეუსწავლელი იყო. ერთადერთ მნიშვნელოვან გამოკვლევად შეიძლება ჩაითვალოს პლატონ ჯიშკარიანის ნაშრომი[10], რომელიც მოიცავს ქალაქის ისტორიის ერთ მონაკვეთს (რევოლუციური მოძრაობა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხანა და ბოლშევიკების მმართველობის ნახევარსაუკუნოვანი პერიოდი). გასაგები მიზეზების გამო, ნაშრომი ცხადია ტენდენციურია და ამდენად ეს პერიოდიც თავიდან არის შესასწავლი.

შეიძლება ითქვას, რომ ზუგდიდის რამდენიმე სოფლის ისტორია უკეთაა შესწავლილი, ვიდრე თვით ზუგდიდისა. ცალკე წიგნებად გამოიცა მასალა ანაკლიის,[11] კორცხელის,[12] ნარაზენის,[13] რუხის,[14] ცაიშისა[15] და დარჩელის[16] შესახებ. ამ ნაშრომების უმეტესობა (დარჩელზე წიგნის გამოკლებით, რომელიც უმალ ფოლკლორულია, ვიდრე მეცნიერული) სათანადო მეცნიერულ დონეზეა შესრულებული.

წინამდებარე ნაშრომი ჩემი მრავალწლიანი შრომის ნაყოფია. ამ წიგნზე მუშაობა სიჭაბუკისას, 1974 წელს დავიწყე და მისი პირველი შედეგები ადგილობრივი გაზეთის მეშვეობით გავაცანი მკითხველებს.[17] წიგნი უკვე დიდი ხანია მზადაა გამოსაცემად და ამაოდ ელის გამომცემელს. გულისტკივილით უნდა აღვნიშნო ის, რომ ამ საშვილიშვილო საქმის ხორცშესასხმელად სრული გულგრილობა სუფევდა, კომუნისტების ბატონობის დროს და დღესაც.

1. ივ. ჯავახიშვილი, ქალაქები, საქალაქო წყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII საუკუნეებში, ჟ. „პრომეთე“, 1918 წ. №1; პ. რატიანი, თბილელი ბერები, თბ. 1989; Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тб. 1981; კრებული „ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება და საქალაქო მშენებლობის ზრდა XIX საუკუნის თბილისში“, თბ. 1984; მ. გაბაშვილი, საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში, თბ. 1981; ალ. ბენდიანიშვილი, საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში. 1875-1917 წლებში, თბ. 1982; М.Самсонадзе, Торговля в Грузии, Тб. 1990; გ. იობაშვილი, დასავლეთ საქართველოს ქალაქები XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში, თბ. 1983.

2. დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია, თბ. 1953; შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, თბ. 1958.

3. პ. ვაჭრიძე, გ. გაბუნია, ქუთაისი საბჭოთა ხელისუფლების წლებში, თბ. 1967; გ. მეფისაშვილი, ფურცლები ქუთაისის ისტორიიდან, თბ. 1971.

4. ვ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათ. 1958.

5. В. Пачулия,Сухуми-Акуа, Сух.1989; ვ. ზუხბაია, სოხუმი, თბ. 1997.

6. მ. ბერძნიშვილი, ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბ. 1969; მ. პაჭკორია, ფოთის წარსულიდან, თბ. 1967.

7. დ. გვრიტიშვილი, გორის ისტორია, თბ. 1954; გ. ბუხნიკაშვილი, გორი. ისტორიული ნარკვევი. თბ. 1940.

8. ივ. შაიშმელაშვილი, ძველი საქართველოს ფოლადის გული, თბ. 1969.

9. ავთანდილ ფაილოძე, მატიანე ხონისა, ნაწ. II, ბათ. 2003.

10. პლ. ჯიშკარიანი, ზუგდიდის რაიონის მშრომელები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლის პერიოდში, თბ. 1968.

11. აბ. ტულუში, ანაკლიის ისტორია, ზუგდ. 1991.

12. ლ. თოდუა, გ. ლაშხია, კორცხელის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, თბ. 1999.

13. ბ. ბიგვავა, ნარაზენი, თბ. 1972.

14. აბ. ტულუში, რუხის ომი, თბ. 2001.

15. აბ. ტულუში, ცაიშის საეპისკოპოსო. ისტორია, ეპისკოპოსთა ქრონოლოგია, დოკუმენტები, ზუგდ. 2001.

16. ან. არნანია, ვ. შონია, დარჩელი, თბ. 1999.

17. აბ. ტულუში, ზუგდიდის წარსულიდან, გაზ. „მებრძოლი“, 1974 წ. 5 მარტი.

რას ნიშნავს ზუგდიდი?

სახელწოდება **ზუგდიდი** ქართულ და უცხოურ წყაროებში ორგვარი ფორმით გვხვდება – **ზუგდიდი** და **ზუბდიდი**, მეგრელები კი მას **ზუგდიდ**-ს ეძახიან. აკად. ქეთევან ლომთათიძის მიერ დადგენილია, კიდევ ერთი სავარაუდო ფორმა – **ზუბგითი**, რომელიც შემონახულია მის აფხაზურ სახელში.

ამ სახელწოდების მნიშვნელობა დიდი ხანია მეცნიერთა ყურადღების საგანია. გამოთქმულ იქნა რამდენიმე მოსაზრება, მაგრამ არცერთი მათგანი არ გასცდენია ვარაუდის ფარგლებს. ჩემ მიერ ამ საკითხისადმი მიძღვნილ ცალკე გამოკვლევაში დასაბუთებულ იქნა ერთ-ერთი ადრე გამოთქმული მოსაზრებათაგანი (ა. ტუღუში, კვლავ ზუგდიდის ეტიმოლოგიისათვის, კრებული „ონომასტიკა“, ტ. I, თბ. 1987, გვ 158-164), მაგრამ რადგანაც ეს ნაშრომი დაიბეჭდა მკვლევართა ვიწრო წრისათვის, მცირე რაოდენობით დასტამბულ კრებულში, საჭიროდ მიმაჩნია მისი მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა.

ზუბდიდ-ი იხსენიება XVII-XVIII საუკუნეთა როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წყაროებში, მაგრამ როგორც ირკვევა, ის იმერულ-გურული ფორმაა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ზუბდიდი არ გვხვდება არც მეგრელთა მეტყველებაში და არც მათი ხელიდან გამოსულ წერილობით წყაროებში, მაშინ როდესაც თითქმის ყველა საბუთი, სადაც ოდიშის სატახტო ზუბდიდად მოიხსენიება, იმერეთს უკავშირდება.

ზუგდიდის ადრეული სახელი ზუბდიდი რომ ყოფილიყო, მაშინ მეგრულისათვის დამახასიათებელი ერთი ფონეტიკური თვისების გათვალისწინებით, ამ სახელიდან დონ-ის მეზობელი ბან-ი ამოვარდებოდა, რადგან მეგრულში ბან-ი ვერ ეგუება დონ-ის მეზობლობას (შდრ. ბაბდიდი – ბადიდი).

ირკვევა, რომ ზუგდიდი და ზუბდიდი ფორმები ქალაქის ერთი საერთო, ადრეული სახელიდან მომდინარეობს[1].

აკად. ქეთევან ლომთათიძემ დაადგინა, რომ ქართველურ ენებში **გვ** ლაბიალური კომპლექსი გვაძლევს ლაბიალურ ბგერას **ბ**. ყოველივე ამის გათვალისწინებით, იმ სავარაუდო ფორმად, საიდანაც შეიძლებოდა წარმოშობილიყო როგორც **ზუგდიდი**, ასევე **ზუბდიდი**, უნდა მივიჩნიოთ **ზუგვდიდი**. ამ ვარაუდს დამაჯერებლობას მატებს ის გარემოება, რომ სიტყვა **ზუგ**, რომელიც ადრე მეგრულში ბორცვს აღნიშნავდა, სვანურში დღესაც ამავე მნიშვნელობით იხმარება, როგორც **ზუგ** ასევე **ზუგვ** ფორმით.

სწორედ ამ ადრეული **ზუგვდიდ** ფორმის გადმოცემის ცდასთან უნდა გვქონდეს საქმე 1640 წელს სამეგრელოში ნამყოფი რუსი დესპანის, ფეოდოტ ელჩინის ჩანაწერებში, სადაც ჩვენი ქალაქი **Звукдим**-ად არის მოხსენიებული. აშკარაა, რომ **Звукдим** მეტაფიზირებული სახეა **Звукдим**-ისა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბორცვის აღმნიშვნელი ადრინდელი **ზუგ** სიტყვის ფონტიკური ვარიანტი **სუკ**-ი დღესაც ცოცხალია მეგრულში, **Звукдим**-ის// ზუგვდიდ//ზუგვდით – ფორმების იდენტურობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

წერილობით წყაროთა უმეტესობაში ოდიშის სამთავროს სატახტოს მაინც ზუგდიდი ეწოდება. ამ წყაროთაგან უძველესია 1621 წელს შედგენილი „აფხაზეთის საკათალიკოსოს მოსაკრებლების დავთარი“. ზუგდიდ-ი იხსენიება ლევან II დადიანის (1594-1657) ხელიდან გამოსულ ყველა საბუთში. ზუგდიდ-ს უწოდებენ 1662 წელს სამეგრელოში ნამყოფი პოეტი ფეშანგი ხითარიშვილი (ფაშვი ბერტყაძე), მეფე-პოეტი არჩილი (1647-1713), XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნის ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი, მისი თანამედროვე უცნობი ქართველი მემატიანე, დიდი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1757), ოდიშელი ისტორიკოსი ნიკო დადიანი (1780-1834), იტალიელი კათოლიკე მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც თითქმის მეოთხედი საუკუნე დაჰყო სამეგრელოში, იტალიელი მისიონერი და მხატვარი ქრისტეფორე დე კასტელი (1597-1659), რომელმაც ასევე დიდი ხანი იცხოვრა

[1] პროფ. შოთა მესხიამ საგანგებო ნარკვევი მიუძღვნა ამ საკითხს. იხ. მისი, „ზუგდიდი“ თუ „ზუბდიდი“, საისტორიო ძიებანი, ტ. III, თბ., 1986, გვ. 263-270.

სადადიანოში, იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (1647-1707), ცაიშელი ეპისკოპოსი გრიგოლ ჩიქოვანი (1777-1846) და სხვანი.

ზუგდიდის სახელწოდების კიდევ ერთი ფორმა გვხვდება წყაროებში – ესაა **ზურგდიდი**. ეს ფორმა გამოიყენება 1616-1621 წლებს შორის ცაიშელი ეპისკოპოს მალაქია გურიელის ბრძანებით შედგენილ „საცაიშელო მოსაკრებლების დავთარში". აი, ნაწყვეტი ამ დოკუმენტისა: „ზურგდიდისაკენ ანარიას ღელეს აქეთ მდინარის ჩასართავამდის, დარჩელისა და ჩოხათის სოფლისა, ჭალის სოფლის სათემო გზას დაბლა ხეთისაკენ, ბარცხალას ღელეს აქეთ ცაიშის ეკლესიისა და იქით საერთო საცაიშლო კაცისა".

ზუგდიდი ორი სიტყვისაგან შემდგარი კომპოზიციაა. ეს სიტყვებია **ზუგ-ი** და **დიდი**.

უკვე ითქვა, რომ ზუგ მეგრულში ნიშნავდა ბორცვს. თუკი ეს სიტყვა, ამგვარი მნიშვნელობით სვანურში დღემდეა შემორჩენილი (და ამიტომ თვით ზუგდიდი-ც ზოგ მეცნიერს, სვანური ეგონა), მეგრულში მის ოდესლაც არსებობაზე მიუთითებს ორი გარემოება.

პირველი ის, რომ მეგრულში დღემდე არის შემორჩენილი ზუგ სიტყვის ფონეტიკური ვარიანტი სუკი, რომელიც ბორცვს ნიშნავს.

მეორე – სამეგრელოში და მეგრულ-ჭანების ნამკვიდრალ მის მომიჯნავე კუთხეში – გურიაში დღემდე ცოცხალი ზუგ სიტყვის შემცველი უკლებლივ ყველა ტოპონიმი აღნიშნავს ბორცვს, მაღლობს, გორაკს.

სამეგრელოს სამთავრო სატახტოს სახელი რომ მართლაც ბორცვის აღმნიშვნელ სიტყვას შეიცავს, კარგად ჩანს იქიდანაც, რომ ამ ქალაქის სახელი ერთ-ერთ წყაროში გვხვდება **ზურგდიდ**-ის ფორმით.

ზურგ-ი ფონეტიკური ტყუპისცალია **ზუგ** სიტყვისა. თუკი **ზუგ** სიტყვა მხოლოდ ბორცის მნიშვნელობას შეიცავს, ზურგ სიტყვას, XVII საუკუნისათვის ბორცვის მნიშვნელობაც ჰქონია შენარჩუნებული, ზურგის, კუზის მნიშვნელობასთან ერთად.

ის, რომ ზურგ სიტყვა ბორცვსაც აღნიშნავს და ადამიანის სხეულის ნაწილს – ზურგსაც (კუზსაც), სულაც არაა მოულოდნე-

ლი, რადგან მთელ რიგ ენებში ბორცვი, გორა და ზურგი ერთი და იგივე ან მსგავსი ულერადობის სიტყვებით აღინიშნება. მაგალითისათვის ავიღოთ რუსული, სადაც ბორცვს **гора**, ხოლო კუზიანს **горбатый** ეთქმის. თუმცა რაღა შორს მივდივართ, როცა ქართულში გვაქვს სიტყვა ქედი, რომელიც ზურგსაც ნიშნავს და ბორცვსაც.

ამრიგად, **ზუგდიდი**-ს მნიშვნელობა დადგენილად უნდა ჩაითვალოს. ის ნიშნავს დიდ ბორცვს.

ეს სახელწოდება მას იმ ადგილის გამო უნდა მიეღო, სადაც იყო თავდაპირველად გაშენებული. ესაა გვიან **მარცხვარ კარიშ სუკ**-ად წოდებული ბორცვი, საიდანაც ამაყად გადაჰყურებს ქალაქს წმინდა გიორგის ძველი ეკლესია.

სად მდებარეობდა ძველი ზუგდიდი?

ძველი ზუგდიდი, როგორც ირკვევა, მაცხოვრის გორაზე მდებარეობდა. ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე (1827-1890), რომელიც 1874 წელს ეწვია ზუგდიდს, წერს: „ახალი ზუგდიდის მახლობლად, ვაკის შუაგულში აღმართულია დიდი გორა, რომელზედაც იყო გაშენებული ძველი ზუგდიდი" (Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства. Записки общества любителей Кавказской археологии, кн. II Тифл. 1875, стр. 72).

ასეთივე ცნობას გვაწვდის ექვთიმე თაყაიშვილიც: „ძველი ზუგდიდი მომაღლო ადგილზე, გორაკზე იყო გაშენებული, ახლა კი დაბლობზეა" (ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წ. II, ტფ. 1914, გვ. 193-194).

ძველი ზუგდიდი რომ მართლაც მაცხოვრის გორას იყო შეფენილი, დასტურდება ტოპონიმიდან **ნაზუგიდგ**, რომელიც, როგორც აკაკი ჭანტურიას მიერ შედგენილი ზუგდიდის რუკიდან ჩანს, სწორედ მანცხვარკარის გორის მიდამოებს ერქვა (აკ. ჭანტურია, ისტორიულ-არქეოლოგიური ძიებანი სამეგრელოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები (ისტორია...).

მანცხვარკარის გორაზე მდგარა ზუგდიდის ციხესიმაგრე, რომლის ნაშთები დღემდეა მოღწეული. სწორედ ამ ციხესიმაგრის ნანგრევებზე ლაპარაკობს დიმიტრი ბაქრაძე 1875 წელს დაბეჭდილ წერილში: „ზუგდიდში ორი ეკლესიაა, ძველი და ახალი. პირველი დგას ძველ ზუგდიდში, რომელიც ოდესღაც გამაგრებული იყო გალავნით, რომლის კვალი აქა-იქ შეიმჩნევა ხშირ ბარდნარში" (Д. Бакрадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 72).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ზუგდიდში ნამყოფი ანონიმი ავტორი კი გვაუწყებს: „დაბა ზუგდიდში ოდესღაც არსებობდა ციხესიმაგრე, რომლის კვალი ახლაც შეიმჩნევა" („Кавказская старина", 1872, стр. 68-72).

მართალია, ამ წყაროში არაა მითითებული თუ სად მდებარეობდა ეს ნანგრევი, მაგრამ აქ სწორედ იმ ნანგრევზე უნდა იყოს ლაპარაკი, რომელზედაც დ. ბაქარძე წერდა.

ფრანგი ჟიულ მურიე, რომელმაც XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს სოფელ-სოფელ აღწერა სამეგრელო, წერს, რომ ზუგდიდის მაცხოვრის ეკლესია ოდესღაც გამაგრებული ყოფილა გალავნით, რომლის ნაშთები ახლაც მოჩანსო (J. Mourier, La Mengrelie (ancienne Kolchide), Odessa, 1883, p. 294).

მანცხვარკარის გორაზე ჩემ მიერ ზედაპირულად აკრეფილი XII-XIII საუკუნის თიხის ჭურჭლის ნატეხებიც (დოქის ჭდეებიანი ყურები, ქვევრის ძირები), ცხადია, ძველი ზუგდიდის სწორედ ამ ადგილზე არსებობის სასარგებლოდ ლაპარაკობენ.

სწორედ აქ, მანცხვარკარის გორაზეა აღმართული ჩვენი ქალაქის უძველესი ნაგებობა, წმ. გიორგის სახელობის ეკლესია (იგივე მანცხვარკარის ეკლესია), რომლის აშენების ზუსტი თარიღი დღემდე არაა დადგენილი.

აკადემიკოსი მარი ბროსე (1802-1881) ამ ეკლესიას XV საუკუნეში აგებულად მიიჩნევდა (M. brosset, Rapports sur un Voyage archéologoque la Géorgie et dans l'armenie, SPB. 1840, I, Septiéme Rapport, p. 20). აკადემიკოსი ე. თაყაიშვილი XIII-XIV საუკუნეთა მიჯნით ათარიღებდა (ე. თაყაიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 194), მკვლევარი ალ. მიქავა კი სულაც XVII საუკუნეს აკუთვნებდა (ალ. მიქავა, ზუგდიდი (გზამკვლევი). თბ. 1968, გვ. 16).

ზუგდიდის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის აშენების ხანის განსაზღვრა ამ უაღრესად საყურადღებო ძეგლის საფუძვლიანი ხუროთმოძღვრული შესწავლის შედეგადაა შესაძლებელი. ისე კი ეს ეკლესია, ჩემი აზრით, გიორგი I დადიანის ერისთავობისას (XIV საუკუნის პირველ მეოთხედში) უნდა იყოს აგებული. ამას მაფიქრებინებს მისი მორთულობის მსგავსება იმ ძეგლების მორთულობასთან, რომლებიც ამ ერისთავის მმართველობისას აიგო (ცაიშისა და ხობის ტაძრები).

საჭიროდ მიმაჩნია ამ ეკლესიის სახელწოდების განმარტება. როგორც ცნობილია, ზუგდიდელები ადგილს, სადაც ეს ეკლესია დგას, მანცხვარკარს უწოდებენ. ეს ეკლესიაც მაცხოვრის სახე-

ლობისად უნდა მიგვეჩნია, მაგრამ ირკვევა, რომ ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისაა და არა მაცხოვრისა.

1849 წელს დავით დადიანმა ცნობილ ოქრომჭედელ პეპუ მეუნარგიას (1791-1851) მოაჭედვინა წმ. გიორგის ხატი, რომელიც დაასვენა ზუგდიდის ამ ძველ ეკლესიაში, რომელიც 1830 წლამდეც, დედოფლის სასახლედ წოდებული პალატის გვერდით, ვლაქერნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის აშენებამდეც და ამის შემდეგაც, დადიანთა სამთავრო კარის ეკლესია იყო. 1843 წელს მოჭედილი ხატის წარწერაში დავით დადიანი პირდაპირ წერს – „დავასვენეთ ზუგდიდის ჩვენსა ეკლესიისა შინა".

1821 წელს ცაიშელ მიტროპოლიტ გრიგოლ ჩიქოვანს ამ ეკლესიისათვის შეუწირავს ვერცხლის ბარძიმი, რომელზედაც ასეთი წარწერაა: „წმინდაო გიორგი ზუგდიდისაო, წარსაგებელით შენითა გავაჭედვინე ბარძიმი ეს, ცაიშელი მიტროპოლიტი გრიგოლმა წელსა ჩყკა".

ცნობილია, რომ ჩვეულებრივ იმის ხატს აჭედვინებდნენ ღვთისმოშიში დიდებულები, ვის სახელზეც აშენებდნენ ეკლესიას. მაცხოვრის ხატს მაშინ მოაჭედვინებდნენ, თუ ამ ხატის დასვენება მაცხოვრის ეკლესიაში ექნებოდათ განზრახული, ღვთისმშობლის ხატს – ღვთისმშობლის ტაძრისთვის, წმინდა გიორგის ხატს, თუ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში დაასვენებდნენ ცოდვების მისატევებლად, შემწედ და მეოხად.

ამ წესის გათვალისწინებით და ზემოთ დამოწმებული 1849 წლის ხატის წარწერაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკლესია, სადაც ეს ხატი დაასვენა დავით დადიანმა, წმინდა გიორგის სახელობისა უნდა ყოფილიყო. ამაზე პირდაპირ უთითებს გრიგოლ ცაიშელის მიერ ამავე ეკლესიისთვის შეწირული ბარძიმის ზემოთ დამოწმებული წარწერაც.

ზუგდიდში, მანცხვარკარის ბორცვზე მდგარი ეკლესია რომ მართლაც წმინდა გიორგის სახელობისა იყო, ამას ამტკიცებს 1872 წელს აქ ნამყოფი ერთი უცნობი მოგზაურის შემდეგი ცნობაც: „ზუგდიდის ნაწილი მართლაც გაშენებულია ბორცვზე, რომელიც ბატონობს მის დანარჩენ ნაწილზე და რომელზედაც მდებარეობს ქვის ძველი, წმინდა გიორგის სახელობის სასოფლო ეკლესია. შემოზღუდულია ქვის მაღალი გალავნით".

ამრიგად, გაირკვა, რომ მანცხვარკარის გორაზე მდგარი ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისა ყოფილა, მაგრამ მაშინ საიდან გაჩნდა სახელწოდება მანცხვარკარი?

ამის ახსნაში გვეხმარება ცაიშის ტაძრის მაგალითი. ცაიშის, დღემდე საკმაოდ კარგად მოღწეული, გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც როგორც პროფ. პარმენ ზაქარაიამ დაადგინა, XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზეა აშენებული, ღვთისმშობლის სახელობისაა. ის აქ მანამდე არსებული დარბაზული საკათედრო ტაძრის ადგილას აუშენებიათ. ეს დარბაზული ეკლესია კი, რომელიც გვიან სამრეკლოში ჩაშენებულ რელიეფზეა გამოსახული, როგორც ირკვევა, მახარებელთა სახელზე ყოფილა აგებული. ცაიშის ამ ძველი, დარბაზული ეკლესიის წარწერას, რომელიც იმავე სამრეკლოს კედელზეა ჩაშენებული, მე შემდეგნაირად ვკითხულობ:

„... [აღვა]შენე ესე საყდარი გ(იორგი) დადია[ნისა] ბრძანებითა და მახარ[ებელთა შეწევნითა ბა]სილ ცაიშელ[მან]...“

არ ვიცი, თუ რა იყო ამის მიზეზი, მაგრამ, როგორც ჩანს, ძველი დანგრეული ეკლესიის ნაფუძარზე აგებულ ახალ ეკლესიას აკურთხებდნენ არა იმის სახელზე, ვის სახელზედაც ძველი ეკლესია იყო ნაკურთხი, არამედ სხვა წმინდანის სახელზე. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ XIV საუკუნეში აგებული ზუგდიდის ეს ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისაა, ხოლო ადგილს, სადაც დგას, დღემდის შემოუნახავს სახელწოდება ამ ეკლესიის ადგილას უფრო ადრე მდგარი საყდრისა.

ზუგდიდის უძველესი უბანი რომ სწორედ მანცხვარკარის გორაა და არა სხვა, ამაზე ყველაზე უტყუარად თვით სახელწოდება ზუგდიდი ლაპარაკობს.

ვაჭრობა და ხელოსნობა 1804-1867 წლების ზუგდიდში

1804 წელს, როცა სამეგრელოს სამთავრო რუსეთის სახელწიფოს მფარველობაში შევიდა, ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლით სამეგრელოს მთავარმა იკისრა, რომ თავის სამთავროში „გზად მიმავალ" ვაჭრებს ბაჟს არ გადაახდევინებდა.

1804 წელსვე, მდინარე ხობის შესართავთან, სოფელ ყულევში, რუსებმა ააგეს პატარა სიმაგრე, რომელსაც რედუტ-კალე უწოდეს. აქვე აშენდა მცირე ნავსადგური, რამაც ხელი შეუწყო ამ სოფლის გადაქცევას მნიშვნელოვან სავაჭრო კარიბჭედ (მ. პაჭკორია, რედუტ-კალე, თბ. 1968, გვ. 10-17).

თურქების (უფრო სწორედ მათი ხელდებული აფხაზ თავადთა შორის უპირველესის – ქელეშ-ბეგ შარვაშიძის) მიერ მიტაცებული ანაკლიაც, განთავისუფლების (1809 წ.) შემდეგ მნიშვნელოვან სავაჭრო ნავთსაყუდელად იქცა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ 1804 წელს შედგენილ რუკაზე („Карта Уасти Мингрелии") ანაკლია ქალაქად არის მოხსენიებული (ЦГВИА, ф. ВУА, №20497). იმხანად ქალაქი სავაჭრო ადგილს ერქვა. აქედან მომდინარეობს სიტყვა ქალაქობა, რომელიც ვაჭრობას, ბაზრობას აღნიშნავს ქართულში (აბ. ტუღუში, ანაკლიის ისტორია, ზუგდ. 1991, გვ. 19). მაგალითად, XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ერთ საბუთში ნათქვამია: „გადმოიყვანეს მოვაჭრენი და იქ აღდგა ქალაქობაო" (Hd-2782).

სამეგრელოს სამთავროში ვაჭრობის განვითარების მიზნით 1818 წელს შეიქმნა „სამეგრელოს სავაჭრო კომპანია" (Акты, IV, №540, 541, 542). ყულევსა და ანაკლიაში ვაჭრობის გამოცოცხლებამ დადებითად იმოქმედა ვაჭრობის მდგომარეობაზე მთელს სამეგრელოში და კერძოდ მის სატახტო – ზუგდიდში. სახელმწიფო საქმეებისადმი ლევან V დადიანის (1811-1840) უდარდელი

დამოკიდებულების გამო, რომელსაც უფრო ქეიფი, ნადირობა და ქალები იზიდავდა, ვიდრე სამთავროს ბედი, სამეგრელოში ვაჭრობის საქმეებს დედოფალი მართა და მისი ძმა, ჭყონდიდელი ეპისკოპოსი დავით წერეთელი განაგებდნენ. ერთი იმჟამინდელი რუსი მოხელის სიტყვით, დედოფლისა და მისი ძმის, ეპისკოპოს დავითის „უმთავრესი და მუდმივი მიზანია რაც შეიძლება მეტი ფულის დაგროვა“, რის გამოც მათ მიერ ყველა სახის საქონლით ვაჭრობის უფლება მხოლოდ იჯარით გაიცემოდა. მოიჯარეები მოგების დიდ ნაწილს სამთავროს ხაზინას უთმობდნენ, მაგრამ ამ შემოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილი ხვდებოდა სახელმწიფო სალაროში, რადგან მას დედოფალი და მისი მღვდელმთავარი ძმა ითვისებდნენ. ესეც არ ეყოთ. 1831 წელს დავით წერეთელმა მარტვილში თავისი საკუთარი დუქნები გახსნა და საქონლის სამთავროს საზღვრებს გარეთ გატანა აკრძალა. დუქნები ისეთ ვაჭრებს მიეცათ იჯარით, რომელთაც მღვდელთმთავარი სწყალობდა (Сельское хозяйтво и аграрные отношения, т. II, сост. проф. П. Гугушвили, Тб. 1950, стр. 428-429; პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ. VI, თბ. 1979, გვ. 217-219).

საკუთარი დუქნები ჰქონდა ზუგდიდში თვით მთავარსაც. 1820 წელს სამეგრელოს მთავრის 64 ყმა ვაჭარი და ხელოსანი სენაკში ესახლა, 20 – ზუგდიდში და 18 – ანაკლიაში. სახასო ქალაქი იყო ყულევიც (ЦГВИА, ф. ВУА, д. 82, л. 21-22; გ. იობაშვილი, ცვლილებები საქართველოს სოციალურ ურთიერთობაში... ჟ. „მაცნე“ [ისტორიის...სერია], 1981, №2, გვ. 27). 1845 წლის 18 აპრილს დაწერილ წერილში, რომელიც მთავარ ლევან V დადიანისადმია გაგზავნილი (და რომლის შემდგენლის ხელმოწერა ძნელად ამოსაკითხია), ვკითხულობთ: „სურვილისამებრ თქვენისათა მიეცა სისრულესა შინა საქმე თქუენის დუქნისა გრიგორიოპოლისის ქალაქშიდ, რომელიც იქნა გაქირავებულ ჯეროვნათ ისრე, ვითარცა მემკვიდრისა თქვენისა დუქანი, ესე იგი ას ოც მანეთად ყოველ წლობით, ხოლო მქირავებელთაგან ჩამორთმეულისა ხელწერილსა ოთხსა ამასთანავე უმორჩილესად წარმოუდგენ თქვენს უგანათლებულესობას... საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ თქვენ, მოწყ-

ალეო ხელმწიფეო. რომელ თქუენ მიერ დადგენილმან დუქნის მუშათ ზედამხედველმან, აზნაურმან ყურაშვილმან მიიღო სრული ზომა...“ (ზუგდიდის მუზეუმი, ხელნაწ. განყ. დოკ №7369).

ამ დოკუმენტიდან ირკვევა არა მარტო ის, რომ ლევან V დადიანს ზუგდიდში (გრიგორიოპოლისში) იჯარით ჰქონდა დუქნები, არამედ ისიც, რომ არსებულა „დუქნის მუშათ ზედამხედველის“ სახელო (ალბათ იგულისხმება „ქალაქთუხუცესის“ სახელო).

ლევან V დადიანი, მართა დედოფლის ზეგავლენით, თავის ქვეშევრდომთაგან სოფლის მეურნეობის ნაწარმის თვითნებურ, ზოგჯერ თავისი ღირებულების ნახევარ ფასში შესყიდვის განსაკუთრებულ უფლებას მხოლოდ იმ ვაჭრებს ანიჭებდა, რომელთაც თვითონ ან დედოფალი სწყალობდა. თვით გლეხკაცს კი თავისი ნაოფლარის გაყიდვას უკრძალავდა (რისთვისაც აჯარიმებდნენ). სამეგრელოში მკვეთრად დაეცა როგორც წარმოება, ასევე ვაჭრობა (Сельское хозяйтво и аграрные отношения, т. II, стр. 435; მ. პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 219). მიუხედავად შექმნილი მძიმე მდგომარეობისა, ვაჭრობა მაინც არ ჩამკვდარა. ეს ანაკლიისა და ყულევის (რედუტ-კალეს) ნავსადგურების მეშვეობით წარმოებული სავაჭრო ურთიერთობების დამსახურება იყო, და ზუგდიდის, როგორც სავაჭრო დაბის თუმც მცირედ, მაგრამ მაინც დაწინაურებას შეუწყო ხელი. 1820 წელს მაგალითად, ზუგდიდში სამეგრელოს მთავრის 20 ყმა ვაჭარი ცხოვრობდა (ЦГВИА, ф. ВУА, д .82, л .21-22).

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო სოციალური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ყმა თუ ნახევრად ყმა გლეხების ლტოლვა ქალაქისაკენ, რათა მოქალაქეთა წოდება მიეღოთ. პირადი თავისუფლება იყო ის ძირითადი და უმთავრესი, რაც ყმა-გლეხებისათვის გახლდათ მიმზიდველი (გ. იობაშვილი, ცვლილებები დასავლეთ საქართველოს სოციალურ ურთიერთობაში და საქალაქო მოსახლეობის კლასობრივ-პოლიტიკური მისწრაფებანი XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში, ჟ. „მაცნე“ (ისტორიის... სერია), 1981, №2, გვ. 28). „ქალაქად წასვლის გამო“ გახშირდა გლეხების მიერ ყმობისგან თავდახსნის შემთხვევები მემამულეებისათვის „გულის შესაჯერი“ სასყიდლის მიცემის გზით (იქვე, გვ. 29).

ზუგდიდის, როგორც სავაჭრო ქალაქის დაწინაურებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ XIX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში შეკეთდა და განახლდა ყულევ-ზუგდიდის, ზუგდიდ-სვანეთის, ზუგდიდ-სოხუმისა და ზუგდიდ-ანაკლიის გზები (იქვე, გვ. 29).

XIX საუკუნის შუა ხანებში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დავით დადიანი, ჯერაც უფლისწული, სამთავროს მართვას შეუდგა (1840 წ.), ზუგდიდი შესამჩნევად გაიზარდა. ის დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან სავაჭრო და სახელოსნო ცენტრად იქცა. მეტიც, აქ პირველი სამრეწველო საწარმოებიც შეიქმნა.

ფრანგი მეცნიერი მარი ბროსე (1802-1880), რომელიც ზუგდიდს 1848 წელს ესტუმრა, ეხება რა დავით დადიანის მოღვაწეობას, წერს: „დავით დადიანმა... ზუგდიდი ქალაქად აქცია, დააარსა ბაზარი. მეგრელი გლეხი ჯერ გაოცდა ეს რა ქნესო და ერთბაშად ვერ გაერკვა თუ რა ხდებოდა, მაგრამ როცა აქ თავისი ნაწარმი გამოიტანა, როცა გამოიტანა თავისი ხამი აბრეშუმი, თავისი თუთუნი, თავისი ზედმეტი ღომი ან სხვა რამ, დაუხვდნენ მყიდველები, რომლებიც ელოდნენ, დახვდა დუქნები, სადაც ეწყო ფართალი, აბრეშუმი, შუშის ჭურჭელი, რკინეულობა, ერთი სიტყვით ყოველივე საჭირო... მაშინ ისიც გაისარჯა, რათა მეტი ნაწარმი გამოეტანა და თავისი წარმოებაც უფრო გაეფართოვებინა“ (M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique, I. rapp. VII, p. 20-21)

ვაჭრები სამთავრო გადასახადს იხდიდნენ და მათი ამკრეფი საგანგებო მოხელეც არსებობდა. ზუგდიდელ, ანაკლიელ და ყულეველ ვაჭართაგან გადასახადების ამკრეფი დავით დადიანის დროს ყოფილა აზნაური გოგი ყიფიანი (იონა მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბ. 1939, გვ. 150).

ზუგდიდელი ვაჭრები XIX საუკუნის შუა ხანებში სტამბოლის, ტრაპიზონისა და ყირიმის ხშირი სტუმრები იყვნენ. ბევრი მათგანი დიდი ქონების პატრონი გახდა. მაგალითად, ბეჟან ქავთარაძეს ბრუნვაში ჰქონდა 60.000 მანეთამდე. ფრიად შეძლებული ვაჭრები იყვნენ გიორგი შუშანია, დათა ჭედია, როსტომ წულეისკირი, ერასტო ჭედია, ალექსი შენგელია, გიგო თოფურია, იესე სალაყაია, ევსევი გაბუნია და სხვები (გ. იობაშვილი, დასავლეთ საქართველოს ქალაქები XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში, თბ. 1983, გვ. 145).

ზუგდიდში არაერთი შეძლებული ებრაელი ვაჭარი ცხოვრობდა, ესენი იყვნენ აბრამ მიხელაშვილი, კაცია იაკობაშვილი, დავით იაკობაშვილი, გოგი ჯანუაშვილი და სხვები (საისტორიო არქივი, ფონდი 1268, აღწ. 2, საქმე 1035, ფურც. 39; გ. იობაშვილი, საშინაო ვაჭრობის ისტორიიდან დასავლეთ საქართველოს ქალაქებში XIX საუკუნის 30-იან 50-იან წლებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა შრომები, თბ. 1972, გვ. 105).

1840 წელს ზუგდიდში ცხოვრობდა 120 ადგილობრივი, 15 ბერძენი და 20 თურქი ვაჭარი (გ. იობაშვილი, საშინაო ვაჭრობის ისტორიიდან, გვ. 105). საშინაო ვაჭრობის საშუალო ბრუნვა ზუგდიდში 1856 წელს 630.000 მანეთს აღწევდა (Документы по истории грузии, т. I, ч. II, стр. 80)

1861 წელს ზუგდიდელმა ვაჭრებმა საზღვარგარეთ გაიტანეს დიდი რაოდენობით კვერცხი (გაზ. „ივერია", 1904 წ. №65).

სამთავრო ხაზინის შემოსავალი ზუგდიდის დუქნებიდან და ბაზრიდან 1856 წელს 1500 მანეთს აღწევდა წელიწადში (ც. ქირია, შ. სარია, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, თბ. 1967, გვ. 80).

XIX საუკუნის შუა ხანებში ზუგდიდი კონტრაბანდული ვაჭრობის ერთ-ერთ უმთავრეს კერას წარმოადგენდა მთელს დასავლეთ საქართველოში. ამის შესახებ რუსი სტატისტიკოსი ა. ლავრენტიევი 1858 წელს წერდა: „უფრო მეტი [ვიდრე გურიაში] შემოდის კონტრაბანდა სამეგრელოში, სადაც მისი დიდი საწყობებია. ასე მაგალითად, ზუგდიდის საქონლის დიდი ნაწილი კონტრაბანდულია, ხოლო თვით კონტრაბანდით ვაჭრობა სრულებით არ ითვლება სათაკილოდ. ამიტომ ევროპულ საქონელზე ზუგდიდში არსებული ფასები ქუთაისის ბაზრობაზე ნახევრად ნაკლებია" (А. Лаврентиев, Статистическое описание... РоссиискоЙ империи. Кутаисское Генерал-губернаторство, СПБ. 1858, стр. 125).

XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისისათვის ზუგდიდი, როგორც სავაჭრო ქალაქი მეტოქეობას უწევდა ხონს, რომელიც იმერეთისა და მთელი დასავლეთ საქართველოს ძირითად სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. რუსი მოგზაური დ. დობროვოლსკი,

რომელმაც 1862 წელს მოიხილა ჩვენი ქვეყანა, წერდა – „ხონში ბევრი დუქანია... და მასში საქონელიც უხვადაა. ხონში თითქმის უკეთესად ვაჭრობენ, ვიდრე ზუგდიდში“. (Д. Добровольский, Поездка в Сванетию, записки Кавказского общества сельского хозяйства, Тифл. 1868, стр. 237).

ზუგდიდში ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებას საგრძნობლად აფერხებდა გავრცელებული ყაჩაღობა. გ. რადე, რომელმაც 1865 წელს იმოგზაურა სამეგრელოსა და აფხაზეთში, წერს, რომ ენგურის მარჯვენა სანაპიროდან რამდენიმე ვერსის მანძილზე ოქუმის გზაზე თარეშობდა ცნობილი ავაზაკი ომარ მარშანია, რომელიც თავს ესხმოდა ზუგდიდის ბაზრობიდან მიმავალ მგზავრებს (Г. Радде, предварительный отчет о путешестви, Записки Кавк. отд. имп. Русского географического общества, кн. VIII, Тифл. 1873, стр. 18).

ზუგდიდი ხელოსნობის მნიშვნელოვან ცენტრსაც წარმოადგენდა. მთელს საქართველოში განთქმული იყო ზუგდიდელ ოქრომჭედელთა, მეუნაგირეთა და სხვა საქმის ხელოსანთა ნამუშევრები. 1845 წლის მონაცემებით ზუგდიდში ცხოვრობდა 55 ხელოსანი (А. Лаврентиев, Статистическое орисание... გვ. 83).

ზუგდიდის გაქალაქება და სახელის გადარქმევის ცდა

1806 წლის 31 მაისს სამეგრელოს დედოფალ ნინოსადმი ბოძებულ სიგელში (რესკრიპტში) რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა (1801-1825) გამოთქვა სურვილი, რომ მისი ბრძანებითა და სახსრებით ვლაქერნის ღვთისმშობლის ეკლესია აშენებულიყო (ამისათვის მან 2000 ჩერვონეცი გამოჰყო). შემდეგ, როცა მის ირგვლივ მოსახლეობა მომრავლდებოდა, დააარსებდნენ ქალაქს, რომელსაც, გრიგოლ დადიანის პატივსაცემად, გრიგორიოპოლი დაერქმეოდა (Акты, т. III стр.177).

ხელმწიფის ნება მხოლოდ ნაწილობრივ იქნა ასრულებული. მისი სიკვდილის წელს (1825 წელს) დაიწყო ამ გუმბათოვანი ეკლესიის მშენებლობა და 1830 წელს დამთავრდა, თუმცა გრიგორიოპოლად ზუგდიდის გადარქმევა ვერ მოხერხდა. არ ვიცი, იმის გამო, რომ ოდიშის სატახტოს ძველი სახელი იმდენად შესისხლხორცებული ჰქონდა ამ სამთავროს ყველა მკვიდრს, რომ გრიგორიოპოლმა ის ვერ დაამარცხა, თუ იმის გამო, რომ გარდაცვლილი იმპერატორის ნება არავის გახსენებია. ისე კი საბუთებში ის ზოგჯერ ამ ბერძნულენოვანი სახელით გვხვდება (გრიგორიოპოლი ბერძნულად გრიგოლის ქალაქს ნიშნავს).

XIX საუკუნის შუა ხანებში ზუგდიდის ზრდამ დღის წესრიგში დააყენა მისი ქალაქობის სამართლებრივად ცნობის საკითხი. ამ დროის ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში ნათქვამია: „Во время нашего управления в Мингрелиейю и Имеретиею торговые местечки – Зугдиди, Сенаки, Орпири, Анаклия, Лаилаши, Суджуна, Хони, Кулаши еще больще населились и устроились так, что имеют все основания для образования из них в будущем городов" (ЦГИА в Санкт-Петербурге, ф. 1287, оп.38. д.1343, л.2-3).

რუსი მოხელე კორნელი ბოროზდინი წერს, რომ „ზუგდიდი

გააქალაქეს და სახელად უწოდესო გრიგორიოპოლი“ (სამეგრელო და სვანეთი, ტფ. 1934, გვ. 3), მაგრამ ეს გაქალაქება ქაღალდზე დარჩა.

XIX საუკუნის შუა ხანებიდან ზუგდიდის მკვიდრმა ვაჭრებმა და ხელოსნებმა არაერთხელ ითხოვეს ზუგდიდის დამტკიცება სამაზრო ქალაქად, მაგრამ მთავრობა ზუგდიდის ქალაქად დამტკიცების პირობად მათგან მოითხოვდა ნიკო დადიანისაგან, რომელსაც მაშინ ზუგდიდის უდიდესი ნაწილი ეკუთვნოდა, გამოესყიდათ მიწები. 1888 წელს გაზ. „ივერია“ წერდა, რომ, ზუგდიდი ჯერჯერობით დაბაა, მაგრამ ამ ცოტა ხანში იმედია სამაზრო ქალაქად იქნება დამტკიცებული, რადგან მიწა, რომელზედაც იგია გაშენებული აქამდე... [ნიკო დადიანის] საკუთრება იყო და ამ ხანად მისმა მცხოვრებლებმა შეისყიდეს“ (გაზ. „ივერია“, 1888 წ. №234).

1889 წელს ზუგდიდის მოსახლეობამ მთავრობას თხოვა ზუგდიდისათვის ქალაქის სტატუსის მინიჭება და გრიგორიოპოლის დარქმევა.

1894 წელს გამოქვეყნდა იპოლიტე ვართაგავას უსათაურო წერილი, სადაც ვკითხულობთ: „ძლივს ეღირსათ ზუგდიდელებს თავისის გულითადი სურვილის აღსრულება – დამტკიცება დაბა ზუგდიდისა ქალაქად. ამიერიდგან, უმაღლესის განკარგულების თანახმად ამ დაბას ერქმევა ზუგდიდი კი არა, გრიგორიოპოლი...

ახლად დანიშნულმა მაზრის უფროსმა გიორგი დადიშქელიანმა 1 მაისს, ნაწირევს, საყდრის ეზოში მიულოცა მოქალაქეთ ეს სასიამოვნო ამბავი და დაარიგა კიდეც ხალხი. ახლა მოვალენი ვართ ვიმოქმედოთ და ვიცხოვროთ ისე, როგორც შეესაბამება ქალაქის წესწყობილებას, – ვეცადოთ, რამდენადაც შესაძლებელია, სუფთად და ლამაზად შევინახოთ ქალაქის ქუჩები და ჩვენი სადგომებიო...“ (გაზ. „ივერია“, 1894 წ. № 114).

მაგრამ, როგორც ირკვევა, მაზრის უფროსი გიორგი დადიშქელიანი გუბერნიის ან კავკასიის უმაღლესი ხელისუფლების მიერ იყო მოტყუებული.

1899 წელს ზუგდიდის მოსახლეთა სახელით კ. დარასელიას, გ. ნორაკიძეს, მ. წულესკირს და სხვებს კვლავ აღუძრავთ მთავრობის წინაშე დაბა ზუგდიდის ქალაქად გარდაქმნის საკითხი (Гвати,

К вопросу о преобразевании Зугдиди в город, გაზ. „Закавказье“, 1910 წ. №265).

1903 წელს რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაბა ზუგდიდის ქალაქად გარდაქმნა მიზანშეწონილად მიიჩნია. გახარებულმა ზუგდიდელებმა იმავე წელს თავიანთი ხარჯით ვინმე მიხაილოვს დაბის გეგმა შეადგენინეს („Закавказская речь“, 1911 წ. №90).

1906 წელს ზუგდიდის ქალაქად დამტკიცება-არდამტკიცების საკითხის გადაწყვეტა კავკასიის მეფისნაცვალს მიენდო, მაგრამ ამას მნიშვნელოვანწილად ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ნიკო დადიანს არ სურდა თავისი სასახლე, ეზო და ბაღი მომავალი ქალაქის ფარგლებში მოქცეულიყო. ამიტომ ზუგდიდის ეს ნაწილი ამოღებულ იქნა ქალაქის გეგმიდან (საისტორიო არქივი, ფ. 12, აღწ. 6, საქმე 251, ფურც. 89-90).

1908 წელს მინგრელსკის (ნიკო დადიანის) მამულების მმართველი თავადი ქოჩაკიძე დათანხმდა მომავალი ქალაქის საზღვრებში მოქცეულიყო ნამთავრალის კუთვნილი მიწები, მისი სასახლის, ეზოსა და ბაღის გამოკლებით. ამ მიწებს დადიანი უსასყიდლოდ უთმობდა ქალაქს (საისტორიო არქივი, ფონდი 12, აღწ. 6, საქმე 251, ფურც. 92-96).

მაგრამ ზუგდიდიდელები გაქალაქების საკითხს არ ეშვებოდნენ (Гвати, К вопросу о преобразевании Зугдиди в город, გაზ. „Закавказье“, 1910 წ. №265).

ზუგდიდისთვის ქალაქის სტატუსის მინიჭებას ხელს უშლიდა ის გარემოებაც, რომ კეიდიების (კედიების) საგვარეულოს ხუთი წარმომადგენელი, რომელთაც სახლ-კარი შიგ დაბა ზუგდიდში ჰქონდა, უარს ამბობდა მათი კუთვნილი მიწების ქალაქის ფარგლებში მოქცევაზე. ერთ-ერთმა მათგანმა, ივაკი ბეჟანის ძე კეიდიამ, ამის თაობაზე საჩივარი სენატშიც კი გაგზავნა. მიუხედავად ამისა, როგორც ზუგდიდის მაზრის უფროსის 1912 წლის 1 მაისის მოხსენებით ბარათშია აღნიშნული, კეიდიების ჩივილი საფუძველმოკლებულად იქნა მიჩნეული, რადგანაც ისინი იხდიდნენ რა სადაბო გადასახადს, ითვლებოდნენ დაბა ზუგდიდის და არა სოფელ ზუგდიდის მკვიდრებად (საისტორიო არქივი, ფონ-

დი 12, აღწ. 6, საქმე 251, ფურც. 92-96). დაბა ზუგდიდის იმ მკვიდრთ, რომელთაც არ სურდათ თავიანთი სახლ-კარის ქალაქის ფარგლებში მოქცევა, საბალახოდ ქალაქგარეთ გამოეყოთ 300 ქცევა მიწა („Закавказская речь", 1911 წ. №90).

1912 წლის 9 ივლისს ქუთაისის გუბერნატორმა მხარი დაუჭირა ზუგდიდის ქალაქად გარდაქმნისა და გრიგორიოპოლად გადარქმევის საკითხს. გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვალს წერდა: „ბრწყინვალე თავად მინგრელსკის ეზო-კარი, მიმდებარე ბაღითურთ, იმის გამო, რომ მათი მფლობელი წინააღმდეგია მოექცეს მომავალი ქალაქის ფარგლებში, ამოღებულია გეგმიდან. რაც შეეხება სხვა პირებს... რომლებიც მომავალი ქალაქის შუაგულშია, ჩემის აზრით ისინი უნდა შევიდეს ქალაქის საზღვრებში მიუხედავად იმისა, თანახმა იქნებიან მათი მფლობელები, თუ არა" (საისტორიო არქივი, ფონდი 12, აღწ. 6, საქმე 251, ფურც. 89).

თავდაპირველად ნავარაუდევი იყო ქალაქ ზუგდიდისათვის 700 დესეტინა მიწის გამოყოფა, მაგრამ ნიკო დადიანის ეზო-კარისა და სასახლის ბაღის გამოკლებით ქალაქისათვის გამოყოფილი მიწის ფართობმა 632 დესეტინა შეადგინა (საისტორიო არქივი, ფონდი 12, აღწ. 6, საქმე 251, ფურც. 89).

1916 წელს ზუგდიდის ქალაქად დამტკიცების საკითხი განიხილა კავკასიის მეფისნაცვლის საბჭომ. ამის თაობაზე გაზ. „საქართველო" წერდა: „დიდი ხანია ზუგდიდელები ცდილობენ მათი დაბა ქალაქად გადააკეთონ. ამისათვის არაერთი და ორი შუამდგომლობა აღუძრავთ სხვადასხვა დროს, მაგრამ ყოველი ცდა აქამდის უნაყოფოდ დარჩენილა. ეხლა 13 ამ თვეს მეფის ნაცვლის საბჭომ განიხილა ეს საკითხი და შეუწყნარებია ზუგდიდელების შუამდგომლობა. საბჭოს დადგენილება წარედგინა მეფის ნაცვალს პირად აზრის გამოსათქმელად. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ... დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე სასურველ რეზოლუციას წააწერს. საბჭოს დადგენილება საბოლოოდ დასამტკიცებლად წარედგინება სამინისტროს. ამ საკითხის განხილვის დროს ზოგი წევრი იმის მომხრე ყოფილა, რომ თანახმად არსებული წინადადებისა, დაბას სახელი გამოსცვლოდა, ზუგდიდის ნაცვ-

ლად გრიგოლიოპოლი დარქმეოდა, მაგრამ საბჭოს უმრავლესობას უფრო საფუძვლიანად უცვნია ძველი სახელი დარჩენილიყო, რადგან ეს სახელი ხალხის ტვინში უკვე გამჯდარია და არავითარი საჭიროება არ მოითხოვს იქიდან მის აღმოფხვრას" (გაზ. „საქართველო", 1916 წ. №156).

როგორც ირკვევა, არც ამჯერად დასდგომია საშველი ზუგდიდის ქალაქად დამტკიცების საკითხს. მხოლოდ 1917 წელს თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ელირსა ზუგდიდს გაქალაქება.

„მრავალ წლობით უპატრონოდ მიტოვებულ ზუგდიდს დემოკრატიის გამარჯვებამ სხვა დაბებთან ერთად ქალაქის სახელი არგუნა და განახლებისაკენ მოუწოდაო" – წერდა გაზეთი „ერთობა" 1917 წლის 20 სექტემბერს.

1917 წლის 1 ოქტომბერს ჩატარდა ზუგდიდის საქალაქო თვითმართველობის ხმოსანთა პირველი არჩევნები. მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 61 პროცენტმა. სოციალ-დემოკრატებს ერგოთ 10 ადგილი, სოციალ-ფედერალისტებს – 5 და ეროვნულ-დემოკრატებსაც – 5 (გაზ. „ერთობა", 1917 წ. №116).

ასე დაიწყო ზუგდიდის ისტორიის ახალი, ქალაქობის ხანა. სამწუხაროდ, ზუგდიდის ქალაქობა ამ ცოტა ხნის წინ შეეწირა ერთი კაცის ხელში მეტი ძალაუფლების მოქცევის მიზნით მთავრობის მიერ განხორციელებულ ადმინისტრაციული გამსხვილების პოლიტიკას, რომელმაც ადგილობრივი თვითმართველობა არარაობად აქცია.

ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის მაზრის მართვა XIX საუკუნეში და XX საუკუნის დამდეგს

სამეგრელოს სამთავროში ადგილობრივი მმართველობა ხელმწიფის ანუ მთავრის მოურავებისა და მისი მოადგილის ანუ **დადიანის მაგიერის** მეშვეობით ხორციელდებოდა. მოურავების ხელქვეითნი იყვნენ სოფლის მამასახლისები, რომელთაც სამეგრელოში ხელოსანი (ანუ ხელის, თანამდებობის მქონე) ერქვა. სამთავრო დაყოფილი იყო 12 სამოურაოდ, რომელთაგან ერთი **ზუგდიდის სამოურავო** იყო. ცნობები ზუგდიდის მოურავებისა და მოურავის მაგიერების შესახებ, რომელთაც ზოგჯერ **ზუგდიდის მოხელესაც** უწოდებდნენ, ძალიან ცოტაა.

1828 წლის ლევან V დადიანის მიერ აზნაურ ქორქიას ასულისათვის ბოძებულ წყალობის წიგნში მოწმედ იხსენიებიან „ზუგდიდის მოხელე საბაია ხვიტია და ხელოსანი ჯურუმია გუგუჩია“ (ქუთაისის მუზეუმი, საბ. №1203).

1840 წელს დავით დადიანმა სამთავრო მაზრებად დაყო. მაზრაში უმაღლეს ადმინისტრაციულ და სასამართლო ხელისუფალს წარმოადგენდა **მაზრის მდივანბეგი**, რომელსაც მოადგილეც ჰყავდა თანაშემწის სახით.

XIX საუკუნის შუა ხანებიდან ზუგდიდი იყოფოდა ორ ნაწილად: **ქალაქ ზუგდიდად** და **სოფელ ზუგდიდად**. ცნება **ქალაქი** პირობითი იყო. ქალაქს ეძახდნენ ძველად სავაჭრო ადგილს. ამიტომ დავით დადიანის ძალისხმევით ზუგდიდში დაფუძნებული ბაზარი, სადაც ვაჭართა და ხელოსანთა დუქნები მოეწყო, ქალაქად იწოდებოდა. ქალაქ ზუგდიდს ცალკე **განმგებელი** ყავდა. ეს იყო ქალაქთუხუცესის ხელქვეითი მოხელე, რომელსაც **ქალაქ ზუგდიდის გამგე** ეწოდებოდა (აბ. ტუღუში, სამეგრელოს სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, „სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში“, თბ. 1999, გვ. 250).

1854 წლის 20 ოქტომბერს დედოფალმა ეკატერინე ჭავჭავაძემ სამეგრელოს უზენაეს სასამართლოს აცნობა, რომ „განმგედ ქალაქთა ზუგდიდისა და სენაკისა მე განვაწესე პირველსა აზნაური გოგისა ყიფიანი, ხოლო მეორეს აზნაური გიგო გობეჩია“ (ქსძ, III, გვ. 793).

ზუგდიდის მაზრის მდივანბეგთა სია ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების მიხედვით ასეთი სახისაა:

თეიმურაზ სიმონის ძე აგიაშვილი (1842-1850)
კაცია გიორგის ძე ჩიჩუა (1851...)
დუტუ მანუჩარის ძე დადიანი (1852-1854)
ნიკო ბესარიონის ძე დადიანი (1855-1857)

ზუგდიდის ოლქისა და მაზრის უფროსები

მას შემდეგ, რაც 1857 წელს დედოფალი ეკატერინე რუსეთში გაიწვიეს და სამეგრელოს სამთავრო რუსეთის მთავრობამ სამართავად ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაუქვემდებარა, სამთავრო, რომელიც მანამდე რვა მაზრად იყოფოდა, სამ ოლქად (ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის ოლქებად) იქნა დაყოფილი და მათ სათავეში ოლქის მმართველები ჩაუყენეს (აბ. ტულუში, სამეგრელოს სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, „სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში", თბ. 1999, გვ. 251). ზუგდიდის ოლქის პირველი მმართველი იყო რაფიელ ერისთავი, რომელიც 1857-1861 წლებში განაგებდა მას. 1861 წელს იგი შეცვალა კორნეტმა იოსებ სიმონის ძე მიქაბერიძემ, რომელიც 1865 წლამდე ედგა სათავეში ოლქს. 1866-1867 წლებში ზუგდიდის ოლქის მმართველად ვხედავთ ფელიქს ლუდვიგის ძე კოლვანოვსკის, რომელიც მანამდე სენაკში მსახურობდა. 1868 წელს ზუგდიდის ოლქის მმართველად წყაროში უკვე ნიკო ბესარიონის ძე დადიანია დასახელებული. ის უნდა იყოს დიდი ნიკოს შვილიშვილი (ეს ცნობები ამოვკრიბე 1857-1868 წლები „Кавказский Календарь"-ების იმ ნაწილიდან, რომელსაც ერქვა „адресь Календарь").

1867 წელს სამეგრელოს სამთავრო გაუქმდა და უშუალოდ ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა. ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის ოლქები მაზრებად გადაკეთდა და მათ სათავეში მაზრის უფროსები ჩაუყენეს. „Кавказский Календарь"-ისა და სხვა წყაროების მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ზუგდიდის მაზრის უფროსთა ქრონოლოგიური სიის აღდგენა.

მაზრის პირველი უფროსი იყო ივან გრიგორის ძე ვახრამოვი. იგი მალე შეცვალა პიოტრ ფრანცის ძე გერარდმა, რომელსაც „Кавказский Календарь"-ის მონაცემებით, ამ თანამდებობაზე ვხე-

დავთ 1872-1876 წლებში. 1877 წლის დამდეგს ზუგდიდის მაზრის უფროსად დაინიშნა ადრე ზუგდიდის ოლქის უფროსად ნამუშევარი იოსებ სიმონის ძე მიქაბერიძე. მისი ხელი უმალვე დაეტყო ქალაქს, რომელიც მის დროს გაკოპწიავდა, ნამდვილ ქალაქს დაემსგავსა (გაზ. „დროება", 1877 წ. №38). იოსებ მიქაბერიძე ზუგდიდის მაზრის უფროსად იყო 1882 წლამდე. 1883 წელს მაზრის უფროსად უკვე ნიკოლაი ნიკოლაის ძე სპოლობოგი ჩანს. ის 1885 წლამდე განაგებდა მაზრას. 1886-1887 მაზრის უფროსის სავარძელი უკვე ლევან ტიმოთეს ძე ჯაყელს ეკავა. 1887-1888 წლების მიჯნაზე იგი შეცვალა კაპიტანმა ნიკოლაი ფიოდორის ძე ზაბელინმა, რომელიც 1888 წლის 15 აპრილს დაბეჭდილ ერთ წერილში (გაზ. „ივერია", №81) ზუგდიდის მაზრის უფროსადაა მოხსენიებული. ზაბელინი მალე, 1889 წელს, ზურაბ როსტომის ძე ყიფიანმა შეცვალა. ეს უკანასკნელი მაზრას განაგებდა 1893 წლამდე. 1894-1896 წლებში ზუგდიდის მაზრის უფროსი იყო თავადი გიორგი თენგიზის ძე დადეშქელიანი (1858-1917). 1897 წელს ზუგდიდს მაზრის უფროსად მოევლინა ვასილ არსენის ძე კეცხოველი, რომლის დანიშვნის პირველი დღეებიდან დაიწყო აუწერელი სისასტიკის, ადამიანთა აბუჩად აგდების, დაცინვისა და დაუსჯელი შეურაცხყოფების ხანა ზუგდიდის ისტორიაში. კეცხოველი იყო უზნეო, გულქვა, სასტიკი, ყოყლოჩინა კაცი. 1905 წელს სოფელ მუხურში მის მიერ ჩადენილი სისაძაგლეები აღწერილია ქუთაისის ვიცე-გუბერნატორ ა. ყიფშიძის მოხსენებაში (Революция 1905-1907 гг.в Грузии, Тб. 1956, стр. 505-507). კეცხოველი მოკლეს 1906 წლის 27 იანვარს, ქუთაისის ბაღში (სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრ. II, თბ. 1955, გვ. 357).

1906 წელს ზუგდიდის მაზრის უფროსად „Кавказский Календарь"-ში ნიკოლოზ ბეჟანის ძე ტატიევი (ანუ ტატიშვილი) არის დასახელებული. ჩვენთვის უცნობია, რამდენ ხანს იყო იგი ამ თანამდებობაზე, რადგან წყაროებში ცნობებს ვერ მივაკვლიეთ 1907-1909 წლების ზუგდიდის მაზრის უფროსების შესახებ.

1910-1912 წლებში ზუგდიდის მაზრის უფროსი იყო როტმისტრი ევგენი პიოტრის ძე ლავროვი, რომელიც 1913 წელს შესცვალა ნიკოლაი ვასილის ძე ჩერნოვმა. 1914 წლიდან 1917 წლამდე

ზუგდიდის მაზრას განაგებდა კაპიტანი ვლადიმერ ლუკას ძე გამყრელიძე.

1918 წელს ზუგდიდის მაზრის კომისარი იყო ლატარია, გლეხთა სამაზრო საბჭოს თავმჯდომარე კი ბ. კალანდარიშვილი.

ზუგდიდის ოლქის მმართველები

რაფიელ ერისთავი (1857-1861)
იოსებ მიქაბერიძე (1862-1865)
ფელიქს კოლვანოვი (1866-1867)
ნიკო დადიანი (1868)

ზუგდიდის მაზრის უფროსები

ივან ვახრამოვი (1869...)
პიოტრ გერარდი (1872-1876)
იოსებ მიქაბერიძე (1877-1882)
ნიკოლაი სპოლობოგი (1883-1885)
ლევან ჯაყელი (1886-1887)
ნიკოლაი ზაბელინი (1887-1888)
ზურაბ ყიფიანი (1889-1893)
გიორგი დადეშქელიანი (1994-1896)
ვასილ კელამოვი (1897-1905)
ნიკოლოზ ტატიშვილი (1906...)
ევგენი ლავროვი (1910-1912)
ნიკოლაი ჩერნოვი (1913...)
ვლადიმერ გამყრელიძე (1914-1917)

ზუგდიდის იერსახე XIX საუკუნეში და XX საუკუნის პირველ მეოთხედში

წერილობითი წყაროები და ძველი ნახატები თუ ფოტოდოკუმენტები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა ზუგდიდის იერსახის მეტნაკლები სისრულით წარმოდგენა, XIX საუკუნის შუა ხანებამდე თითქმის არ გაგვაჩნია. გვაქვს მხოლოდ XVII საუკუნის შუა ხანებში იტალიელი კათოლიკე მისიონერისა და მხატვრის ქრისტეფორო დე კასტელის მიერ ჩახატული ლევან II დადიანის სასახლე.

XIX საუკუნის შუა ხანებში ქალაქი ზუგდიდი სოფელ ზუგდიდის ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდეზე იყო გაშენებული. თვით სოფელი ზუგდიდი კი ძალზე დიდი იყო. 1868 წელს აქ ნამყოფი არქეოგრაფ-ისტორიკოსი ადოლფ ბერჟე წერდა: „მიდიხარ რამოდენიმე ვერსს და ჯერ კიდევ არ გათავებულა სოფელი ზუგდიდი, რომლის შემდეგაც იწყება სოფელი ლედგებიე" (А. Берже, Отрывок и путешествия по Мингрелии, გაზ. „Кавказ", 1868, №25, стр. 2-3).

იონა მეუნარგიას (1852-1919) მიერ ჩაწერილი მოხუც თვითმხილველთა (უფლისწულ გრიგოლ დადიანის, სახლთუხუცეს დავით ჩიქოვანის, თავადების – გუძა ჩიქოვანისა და ნიკო ფაღავას, აზნაურ მერაბ გრიგოლიას, მღვდელ სამსონ თვალთვაძის და სხვათა) გადმოცემების საფუძველზე შესაძლებელი ხდება მთლიანად ქალაქ ზუგდიდის თუ არა, მისი შუაგულის მშენებლობაზე გარკვეული წარმოდგენის შექმნა.

1835 წლამდე დავით დადიანი ცხოვრობდა დროებით (თვით დავითისავე სიტყვით „მწუთრ") სასახლეში. 1835 წლის 17 დეკემბერს ეს სასახლე, თავისი ავეჯით, როგორც მომდევნო წლის 13 იანვარს დავით დადიანის მიერ თავისი ძმისთვის – გრიგოლ და-

დიანისათვის გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, დამწვარა. მაგრამ ეს სასახლე დიდი ბედენა არ ყოფილა, „ვართი ცუდე ორდ მუთუნ" (არც სახლი ვარგოდა რამედ) – წერდა დავითი ამ წერილზე გაკეთებულ მეგრულ მინაწერში (ი. მეუნარგია, 1939, გვ. 55). ახალი სასახლის მშენებლობა დავით დადიანს 1838 თუ 1839 წელს დაუწყია. მისი ერთი ნაწილის მშენებლობა მალე დაამთავრეს. დავითმა ის ევროპული ფუფუნებით მოაწყო. თუმცა 1852 წელს სასახლის ნაწილი ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ყოფილა (გაზ. „Кавказ", 1852 წ. №76). მერაბ გრიგოლიას ცნობით, რომელსაც იმოწმებს იონა მეუნარგია, ეს სასახლე ორსართულიანი და 28 ოთახიანი ყოფილა. სასახლის შუაგული თურმე ქვისა იყო. მას ირგვლივ წაბლის სვეტებზე შემდგარი ხის მინაშენი ჰქონია შემოკრული (ი. მეუნარგია, 1839, გვ. 55-56).

ზუგდიდის ამ სამთავრო სასახლისა და საერთოდ იმდროინდელი ზუგდიდის იერსახის შესახებ ძვირფას წყაროს წარმოადგენს 1872 წელს „Кавказская старина"-ში დაბეჭდილი უცნობი მოღვაწის წერილი „სამეგრელოში მოგზაურობის ჩანაწერები". ამ წყაროს ცნობით, ზუგდიდში 300-მდე ფარდული და დუქანი, ორმოცამდე კერძო სახლი და დროებითი, ყოფილი საბატალიონო ეკლესიაა. „დაბა ზუგდიდს, – ნათქვამია ამ წყაროში, – ოდესლაც ჰქონდა ციხესიმაგრე, რომლის კვალი ახლაც შეიმჩნევა. ამ ციხესიმაგრის მახლობლად დგას ქვის ყოფილი სასახლე ლევან დადიანისა და მის წინაპართა. 1837 წელს ლევან დადიანს ხვდა ბედნიერება, აქ მიეღო იმპერატორი ნიკოლოზ პავლეს ძე... სასახლეზე მიშენებულია ქვის ფლიგელი, რომლის შენება მთავარმა დავით [დადიანმა] დაიწყო, მაგრამ მშენებლობა არ დაუმთავრებია, რადგან ის ფრიად არახელსაყრელ და პატარად მიიჩნია და თავისთვის აიშენა, იმ ადგილას, სადაც იდგა ძველი ხის ეკლესია, ევროპული გემოვნების სასახლე, რომელიც თურქებმა გადასწვეს 1855 წელს. მისი ნაწილი თუმც აღდგენილ იქნა 1859 წელს, მაგრამ 1863 წელს ადამიანთა გაუფრთხილებლობით დაიწვა და იმ დროიდან არ აღუდგენიათ" („Кавказская старина", 1872 г. стр. 68-72).

იონა მეუნარგიას მიერ თვითმხილველთაგან შეკრებილი ცნობებით, ამ სასახლიდან მარჯვნივ, ფერდობის გაყოლებაზე ჩამ-

წკრივებული ყოფილა უფლისწულ გრიგოლ დადიანის სასახლე, სამეგრელოს სამთავროს უზენაესი სასამართლოს შენობა, მთავრის სასტუმრო სასახლე, ზუგდიდის მაზრის სამდივანბეგო სახლი, კაცია ჩიჩუას სასახლე, მთავრის სალარო და მაღალი, სამსართულიანი, ზარბაზნებით შეიარაღებული კოშკი, საიდანაც ყოველ დღესასწაულზე ციხისთავი ზურაბ შენგელაია ზარბაზნებს აქუხებდა ხოლმე (ი. მეუნარგია, 1939, გვ. 53). 1825-1830 წლებში აშენებული და კარის ეკლესიად გამოყენებული ვლაქერნის ღვთისმშობლის ეკლესიის გვერდით, არხის გადმოღმა, სამთავროს კანცელარიის შენობა მდგარა, არხს გადაღმა კი რუსული კანცელარიისა (ი. მეუნარგია, 1939, გვ. 34). სამთავრო სასახლის მახლობლად, ბაღის დასაწყისთან მდგარა ოცდაოთხოთახიანი ნაბლის ფიცრული სახლი, რომელშიც სასახლის მოსამსახურენი ცხოვრობდნენ (ი. მეუნარგია, 1939, გვ. 56).

გრიგოლ დადიანის სასახლე, როგორც ჩანს, ხისა იყო და XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე იქნა აგებული ნამთავრალ მანუჩარ II დადიანის (მთავრად იჯდა 1792-1798 წლებში) მიერ. ეს სასახლე აქ გადმოუტანიათ წალენჯიხიდან, რომელიც მანუჩარ დადიანს საუფლისწულოდ ჰქონდა მიცემული (ი. მეუნარგია, 1939, გვ. 58).

1843 წელს საქართველოში იმოგზაურა დანიელმა დესპანმა აუგუსტ ჰაქსჰაუზენმა (1792-1866), რომელიც ზუგდიდსაც ეწვია. ზუგდიდში მას არც მთავარი ლევან V დახვედრია და არც ტახტის მემკვიდრე და სამთავროს იმდროინდელი განმგებელი დავით დადიანი, რომელიც თავისი სახლობით გორდის საზაფხულო სასახლეში ბრძანებულა. ამიტომ ჰაქსტაუზენისთვის მასპინძლობა გაუწევია ოდიშის მთავრის ერთ-ერთ მოხელეს („дворецкий или управляющи имуществом"), ეროვნებით ფრანგს, წოდებით მარკიზს, რომლის სახელს სამწუხაროდ არ ასახელებს. ეს ფრანგი 1812 წელს ტყვედ ჩავარდნილა რუსეთში. იქ იგი მოსამსახურე გამხდარა რომელიღაც რუსი გენერლისა, რომლის თბილისში გადმოყვანის შემდეგ სამეგრელოს მთავრის მსახური გამხდარა და ლუდოვიკოს დროინდელი პარიკით დადიოდა (ჰაქსტაუზენი, 1857, გვ. 14). აი, რას წერს ჰაქსტჰაუზენი ზუგდიდის შესახებ: „სამეგრელოს მთავრის რეზიდენცია ზუგდიდი... მდებარეობს

საშუალო სიმაღლის ბორცვის მინდორზე. მისი ერთი მხარი, იმ ვაკემდე გრძელდება, სადაც ჩვენ გამოვედით და განაშენებულია ორასამდე სახლითა და [მათი] მცირე ეზო-კარით. მათში ცხოვრობენ ჯარისკაცები და მათი მსახურები. მის მეორე მხარეზე ღია ვაკეა, რომელზედაც ჯგუფ-ჯგუფად დგანან ტოტებგაშლილი ძველი ხეები. მინდვრის შუაგულში დგას სასახლე...“ (ჰაქსტჰაუზენი, 1857, გვ. 15-16).

ხუთი წლის შემდეგ, 1848 წელს ზუგდიდს ეწვია ცნობილი ფრანგი მეცნიერი მარი ბროსე (1802-1881). მან დაგვიტოვა იმდროინდელი ზუგდიდის საკმაოდ კარგი აღწერა. „ახალი ზუგდიდი, – წერს მ. ბროსე, – შენდება ფართო ველზე, რომელსაც აღმოსავლეთით დადიანის სასახლე და ბაღი საზღვრავს, ჩრდილოეთით რამდენიმე სასახლე და პატარა მდინარე; დასავლეთით უფლისწულ გრიგოლის დროებითი სასახლე, მთავრის ძველი სასახლე, დაღმართით მდინარის პირას ჩამწკრივებულა სახლები და მათ შორის უფლისწულ გრიგოლის ჯერ დაუმთავრებელი სასახლეც... სამხრეთით საკმაოდ ვრცელი ბაზარი, აგებული დავით დადიანის მიერ, რომელსაც განზრახული აქვს აქ დიდი ბაზრობის გაჩაღება... აქ რამდენიმე ასეული სახლი აშენდა ამ ორ-სამ წლიწადში. თუ ასე გაგრძელდა მალე ზუგდიდი აყვავდება“ (ბროსე, 1849, გვ. 20-21).

დავით დადიანის სტუმართმოყვარეობით აღფრთოვანებული მარი ბროსე დაწვრილებით აღწერს მის ზემოთხსენებულ სასტუმრო სასახლეს, რომელიც ბაღის ბოლოში ყოფილა აღმართული. „ბაღის ბოლოში, – წერს იგი, – აღმართულია ჯვრისებური, მომრგვალებულ კუთხეებიანი სასახლე. ქვედა სართული ქვისაა, სტუმრებისათვის განკუთვნილი რამოდენიმე ოთახით. ზედა სართული მთლიანად ხისაა. ორტოტა, ლამაზ კიბეს, რომელიც შემდეგ ერთტოტა ხდება, ავყავართ დარბაზში. დარბაზის შუაგულში დგას ჯვრისებური, სამთავრო კარის სტუმრებისათვის განკუთვნილი 32-ადგილიანი მაგიდა. დარბაზის ჭერი ხისაა, ორ ფერად (ყვითლად და შავად) მოჩუქურთმებული, საიდანაც ეშვება ერთი ხის ნაჭრისგან გამოთლილი ჯაჭვი, რომელზედაც ჭაღი ჰკიდია. აივანზე ირგვლივ სკამებია, რომელზედაც ერთდროულად 300

კაცს შეუძლია ჯდომა, მაგრამ თუ სკამებს კიდევ დაუმატებთ, შეიძლება 500 კაციც დაეტიოს. ყოველ დარბაზს გააჩნია თავისი, მხატვრულად შემკული კესონი. ღია აივანი მთლიანად მორთულია. ბოძებს შორის ხის ჩუქურთმიანი რიკულები განსაკუთრებით შთამბეჭდავია, როცა ფანრებითაა განათებული" (ბროსე, 1849, გვ. 54)

ამ ჯვარედინა სასახლის შესახებ ცნობა მოიპოვება ანონიმი ავტორის ზემოთ დასახელებულ თხზულებაშიც. „აქვე ნახავთ ნატეხებს მარმარილოსი, – ნათქვამია ამ წყაროში, – და მაშინვე გადამწვარი ქვის სახლისა, რომელზედაც იდგა ხის სახლი, რომელზეც ხეკვეთილობის ბრწყინვალე ნიმუშები იყო და შუშებიანი გალერეით, სადა, როგორც ამბობენ, ეტეოდა 400 სტუმრამდე, რომლებიც მთავართან მხიარულობდნენ დიდი დღესასწაულებისას..." („Кавказская старина", 1872 г. стр. 68-72).

მარი ბროსემ არა მარტო აღწერა ეს ჯვარედინა სასახლე, არამედ დაგვიტოვა უცნობი მხატვრისა თუ ხუროთმოძღვრის მიერ დახატული მისი ხედი და გეგმა.

სამწუხაროდ, მარი ბროსეს მიერ ნაწინასწარმეტყველებ ზუგდიდის აყვავებას იმხანად ასრულება არ ეწერა. 1856 წელს, უკანდახევისას თურქმა დამყრობლებმა ცეცხლს მისცეს მთელი ზუგდიდი. მხოლოდ ორად-ორი ეკლესია, როზმორდიუკის ძაფსახვევი ქარხანა და ბაუმერტის საწარმო დაინდეს (Акты, XI, стр. 259). ამ წყაროს ცნობა როზმორდიუკის ქარხნის დანდობის შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან რუსი მოხელე კორნელი ბოროზდინი, რომელიც წლების განმავლობაში სამთავრო კარზე ცხოვრობდა და დაწვრილებით იცოდა იმ დროის სამეგრელოს და კერძოდ ზუგდიდის ამბები, გვაუწყებს, რომ ომერ-ფაშას თავდასხმისას თურქებს დაუწვავთ როზმორდიუკის საფეიქრო ქარხანაც, რასაც ძლიერ აღუშფოთებია ეს ფრანგი მეწარმე. იგი სტამბოლში ჩასულა და იქ საფრანგეთის ელჩთან უჩივლია ომერ-ფაშასთვის. საფრანგეთის ელჩმა თურქეთის მთავრობა აიძულა როზმორდიუკისთვის 15.000 მანეთი მიეცა (ბოროზდინი, 1934, გვ. 48).

თურქთა მიერ ზუგდიდის გადაწვის მიზეზი, გარკვეულწილად თვით ბოროზდინის ცნობით, მეგრელთა წინდაუხედავი მოქმედე-

ბა ყოფილა: როცა ისკანდერ-ფაშა, რომელიც ზუგდიდში იდგა, თავისი რაზმით უკანდახეულ ომერ-ფაშას ძირითად ძალებთან დაიძრა, მეგრელთა ლაშქარი ზუგდიდში შეიჭრა, აქ თურქთა მეციხოვნეებს დაეცა და მისი დიდი ნაწილი დაატყვევა. „ეს რომ გაიგო, ისკანდერ ფაშამ, საშინლად გაბრაზდა და განიზრახა მეგრელებისათვის სამაგიერო გადაეხადა. დაბრუნდა ზუგდიდში, გადაბუგა მთელი დაბა, მთავრის სასახლე, წინასწარ სასახლიდან ყველა ძვირფასი ნივთი გააზიდვინა, ორანჟერეებიდანაც, რისი გამოტანა შეიძლებოდა ყველაფერი გაატანინა, ხოლო ბაღში ხეები სულ ძირში დააჭრევინა. ამ სახით, ის საუკეთესო ბაღი, რომელიც დედოფალმა [ეკატერინემ] გააშენა და რომელსაც თვალის ჩინივით უვლიდა, მიწასთან იქნა გასწორებული“ (ბოროზდინი, 1934, გვ. 48).

ზუგდიდი უკვე მერამდენედ ისევ ფერფლისგან უნდა აღმდარიყო. ზუგდიდელთა შრომისმოყვარეობამ და რუდუნებამ მალე გამოიღო შედეგი. აშენდა ახალი, კიდევ უფრო კოპწია და მიმზიდველი სახლები, დუქნები, ფუნდუკ-ქარვასლები, სამიკიტნოები. ქალაქი სწორედაც რომ დაამშვენა დადიანთა ახალმა სასახლეებმა და რაფიელ ერისთავის თავკაცობით ჩაყრილმა ჭადრების ხეივანმა.

XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს მისთვის ჩვეული სიზუსტითა და სრულყოფილებით ზუგდიდი აღწერა ავსტრიელმა მწერალმა ქალმა ბერტა ფონ ზუტნერმა (1843-1914), რომელიც 1878 წლიდან მთელი ხუთი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ამ ქალაქში. „აქ, – წერს ბერტა ფონ ზუტნერი, – ერთ წყებად ჩამწკრივებული იყო აღმოსავლური სახის სახლები. დუქანი დუქანს მისდევდა, სავაჭრო ფარდული სავაჭრო ფარდულს ეკვროდა. ამიტომ ამ ადგილს ბაზარს ეძახდნენ. ამასთან ამ ადგილს ბულვარსაც უწოდებენ, რადგან ქუჩის ორივე მხარეს უზარმაზარი ხეები დგას. ამ აღმოსავლური უბნის გარდა ზუგდიდში იყო აგრეთვე პატარა ქოხები, რომლებშიაც ვიურტემბერგელი გლეხები ცხოვრობდნენ. ეს იყო „გერმანული ახალშენი“. ქალაქში იდგა ერთმანეთს დაშორებული ხის სახლები, რომელთაც ირგვლივ აივნები ერტყათ. ცოტა მოშორებით, ერთ ბაღში იდგა გრაფ როზმორდიუკის ვილა.

დიდ ბაღში დედოფლის დროებითი საცხოვრებელი სახლი აეშენებინათ, ბაღის შუაგულში კი აღმართული იყო დაუმთავრებელი ბრწყინვალე სასახლე" (ბ. ზუტნერი, 1909; კაკაბაძე, რუხაძე, 1963, გვ. 56-66).

გაზეთი „ივერია" 1886 წელს წერდა: „ზუგდიდიდან გვწერენ, რომ თუმცა ჩვენი ქალაქი პლანზეა გაშენებული, ბულვარიც აქვს და აქედ-იქიდამ ჭადრების ხეები არიგებულ-ჩარიგებული, მაგრამ მაინც ამ ბოლო დროს სისუფთავეზე და სიფაქიზეს ვერ დაიქადილებს" (გაზ. „ივერია", 1886 წ. №85).

1877 წლის დამდეგს ზუგდიდის მაზრის უფროსად დაინიშნა ი. მიქაბერიძე. მისი ხელი უმალ დაეტყო ქალაქს. აი, რას წერდა ამის შესახებ ერთი უცნობი ზუგდიდელი მოღვაწე: „ეხლა აქ... ალეიაში (ბულვარში) მოდის წმინდა და დიდი წყალი, რომელსაც აქეთ-იქეთ ნაპირები აქვს ამოყვანილი ღობით ანუ ქვებით. წყალზედ არავის ნება არა აქვს ცხენი მოიყვანოს და წყალი ასვას. გაღმა-გამოღმით წყალს ნაპირზედ აქვს კიბეები, საიდანაც კაცს შეუძლია წყლის ამოღება. მშვენივრად გასწმინდეს ხეები ბულვარში. აქ ახლა ველარ იპოვის კაცი ღორებსა და ძაღლებს, რომლებიც წინეთ ძლიერ სვრიდნენ ბულვარს და დიდ უსიამოვნებას აძლევდნენ კაცსა. დუქანზედ წინ აღარ იპოება ჩამოკიდებული ფარდები, არც აწყვია შეშები და არც ყავრები. მშვენიერად გასწმინდეს, მოკირწყლეს და გააკეთეს ქუჩები, სადაც მანამდის სიარული არ შეეძლო კაცსა, ისეთი საძაგელი სუნი იდგა" (გაზ. „დროება", 1877 წ. №38).

1883 წელს ოდესაში, ფრანგულ ენაზე გამოიცა ფრანგი მოღვაწის ჟიულ მურიეს წიგნი „სამეგრელო", რომელიც იმდროინდელი ყოფის ამსახველ უძვირფასეს და უბრწყინვალეს ნაშრომს წარმოადგენს. ამ წიგნში მთელი სამეგრელოა სოფელ-სოფელ აღწერილი. აქ გვაქვს ზუგდიდის აღწერა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია რომ წიგნში დაბეჭდილი ნახატები, რომლებზედაც გამოსახულია სამეგრელოს (კერძოდ ზუგდიდის) ხედები, ჟიულ მურიეს აღწერილობასთან ერთად თითქმის სრულყოფილად წარმოგვიდგენენ იმდროინდელი ზუგდიდის იერსახეს. ეს უწინარესად ითქმის სურათზე, სადაც გამოსახულია ზუგდიდის ხედი

ჭადრების ახალამოყრილი ხეივნის გასწვრივ. მაგრამ არანაკლებ საყურადღებოა თვით ჟიულ მურიესეული აღწერილობა ზუგდიდისა: „სამეგრელოს მთავრის მემკვიდრის ახალი სასახლის გარდა, აქ არის მისი ძველი სასახლე და დიდი გემოვნებით აგებულ, საუცხოო, ფრანგულად მორთული სახლი უფლისწულ მიურატისა, დანარჩენი სახლები ხისაა. ზემოთ, იქ სადაც ძველი ზუგდიდი იყო, ბიზანტიური სტილის ქვის პატარა ეკლესია მოსჩანს, რომელიც დადიანთა დინასტიის მბრძანებლობის ხანის ისტორიულ ნაგებობათა იშვიათ ნაშთს წარმოადგენს. მთავარ დადიანის ციხე-დარბაზის გვერდით არის ახალი ეკლესია, რომელიც იმპერატორის ბრძანებით არის აგებული. ბაზრის შესასვლელთან არის ხის ორი ეკლესია, რომლებიც მოსახლეობის სარწმუნოებრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ. სასამართლოს, მაზრის უფროსის კანცელარიის, ფოსტის, ევროპა-ინდოეთის კაბელის ტელეგრაფის, რუსეთის ტელეგრაფის, ერთიც სკოლის და რამდენიმე პატარა სახელოსნოს შენობები განლაგებულია ჭადრების ლამაზი ხეივნის გასწვრივ, მის მთელ სიგრძეზე, ხეივნისა, რომელიც ლამაზ სასეირნო და სავაჭრო ადგილს წარმოადგენს“ (მურიე, 1883, გვ. 189).

XIX საუკუნის მიწურულისათვის ზუგდიდი კიდევ უფრო დამშვენდა. 1893 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა: „ზუგდიდი დღედღეზე წარმატებაში შედის. ნაცვლად ხის შენობებისა ააგეს ქვის შენობები და ლამაზად გადაჭიმეს ქვის დუქნები, სახლები, ქარვასლები“ (გაზ. „ივერია“, 1893 წ. №142).

ცნობილი მეურნე და მეცნიერი გიორგი ჩიჩუა, რომელმაც 1894 წელს მთელი სამეგრელო შემოიარა ადგილობრივი მეურნეობის შესწავლის მიზნით, ზუგდიდის შესახებ იმავე წელს გაზეთ „ივერიაში“ წერდა: „თვით დაბა ზუგდიდი, მას შემდეგ რაც მამული შეისყიდეს თავად ნიკოლოზისაგან აქაურმა ვაჭრებმა, საკმაოდ გაშენებულა და მრავალი ქვითკირის მაღაზიები აუგიათ, ორსართულიანი ქვითკირის სახლები აუშენებიათ და რამდენიმე ქუჩა გაუყვანიათ. ერთი სიტყვით ეს ქალაქი თანდათან იზრდება და მცხოვრებთა რიცხვსაც უმატნია. ზუგდიდს აქვს მშვენიერი მდებარეობა და ზეგანი ადგილები. გარშემო არტყია ტყეები და

მასთან სამუშაო სათოხარი ადგილებიც საკმაოდ აქვს. ზუგდიდი ერთი უპირველესი დაბაა ახლა ქუთაისის გუბერნიისა და სხვა დაბათა შორის. ზუგდიდელებისათვის ვერ არის მხოლოდ ის გარემოება, რომ საყდარი არა აქვთ. თუმცა არის ერთი ხის საყდარი ძველი აშენებული, რუსის ჯარისათვის, მაგრამ ამისთანა პატარა ხის საყდარი საკმაო არ არის ზუგდიდელებისათვის" (გ. ჩიჩუა, მოგზაურობა სამეურნეო ნარმოების შესასწავლად ქუთაისის გუბერნიაში, გაზ. „ივერია", 1894 წ. №13).

XIX საუკუნის ზუგდიდის იერსახეზე საყურადღებო ცნობებს გვაწვდის რუსი ისტორიკოსი ვ. ივანენკო. „ახალი ქალაქის ასაშენებლად, – წერს იგი, – საჭირო იყო ტყეებისა და ბაღებისაგან გაწმენდილიყო ბევრი ადგილი. ამიტომ სამთავრო სასახლის ირგვლივ მცხოვრებლებმა დათმეს თავიანთი ადგილები, რომლებზედაც გაშენდა დიდი სამთავრო ბაღი, სამეურნეო ნაგებობანი, სახლები, დუქნები, მოედანი და სხვა... [აქ მოსახლეთა] 120 კომლი გადასახლდა ენგურის მომიჯნავე სოფელ კახათში. მე მითხრეს, რომ 1840 წელს ზუგდიდის მოსახლეობა შეადგენდა 900 კომლს, ახლა კი 700 კომლს შეადგენს... გრიგორიოპოლის დღევანდელი მოსახლეობა კი შეადგენს 250 კომლს და მათში 950 სული მამრობითი და 620 სული მდედრობითი სქესისა შედის, თუ არ მივათვლით კაზაკთა ასეულს... სახლები, რომელშიც ზუგდიდის ძველი და ახალი მოსახლეობა ცხოვრობს ხისაა. იშვიათად აქვს რომელიმე ამ სახლს ქვის საძირკველი. ყველა სახლი მუხის მსხვილ ბოძებზე დგას" (ივანენკო, 1901, გვ. 487; ზუგდიდის მუზეუმი, ლიტ. არქივი, №1905).

XX საუკუნის დამდეგის ზუგდიდი აღწერილი აქვს ე. გოგავას, წერილში, რომელიც 1911 წელს გამოქვეყნდა. „მდებარეობით, – წერს იგი, – ზუგდიდს უჭირავს მაღალი ადგილი. სინოტივეც ზოგ სოფელზე უფრო ნაკლებია. ზუგდიდს მოსვლისთანავე მგზავრი პირველათ შეამჩნევს ორსართულიან ქვა-აგურის შენობას სამოქალაქო შკოლისა. მას შემდეგ ბაზარია და თითქმის ბაზრის განაპირას სასამართლოები და სასახლეა თავად მინგრელსკისა. სასახლე მოთავსებულია ერთ დიდ ეზოში. სასახლე ორია. პირველი აღმოსავლეთის მხრით, მეორე დასავლეთ-ჩრდილოეთის

მხრით. მეორე სასახლის აღმოსავლეთ მხრით სდგას საკუთარი კარის ეკლესია, სადაც უფრო კვირე-უქმე დღეებში სრულდება წირვა-ლოცვა. სასახლის ეზოს საზღვრებიდან სამხრეთიდან იწყება ბაღი... ზუგდიდი წარმოადგენს პატარა ლამაზ ქალაქს" (გაზ. „კოლხიდა", 1911 წ.).

ზუგდიდს დასავლეთიდან ჩაუდიოდა მდინარე ჩხოუშია, რომლის გადაღმა მდებარე სოფლებს XIX საუკუნის მიწურულიდან ხიდით უკავშირდებოდა. მაგრამ თუ რას წარმოადგენდა ეს ხიდი, კარგად ჩანს გაზეთ „ივერიაში" დაბეჭდილი ერთი წერილიდან, სადაც ნათქვამია: „მდინარე ჩხოუშს, რომელიც ზუგდიდს გვერდით ჩაუდის, როგორც იქნა ელირსა ხიდი. მაგრამ ვაი ამისთანა ხიდობას... შუა მდინარეში ისე სდგას, რომ ვერც ერთს მეორისაგან ჩიტი ვერ შეფრინდება" (გაზ. „ივერია", 1897 წ. №91).

საარქივო მონაცემებით, 1913 წელს ქალაქ ზუგდიდში ყოფილა 186 ქვის და 552 ხის ნაგებობა (საქართველოს საისტორიო არქივი, ფ. 12, აღწ. 6, საქმე 231, ფურც. 101).

სასახლის ბაღი. ზუგდიდის ნამდვილი მშვენება იყო სამთავრო სასახლის ბაღი. 1840 წელს, სამთავროს მართვა-გამგეობის ტახტის მემკვიდრის, დავით დადიანის ხელში გადასვლის დღიდან დაიწყო ამ ბაღის გაფართოება და დამშვენება. დავით დადიანმა მოიწვია იტალიელი (ტრიესტელი) მებაღე ჯუზეპე ბაბინი (რომელსაც ფრანგულის ზეგავლენით ჟოზეფს ეძახდნენ), დასავლეთის საუკეთესო ბაღებიდან ჩამოიტანეს იშვიათ მცენარეთა თესლები და ნერგები და სულ მალე ეს ბაღი ისეთი მშვენიერი შეიქმნა, რომ 1848 წელს ზუგდიდში ჩამოსული მრავლის მნახველი ფრანგი მეცნიერი მარი ბროსე აღტაცებულა.

სასახლის ბაღის შესახებ ცნობები დაცულია 1872 წელს **„Кавказская старина"**-ში დაბეჭდილ უცნობი მოღვაწის წერილში „სამეგრელოში მოგზაურობის ჩანაწერები", სადაც ვკითხულობთ: „ამასთან მთავარმა ამ სასახლესთან ევროპული ნიმუშის ბაღი გააშენა ორანჟერიით, რომელიც, ამ სახის ლამის ერთადერთი [ბაღი] იყო მთელს იმპერიაში, იშვიათი მცენარეების ცალებით, კლიმატური პირობების გამოისობით უზარმაზარნი რომ იყო.

ეს ბაღი სასახლესთან ერთად აოხრებულ იქნა ისკანდერ-ფაშას მიერ. როგორც ერთის ასევე მეორეს ასაოხრებლად ის მთელი კვირა ემზადებოდა. უწინარესად ყოვლისა წაიღეს მთელი ავეჯი და ძვირფასი ნივთები ოცი ათასისა, აგრეთვე იშვიათი ნარგავები. წაიყვანეს სწავლული მებაღეც და ყოველივე ეს... როგორც ამბობენ ურმებით იქნა გადატანილი რედუტ-კალეში ომერ-ფაშასთვის. შემდეგ სასახლის კარების ჩარჩოები ნავთით იქნა გაპოხილი, სახლი გამოტენეს თივით (хворостом) და ცეცხლი წაუკიდეს, ბაღი კი ძირში იქნა აჩეხილი. აქედანვე აიღეს ბრინჯაოს შვიდი ზარბაზანი, რომლებიც ჩამარხეს ბაღში, ტბორთან. ბაღი ამის შემდეგ ძირიდან ამოიყარა და აყვავდა, თუმც ჯერ კიდევ ეტყობა დავერანების მძიმე კვალი" („Кавказская старина", 1872 г.стр.71-72).

თურქთა მიერ 1856 წელს აჩეხილი ამ სასახლის ბაღის აღდგენას დედოფალი ეკატერინე შეუდგა. მან კვლავ ჩამოატანინა იშვიათ მცენარეთა თესლები და ნერგები, მოიწვია ახალი მებაღე, იტალიის ქალაქ ვარეზეს მკვიდრი გაეტანო ზამბერლეტი, შემდეგ კი მისი ძმა ჯიოვანი ზამბერლეტიც და სასახლის ბაღი მკვდრეთით აღადგინა. (გვანჯი მანია, ზუგდიდის ბაღთა ბაღი, ჟ. „დროშა", 1973 წ. №6).

1882 წელს ეკატერინე ჭავჭავაძე გარდაიცვალა და ამ ბაღს მზრუნველი ხელი მოაკლდა. გაზეთი „ივერია" 1886 წელს წერდა: „ჩვენი ქალაქის მშვენება იყო ბაღი სამეგრელოს მთავრის დავით დადიანისა... ეს დიდი ბაღი ახლა უდაბურ ტყეთ არის გადაქცეული და შიგ კაცების მაგიერ მგლები, ტურები და სხვა ნადირნი დასეირნობენო" (გაზ. „ივერია", 1886 წ. №85). 1894 წლის 19 იანვარს გაზეთი „ივერია" ზუგდიდის სასახლის ბაღზე სინანულით წერდა: „ბაღთა ბაღის მოვლისათვის, ცოტა არ იყოს, თავი მიუნებებიათ... თუ ეს ბაღი კიდევ რამოდენიმე წელიწადს დარჩა ამ მდგომარეობაში, უდაბურ ტყედ გადაიქცევა".

ზუგდიდის წინსვლა-განვითარების უმთავრესი მტერი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ მეოთხედის მანძილზე ხშირი ხანძრები იყო. ანონიმი ზუგდიდელი ავტორი გაზეთ დროებაში გამოქვეყნებულ წერილში დამაჯერებელი სიმძაფრით აღწერს 1870 წლის 2 იანვარს, ღამით ზუგდიდში გა-

ჩენილი დიდი ხანძრისას დატრიალებულ საშინელებას. „მთელი ზუგდიდის ბაზარ ადგილს, – წერს იგი, – სადაც ვცხოვრობთ ჩინოვნიკობა და ვაჭრები, შემოერტყა გარშემო საშინელი ცეცხლი... საცოდავი სანახავი იყო იმ დროს მცხოვრები, მეტადრე ქალები და ყმაწვილები. ქალები მუხლებზედ ეხვეოდნენ ყველას, ვისაც ხედავდნენ, რომ ეშველათ ამათთვის და ამათის სარჩო-სამყოფისათვის. ბავშვების ჟრიამული ზეცამდის ადიოდა. ბოლოს სულ მოახლოვდა ზუგდიდს ცეცხლი". ქალაქში არსებული ნაგებობებათა უმეტესობა ხისა იყო. ამიტომ საკმარისი იყო ერთი ნაპერწკალი, რომ მთელი ზუგდიდი გადამწვარიყო. მაგრამ ბედად ქალაქი გადარჩა (გაზ. „დროება", 1870 წ. №2). ამ ხანძრისაგან ყველაზე მეტად დაზარალდა სოფლები აბასთუმანი, ყულიშკარი, კორცხელი და ცაიში. „ლაპარაკობენ, რომ მთლათ ანაკლია, ენგურსა და გურიას შორის სოფლით და ტყით სულ გადაიწვაო" – წერდა გაზ. „დროება" (1870 წ. №2).

1910 წლის მიწურულს „სახალხო გაზეთში" დაიბეჭდა „წერილი ზუგდიდიდან", რომელშიც ნათქვამია: „19 დეკემბერს, ღამით აქ ერთ დუქანს ცეცხლი გაუჩნდა, მალე ცეცხლი მოედო სხვა დუქნებსაც და ერთი საათის განმავლობაში 10-15 შენობა გადაიწვა სხვადასხვა გვარი სავაჭრო საქონლით. ჩვეულებრივ არავითარი ცეცხლის საქრობი მანქანა ან იარაღი არ აღმოჩნდა ქალაქში და მხოლოდ ხალხის თავგანწირულმა მეცადინეობამ და ჰაერის სიწყნარემ გადაარჩინა დაბა სრულს განადურებას... ზარალი დიდია. ასეთი მოვლენა აქ პირველი არ არის. შარშანაც საუკეთესო ქუჩა გადაიწვა" („სახალხო გაზეთი", 1910 წ. №191).

1918 წ. 23 ნოემბერს დილის 4 საათზე ცეცხლი გაუჩნდა და გადაიწვა ზუგდიდის სასამართლოს შენობა (გაზ. „ერთობა", 1918 წ. №257).

ზუგდიდის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ხანძარი 1921 წლის 10 მაისს გაჩნდა. ხანძარმა შთანთქა 28 სახლი და უამრავი დუქანი (ზუგდიდის არქივი, ფ. 1. საქმე 9, ფურც. 26-28). ზუგდიდისათვის დიდი ზარალი იყო არა მარტო ამდენი სახლისა და დუქნის ჩაფერფვლა, არამედ იქ დაცული თუნდაც ისეთი უძვირფასესი რამ, როგორიც იყო კერძო ბიბლიოთეკები. მაგალითად

ზუგდიდის ქალ-ვაჟთა გიმნაზიის VIII კლასის მოსწავლეს, მიხა მამფორიას დაეწვა საკუთარი ბილიოთეკა, რომელშიც 4000 წიგნი იყო დაცული (ზუგდიდის არქივი, ფ. 1. საქმე 10, ფურც. 10).

ხუროთმოძღვრული ძეგლები. ზუგდიდში რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლია. ესაა ორი ქვის და ერთი ხის ეკლესია, ორიც სასახლე და ერთი კიდევ სასახლის ნანგრევი. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ძველ ზუგდიდში, მანცხვარკარის გორაზე მდგარი გუმბათოვანი ეკლესია, რომელიც XIV საუკუნის დამდეგს უნდა იყოს აგებული. ძეგლზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ მას ადრე კორცხელის ტაძრის მსგავსად დასავლეთიდან თაღოვანი აივანი ჰქონდა, რომელიც შემდეგ ალბათ ამოშენებული იქნა, რათა გაზრდილიყო ეკლესიის შიდა სივრცე. ეკლესიის ამ ნაწილზე სამრეკლო დააშენეს, როგორც ჩანს, XIX საუკუნის მიწურულს, რადგან ჟიულ მურიეს 1883 წელს გამოცემულ წიგნში დაბეჭდილ ნახატზე, რომელზედაც ეს ეკლესიაა გამოსახული, მას სამრეკლო არა აქვს.

* * *

ზუგდიდის სასახლის ბაღის შესახებ

იხ. გიორგი ჩიჩუა, „მოგზაურობა სამეურნეო წარმოების შესასწავლად ქუთაისის გუბერნიაში“, გაზ. „ივერია“, 1894 წ. №19;

ილია გოგია, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, ზუგდიდის მუზეუმის შრომები, ტ. I, თბ. 1947, გვ. 87-109;

ა. მიქავა, ტყე პარკი ზუგდიდში, ჟ. „საქართველოს ბუნება“, 1966 წ. №1; ო. კვარაცხელია, საინტერესო ძეგლი, ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1967 წ. №1, გვ. 46-48;

გვანჯი მანია, ზუგდიდის ბაღთა ბაღი, ჟ. „დროშა“, 1975, №6;

ჯ. გიორბერიძე, საქართველოს ძველი ბაღები და პარკები, თბ. 1985 გვ. 52-55;

ალ. მიქავა, ზუგდიდის კულტურისა და დასვენების პარკი (წარსულის ფურცლებიდან) გაზ. „მებრძოლი“, 1963 წ. №68;

ლიტერატურა:

ბოროზდინი, 1934 – კორნელი ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, ტფ. 1934.

მარი ბროსე, 1849 – M. Brosset, Rapports sur un voiage arqeologique dans la Gèorgie et dans l'Armenie. Antiquitès de la Mingrelie-Odich. SPB. 1849.

ბ. ზუტნერი, 1909 – Berta von Suttner, Memoiren, 1909.

კაკაბაძე, რუხაძე, 1963 – ნ. კაკაბაძე, ნ. რუხაძე, კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში, თბ. 1963.

ი. მეუნარგია, 1939 – იონა მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბ. 1939.

მურიე, 1883 – J. Mourier, La Minglie, Odessa,1883.

ჰაქსტჰაუზენი, 1857 – А. Гакстгаузен, Закавказский край, ч. 1, СПБ, 1857.

დედოფლის სასახლე. ამ სასახლისათვის საჭირო 200 ღერი კოპიტი უყიდიათ მანუჩარ და მაქსი ქოჩაკიძეებისაგან, 100 ღერი კოპიტი თეკლათელ მიხეილ ჩხეტიასაგან, 200 ღერი მუხის ფიცარი გუდია კეიდიასაგან, აბასთუმნის ხუბულეთის ტყეში მოუჭრიათ 23 ძირი მუხა და ამ მუხებიდან გამოსულა 275 ძელი, რომლებიც ზუგდიდში ჩაიტანეს. ფოთიდან მოიტანეს 44 ფუთი რკინა. 1876 წელს მიმინოშვილს, რომელიც

როგორც ჩანს ხელოსანი იყო, დაუხარჯავს 113 ფუთი რკინა. აქედან ლურსმანი ყოფილა 27 ფუთი, ხოლო ტყვია 24 ფუთი (ზუგდიდის მუზეუმი, საკანცელარიო არქივი, №1257).

1874 წლის 6 დეკემბრის პირობა შეკრეს თ. ახველედიანმა და აზნაურმა ფაშუტია ხვიტიამ. ამ პირობის ძალით, ხვიტიას ენგურის პირიდან უნდა მოეტანა 200 „დიდი და კარგი სახერხი ფიჭვის ხე" თავისი ხარჯით თითოეული ხე ოთხ აბაზად (საკანც. 1257, საბ. 2).

1875 წელს ასეთივე ხელშეკრულებას მოაწერა ხელი თომა ახველედიანმა თათარ ხასან ხამზოლლისთან 200-დან 500-მდე ფიჭვის ხის შესყიდვა-ჩამოზიდვის თაობაზე.

დოკუმენტმა შემოგვინახა ზუგდიდის სასახლის მშენებლობაზე ერთერთი ქვის მთლელის ვინაობა. [18]74 წლის 14 დეკემბერს უცნობ ხუროთმოძღვარს ერთგან ჩაუნიშნავს: „თლილი ქვა არის საჭირო... ერთი არშინი და სამი ვერშოკი ოთხივ კუთხივ და ცხრა ვერშოკი სისქე უნდა ექმნეს გათლილი... ჩააბარე თევდორეს გასაკეთებლად" (საკანც. 679, ფურც. 13).

1873 წ. 1 ნოემბერს დედოფლის ვექილმა თომა ახველედიანმა ზუგდიდელ ივანე ჩილაჩავასთან და დავითია ჭაბუკიანთან შეკრა პირობა, რომლის ძალითაც ჩილაჩავა და ჭაბუკიანი ვალდებულნი იყვნენ „მთავრინას სახლის შენობის" საჭიროებისათვის მიეტანათ „სამოცი საჟენი ჩხოუშის სილა საშენებელი" ერთი თვის ვადაში, რის სანაცვლოდ მიიღებდნენ 360 მანეთს (საკანც. 675). სასახლის კარ-ფანჯრების ჩარჩოები იყო მუხისა, იატაკი კოპიტისა ან წაბლისა, სახურავის საბადურე ძელები ფიჭვისა (საკანც. 676).

სასახლის ხის ნამზადზე, ფიცარზე და სხვაზე შეკვეთა მიიღო პავლე ხუბუტიამ (საკანც. 679, ფურც. 6).

სასახლეში იყო „ვექილის ახვლედიანის ოთახი", „საშინაყმო ოთახი", სასტუმრო ოთახი, ლაქიების ოთახი, „ტაბლეტოტის ოთახი", „ქალების ოთახი", სამრეცხაო, მარანი. თავთავიანთი ოთახები ჰქონდათ მზარეულს, მეეტლეს, ხაბაზს, მებაღეს, მებაღის მოწაფეებს, მოახლეს და სხვას. სასახლეს რამოდენიმე შესასვლელი ჰქონდა (დედოფლის სადარბაზო, სასტუმრო სადარბაზო, სამოსამსახურო კიბე, საშინაყმო კიბეები, სამოხელეო კიბე (საკანც. არქივი, №2591, ფურც. 1-8).

1. ზუგდიდის „დიდი პალატის“ აშენების შესახებ ხელშეკრულება მთავრის ვექილსა და ხოჯა მინასოვს შორის. 1872-1873 წწ. (16 ფურც.) საკანც. 5079

2. დურგალი თათუხაშვილები. 1874 წ. (8 ფურც.) საკანც. 4007.

3. თევდორე ბერძენის ხელწერილი დედოფლის სასახლის შესახებ. 1874 წ. (27 ფურც.) – საკანც. 4147.

4. უსტაბაშ ქეისმენ ემინ ბექტომ-ოღლის წერილი 20 კალატოზის მოყვანის შესახებ. 1875 წ. (2ფურც.) – საკანც. 3302.

5. იხ. აგრეთვე საკანც. 3296, 3299.

6. პირობის წერილი მიცემული ჩილაჩავას და ჭაბუკიანის მიერ დედოფლისადმი, 60 ფუტი სილის მოტანის შესახებ, 1873 წ. (1 ფურც.) – საკანც. 675).

7. დედოფლის ასაშენებელი სასახლის შესახებ, 1873 წ. (5 ფურც) – საკანც. 676, 679.

8. დედოფლის სასახლისათვის თათრისგან მოტანილი ხეების შესახებ. 1874 წ. (32 ფურც.) – საკანც. 1257.

9. ინჟინრად ფრანგ დურნანდის დანიშვნა, 1866 წ. 12 ფურც – საკანც. ???

10. დედოფლის სასახლის ასაშენებელი მასალის სია. 1874 წ. – საკანც. 1775.

11. აბასთუმნის დედოფლისეულ სასახლეში ეკლესიის აშენების შესახებ. 1872 წ. (2 ფურც.) – საკანც. 1864

12. სია სასახლის შენობათა, რომელნიც უნდა იყოს მოხელეთა ყურადღების ქვეშ. 1871 წ. (17 ფურც.)

13. ზუგდიდის სასალის „პოდრიადჩიკ“ აშორტიას ცნობა. 1881 წ. (5 ფურც.)

14. ნიკოს სასახლის მშენებლობის შესახებ. 1874 წ. (15 ფურც.) – საკანც. 1258.

15. აღწერილობა ზუგდიდში დედოფლის სასახლის ავეჯისა. 1881 წ. (9 ფურც.) საკანც. ???

16. დედოფლის სასახლე ზუგდიდში. 1879 წ. (2 ფურც.) – საკანც. ???

17. სასახლის მშენებლობისათვის ცაიშიდან ქვის მოტანის შესახებ. 1879 წ. (3 ფურც.) – საკანც. ???

მრეწველობის ჩასახვა ზუგდიდში

XIX საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დამდეგს ზუგდიდში მრეწველობას ჩაეყარა საფუძველი. 1848 წელს [და არა 1843 წელს, როგორც ეს აკადემიკოს პ. გუგუშვილს უწერია (პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს. ტ.VI, თბ. 1979, გვ. 219) და არც 1847 წელს, როგორც ეს გ. იობაშვილის ნაშრომში „დასავლეთ საქართველოს ქალაქები...“ (გვ. 54) არის მითითებული], ზუგდიდში გრაფ როზმორდიუკმა (რომელიც საფრანგეთის თბილისელი კონსულის შვილი იყო) და უფლისწულმა კონსტანტინე დადიანმა დააარსეს მეაბრეშუმეობის გამავრცელებელი საზოგადოება და აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა, სადაც ფულის (8000 ვერცხლის მანეთის) ნახევარი კ. დადიანის მიერ იყო დაბანდებული (ზუგდიდის მუზეუმის არქივი, აღწ. 1, საქმე 3454, ფურც. 7-16; პლ. ჯიშკარიანი, ზუგდიდის რაიონის მშრომელები.., თბ. 1968, გვ. 26).

ერთ-ერთი წყაროს მონაცემებით, ზუგდიდში აბრეშუმის ძაფსახვევი საწარმოს შექმნის მოთავე დავით დადიანი ჩანს. „1848 წელს, – ვკითხულობთ ამ წყაროში, – სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა გამოიწერა პიემონტიდან (იტალია) ახალი, მთელს ევროპაში სახელგანთქმული ჭიის თესლი. ამასთანავე მოიწვია შესანიშნავი მცოდნე ჭიის ხელობისა – გრაფი როზმორდიუკი და მისცა სახსარი ამ თესლის გასავრცელებლად მთელს სამთავროში“ (გაზ. „ივერია“, 1886 წ. №87).

როზმორდიუკმა ფაბრიკისთვის საჭირო დაზგები და იარაღები (მათ შორის ორთქლის მანქანა) საფრანგეთიდან ჩამოიტანა. ამას-

თან ერთად ჩამოიყვანა ამ საქმის მცოდნე ორი ფრანგი ქალი – ვინმე მარი და სიუზეტი (გაზ. „Кавказ“, 1851, №46; ი. მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, ტფ. 1939, გვ. 102, 152; გაზ. „ივერია“, 1886 წ. №87), რომელთაც თავიანთი ხელობა პირველსავე წელს შეასწავლეს 12 მეგრელ ქალს. ეს ფრანგი ოსტატი ქალები სამეგრელოში დარჩნენ საცხოვრებლად, მისთხოვდნენ რა ადგილობრივ მკვიდრთ (Кавказский Календарь на 1853 г. стр.313-314).

ზუგდიდის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა დღითიდღე იკრებდა ძალებს. პირველსავე წელს დამზადებული 13 ფუთი აბრეშუმის ძაფი საფრანგეთში გაიყიდა 3250 მანეთად (იონა მეუნარგია, დასახ. წიგნი, გვ. 145). ამ საწარმოს გამოშვებული აბრეშუმის ძაფი კარგი ხარისხისა იყო. 1852 წელს, მოსკოვის გამოფენაზე ზუგდიდის აბრეშუმსახვევი საწარმოს ნაწარმმა მაღალი შეფასება დაიმსახურა (გაზ. „Кавказ“, 1854, №60).

სამეგრელოში შემოსულმა თურქთა ჯარებმა, რომელთაც ომერ-ფაშა სარდლობდა, 1856 წელს, უკანდახევისას, მთელ ზუგდიდთან ერთად როზმორდიუკის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკაც დასწვა, მაგრამ ფრანგმა მეწარმემ, იმ ხანად სამეგრელოში მცხოვრები რუსი მოხელის კორნელი ბოროზდინის ცნობით, თურქთა ჯარების მთავარსარდალს ამაზე სტამბოლში საფრანგეთის ელჩთან უჩივლა და აიძულა ოსმალეთის მთავრობა 15. 000 მანეთი გადაეხადა ზარალის სანაცვლოდ (კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, ტფ. 1934, გვ. 305).

როზმორდიუკმა მალე აღადგინა თავისი საწარმო. აქ მომუშავეთა რიცხვი 30 ქალამდე გაიზარდა. ამ ფაბრიკამ 1863 წლამდე იარსება (პლ. ჯიშკარიანი, დასახ. წიგნი, გვ. 26).

1850 წელს ზუგდიდში დაარსდა არყის სახდელი ქარხანა, რომელიც მუშაობას შეუდგა მომდევნო წელს. აქ ყოველწლიურად ხდიდნენ 8000-10000 ბოთლ ხილის არაყს, რომელიც გასაყიდად იგზავნებოდა სამეგრელოს სავაჭრო დაბებში და ბაზრობებზე (საისტორიო არქივი, ფ. 418, აღწ. 3, საქმე 75, ფურც. 56). ამ ქარხანამ 1885 წლამდე იარსება (გ. იობაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 56).

ზუგდიდში XIX საუკუნის 50-იანი წლების დამდეგს არსებობდა აგურის ქარხანაც, რომელიც 1856 წელს უკანდახევისას მიწასთან გაასწორეს თურქებმა (ც. ქირია, შ. სარია, მასალები, გვ. 80).

ნამთავრალ ნიკო დადიანს განზრახული ჰქონდა ჩითის საქსოვი ქარხნის აშენება („კვალი", 1894, №17). დაიბადა აზრი „თვით ქალალდის საკეთებელი" ქარხნის აშენების შესახებ ზუგდიდში (იქვე), მაგრამ როგორც ჩითის საქსოვი, ასევე ქაღალდის ქარხნის აშენება განუხორციელებელ მიზნად დარჩა.

ჭორი, რომელმაც ზუგდიდი ააფორიაქა

1872 წელს გავრცელდა ხმა – დაბა ზუგდიდს სხვაგან გადატანას უპირებენო. ამან თავზარი დასცა ზუგდიდელებს, რომელთა უდიდესი ნაწილი ვაჭრობას მისდევდა და უკვე ქვის დუქნები და შესანიშნავი ოდა-სახლები წამოეჭიმათ. ამ ჭორმა ზუგდიდის ზრდა-განვითარება ორი წლით მაინც შეაფერხა. აბა ვინ ააშენებდა ახალ დუქანს ან სახლს, თუკი დაბას, როგორც მაშინ სავაჭრო ადგილს უწოდებდნენ, სხვაგან გადაიტანდნენ.

აი, რას წერდა 1873 წლის დამდეგს ამის შესახებ ერთი უცნობი ზუგდიდელი: „ამბობენ, რომ ჩვენს პატარა ზუგდიდს მომავალში უბედურება მოელის – დანგრევას უპირებენო. მართებლობას დიდი ხანია მიწერ-მოწერა აქვს ზუგდიდის სხვა ადგილზე გადატანის თაობაზედ, მაგრამ ჯერ არავითარი დაბოლოვებითი განკარგულება არ მომხდარა. ამის მიზეზი, როგორც ამბობენ, ის არის, რომ დაბა ზუგდიდი თავად მინგრელსკის საკუთარ ადგილზედ არის გაშენებული. არ ვიცით, ნამდვილათ სად უპირებენ ახალქალაქის გაშენებას... მაგრამ ზუგდიდიდან რვა ვერსტზედ, სამხრეთის მხარეს, სოფელ ცაიშში, საეკლესიო მამულზედ, სახელმწიფო ხარჯით გააკეთეს დიდი ქვის შენობა, რომელიც სალდათების სადგომად დაუნიშნავთ. აი, ამან აგვაღებინა აქაურებს ეჭვი, რომ სოფელ ცაიშში უპირებენ ახალი ქალაქის გაკეთებას, რომელსაც დაარქმევენ ახალ ზუგდიდს...

ზუგდიდში ამჟამად ორასი მოსახლე მაინც არის და ამათ თვითეულს, საშუალო რიცხვით ათასის მანეთის შენობა და ბაღი მაინც ექნება. ამის გამო იმედი გვაქვს, თვით მინგრელსკი იშუამდგომლებს მართებლობასთან, რომ ახლანდელი ზუგდიდი დასტოვონ თავის ადგილზედ“ (გაზ. „დროება“, 1873 წ. №5).

როგორც გაზეთ „დროებაში“ (1875 წ. №55) გამოქვეყნებული ერთი სხვა წერილიდან ირკვევა, ქალაქის ცაიშის მიდამოებში გა-

დატანის მოსურნეები მართლაც ყოფილან ზუგდიდში, მაგრამ ამ წერილის უცნობი ავტორის თქმით, „მომეტებული ნაწილი აქაურებისა ამ ჰაზრის თანახმა არ არის. განსაკუთრებით ის პირები, რომელთაც აქ ქვის შენობა აქვთ...“

სურვილი ქალაქის სხვაგან (სავარაუდოდ ცაიშის მიდამოებში) გადატანისა და იქ ახალ ზუგდიდად წოდებული ქალაქის დაარსებისა ადამიანთა გარკვეულ წრეში იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ თავიანთი მიზნის მისაღწევად მთელი ზუგდიდის გადაწვასაც არ ერიდებოდნენ. სწორედ მათი ნამოქმედარია იმ დროს ზუგდიდში დუქნებისათვის ცეცხლის წაკიდების შემთხვევები.

1875 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული ზემოთ დამოწმებული წერილის უცნობი ავტორი ერთხელ შუაღამისას დაბრუნებულა ზუგდიდში, დაუნახავს დუქნების სახურავზე მსხდომი კაცები. კითხვაზე, რატომ სხედხართ შუაღამისას სახურავზე, უპასუხნიათ: ჩვენს დუქნებს ვყარაულობთ, ცეცხლს გვიკიდებენო.

ზუგდიდიდან ქალაქის სხვაგან გადატანის აზრი წარმოიშვა იმის გამო, რომ ზუგდიდი ყოფილი მთავრის, ნიკო დადიანის კუთვნილ მიწაზე იყო გაშენებული. თავადს კი არ სურდა თავისი მიწის დათმობა, მაგრამ როგორც ირკვევა, ზუგდიდის მოქალაქეებმა (ანუ ზუგდიდის მკვიდრმა ვაჭრებმა და ხელოსნებმა) ნიკო დადიანისაგან შეისყიდეს მიწა (გაზ. „ივერია“, 1888 წ. №234) და ამის შემდეგ ქალაქის სხვაგან გადატანაზე და ცაიშის მიდამოებში ახალ ზუგდიდად წოდებული ქალაქის მშენებლობაზე ლაპარაკი შეწყდა.

ზუგდიდის მოსახლეობა XIX საუკუნეში და XX საუკუნის პირველ მეოთხედში

ზუგდიდის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ცნობები XIX საუკუნის შუა ხანებიდან გაგვაჩნია. 1840 წლამდე სამეგრელოს სამთავრო სამოურაოებად იყოფოდა. 1835 წელს ამ სამოურაოთაგან მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი იყო ზუგდიდის სამოურაო, სადაც 28.400 კაცი ცხოვრობდა (О. Евецкий, Статистическое описание Закавказского края, СПБ. 1835, стр.168). სამწუხაროდ, მონაცემები იმდროინდელი ქალაქ ზუგდიდისა და სოფელ ზუგდიდის მოსახლეობის შესახებ არ გაგვაჩნია, მაგრამ სამაგიეროდ გვაქვს 1840 წლის ცნობა, საიდანაც ირკვევა, რომ ამ წელს ზუგდიდში ცხოვრობდა 912 კაცი (ЦГВИА, ф. ВУА, д. 82, л. 17).

1850 წლისათვის ზუგდიდის მოსახლეობა 1570 კაცს აღწევდა. აქედან 950 მამაკაცი იყო, 620 ქალი (დასავლეთ საქართველოს ქალაქები XIX საუკუნის რეფორმამდელ პერიოდში, თბ. 1983, გვ. 100). 1854 წლისათვის ზუგდიდის მოსახლეობა 2000 კაცამდე გაიზარდა (Кавказский Календарь на 1855 г. Тифл. 1854, стр.165), 1865 წელს კი 3672 სულს მიაღწია (საისტორიო არქივი, ფ. 220, საქმე 1076, ფურც. 174).

ზუგდიდის მოსახლეობა, როგორც ზემოთ დამოწმებული წყაროებიდან ჩანს, თავისი დროის კვალობაზე უაღრესად სწრაფად იზრდებოდა. 1840 წლიდან 1865 წლამდე ზუგდიდის მოსახლეობა გაორმაგდა, ძირითადად ახლომახლო სოფლებიდან ქალაქისაკენ გადმოსახლებულთა ხარჯზე. მარტო 1860-1865 წლებში ჩამოსახლდა 48 კომლი, ანუ დაახლოებით 300 კაცი (საისტორიო არქივი, ფ. 4, აღწ. 2, საქმე 888, ფურც. 3-4), მაგრამ შემდეგ ერთი პერიო-

დი ეს პროცესი არათუ შენელდა, მოსახლეობამ კლებაც კი იწყო. 1886 წლისათვის ზუგდიდის მოსახლეობა შემცირდა და 3092 კაცი შეადგინა (Свод статистических данных о населении Закавказского края, Тифл. 1893. Кутаисская губерния. Зугдидский уезд. სვეტი 871; В. Маевский, Кутаисская губерния. военно-статистическое описание, Тифл. 1896, приложение, стр. 32), მაგრამ ირკვევა, რომ ესეც 1865 წლის მსგავსად (თუ წინა წლებისაც არა), ზუგდიდის თემის მოსახლეობის საერთო რაოდენობაა.

1889 წლისათვის, აღსარების მთქმელთა სიის მიხედვით (ზუგდ. მუზეუმი, დოკ. 5822) ზუგდიდში ცხოვრობდა აზნაურ აფაქიძეთა 2, აზნ. გობეჩიას 1, აზნ. გრიგოლიას 1, აზნ. გურალიას 1, თავად დგებუაძეთა 3, აზნ. დგებუაძეთა 1, აზნ. ზუხბაიას 1, აზნ. კეიდიას 7, აზნ. საჯაიას 2, აზნ. ქუთელიას 1, თავად ჩიჩუას 1, თავად ჩიქოვანის 1, აზნ. ჩხეიძის 1, აზნ. ჩაჩიბაიას 1, აზნ. ხვიტიას 9, აზნ. ხუხუნის 1, აზნ. ხაბურზანიას 2 და თავად ჯაიანის 1 კომლი. აქ ცხოვრობდა გლეხ ანარკიას 5, არაჰამიას 3, ბერიას 1, ბეჭვაიას 3, გაბუნიას 1, გუგუჩიას 3, გელენიძის 2, გახოკიძის 4, გვილავას 6, აფშილავას 1, გვიშიანის 1, გულუას 1, გიორგაძის 1, დარასელიას 12, ექონიას 1, ერქვანიას 1, ვაჩეიშვილის 1, თოლორაიას 18, თოდუას 3, კაკულიას 5 კეზუას 3, კოზუას 3, კაკაბაძის 1, კვალიაშვილის 1, კალანდიას 3, კვინჩიას 2, კვარაცხელიას 2, კუხალეიშვილის 1, ლიპარიას 2, ლომთაძის 3, მოსიას 6, მითაგვარიას, მესხის 1, მესხიას 2, მიშველიანის 1, ნანავას 2, ნარმანიას 1, პაპავას 1, როგავას 1, სორდიას 3, სვირავას 1, სალაყაიას 1, სანაიას 1, ტაბაღუას 2, ფონიას 1, ფაჟავას 3, ფარცვანიას 1 კომლი....

ოდიშის სამთავროში XVI საუკუნის მიწურულიდან პატარ-პატარა სოფლები ერთიანდებოდნენ ამა თუ იმ საერო თუ საეკლესიო ფეოდალის (თავადის, აზნაურის, ეპისკოპოსის ან მონასტრის წინამძღვრის) რეზიდენციის (ციხესიმაგრის, ციხე-დარბაზის, სასახლის, ეკლესიის) ირგვლივ. ამ ფეოდალურ-სამეურნეო ერთეულში შემავალი სოფლები **მიმდგომ სოფლებად** იწოდებოდნენ. მას შემდეგ, რაც 1867 წელს სამეგრელოს სამთავრო გაუქმდა, სამეგრელოშიც, ისევე, როგორც რუსეთის უღელდადგმულ მთელს დან-

არჩენ საქართველოში, 1868 წლის 1 იანვრიდან ახალი, რუსული ადმინისტრაციული დაყოფა იქნა შემოღებული. სოფლები გაერთიანდნენ უწვრილეს ერთეულში, რომელსაც სასოფლო საზოგადოება ეწოდებოდა და რომელშიც რამდენიმე მოსაზღვრე სოფელი ერთიანებოდა (იმის გამო რომ რუსულში **сельское общество** მომდინარეობს **თემი**-ს აღმნიშვნელი სიტყვა **общество**-დან, ქართულში თემის აღსანიშნავად დამკვიდრდა უნიჭო რუსული კალკი – **სასოფლო საზოგადოება**).

1885 წელს მოხდა კავკასიის (და კერძოდ საქართველოს) სასოფლო საზოგადოებების ანუ თემების გამსხვილება მოსაზღვრე თემების შეერთების გზით. ყოველ თემში რამდენიმე (ზოგ შემთხვევაში ოცამდე) სოფელი შედიოდა. თემი მასში შემავალ სოფელთაგან ერთ-ერთის (ჩვეულებრივ მათგან უფრო მნიშვნელოვანის) სახელს ატარებდა. თემის მამასახლისის კანცელარიაც ამ სოფელში იყო (შ. ვანიშვილი, ამიერკავკასია რუსეთის მმართველობის სისტემაში, 1864-1917 წწ. თბ. 1889, გვ. 83-94). ამიტომ, ცხადია, როცა ვლაპარაკობთ ზუგდიდის მოსახლეობის რაოდენობაზე XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მასში უნდა ვიგულისხმოთ არა მხოლოდ საკუთრივ ზუგდიდის, არამედ ზუგდიდის თემში შემავალი სხვა სოფლების მოსახლეობაც. ამ მხრივ გამონაკლისია ცნობილი **ბროკჰაუზ-ეფრონის** ენციკლოპედიის ცნობა, რომლის მიხედვითაც 1894 წლის მონაცებებით ზუგდიდში ცხოვრობდა 1123 კაცი (Энциклопедический словарь. издатели **Ф. Брокгауз, И. Эфронь**, т. XII „А". СПБ, 1894, стр. 715).

საყურადღებოა, რომ ზუგდიდის თემის მოსახლეობა 1886 წელს მთლიანად ერთეროვანი იყო. აქ აღრიცხული 3092 მცხოვრებიდან 3092-ვე ქართველი იყო. 1903 წელს გამოცემულ ერთ რუსულ ენციკლოპედიაში ზუგდიდის მოსახლეთა რაოდენობად ნაჩვენებია 3092 კაცი, მარამ ის 1886 წლის ზემოთ დამოწმებული მონაცემი უნდა იყოს და 1903 წლის მდგომარეობას არ უნდა ასახავდეს (Болшая Энциклопедия, под ред. С. Южкова, т. IX, СПБ, 1903, стр. 746).

1897 წლის აღწერის მიხედვით ქალაქ ზუგდიდის მოსახლეობა 3407 კაცს შეადგენდა. ზუგდიდის მაზრა თითქმის ერთეროვანი

იყო. არაქართველები უფრო ქალაქ ზუგდიდში ცხოვრობდნენ. ამ წელს ქალაქ ზუგდიდის მცხოვრებთაგან 47 იყო რუსი, 16 სომეხი, 7 გერმანელი, 6 პოლონელი, 4 ბერძენი, 3 ჩერქეზი, 3 უკრაინელი, 2 ოსი და 27 სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი (Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 г. LXVI Кутаисская губерния. 1905, стр. 2, 219).

1908 წლის მონაცემებით ზუგდიდში ცხოვრობდა 5052 კაცი. აქედან 3377 ცხოვრობდა დაბა ზუგდიდში, ხოლო 1675 კაცი სოფელ ზუგდიდში, რომელიც მანცხვარკარის გორას იყო შეფენილი (Кавказский Календарь на 1910 г. ч. 1, Тифл. 1909, стр. 258).

1913 წლისათვის დაბა ზუგდიდის მოსახლეობამ 3764 კაცს მიაღწია. აქედან 3181 იყო მუდმივი, 583 კი დროებითი მოსახლე (ჩინოსნები, ჩამოსული ვაჭრები, სამხედროები...). დაბა ზუგდიდის სოციალური სახე კი 1913 წელს იმავე წყაროს მონაცემებით ასეთი იყო: მის მცხოვრებთაგან თავადი იყო 7, აზნაური 229, სამღვდელოთა და მათი ოჯახის წევრები 33 და 3495 გლეხი, ხელოსანი და ვაჭარი ???? (საისტორიო არქივი, ფ. 12, აღწ. 6, საქმე 251, ფურც. 101).

1918 წელს უკვე ქალაქად დამტკიცებული ზუგდიდის მოსახლეობის რაოდენობამ 4000 კაცამდე მიაღწია (ჟურნ. „Кавказский город", 1918 წ. №9-10-ზე დართული ცხრილი).

„სრულიად საქართველოს ქალაქების მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამების" მიხედვით (საქართველოს რევოლუციის არქივი, ფ. 284, ანაწ. 1, საქმე 98, ფურც. 22) ქალაქ ზუგდიდის მოსახლეობა შეადგენდა 4425 კაცს. აქედან 4310 (ანუ მოსახლეობის საერთო რაოდენობის 97 მეასედზე მეტი) ქართველი იყო (მაყვალა ნათმელაძე, საქართველოს ქალაქის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობისათვის 1917-1922 წლებში. კრ. „ხელეური" – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXII, თბ. 1985, გვ. 164).

ამ დროს უკვე ნაცვლად ე. წ. **სასოფლო საზოგადოებისა**, უწვრილეს ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა **თემი**. „ზუგდიდის თემი არის დიდი სოფელი. თემი შეადგენს სიგრძით 12 ვერსტს და სიგანით 6-7 ვერსტამდიო" – ნათქვამია ზუგდიდის

თემსაბჭოს 1924 წლის 30 ივლისის სხდომის ოქმში (ზუგდიდის არქივი, ფ. 2, საქმე 24, ფურც. 3).

1926 წელს შედგენილ დოკუმენტში, რომელსაც ჰქვია „ზუგდიდის მაზრის დასახლებულ ადგილთა მტკიცე სია" ჩამოთვლილია ზუგდიდის თემში შემავალი სოფლები კომლთა და მცხოვრებთა რაოდენობის მითითებით. ამ სიის მიხედვით ზუგდიდის თემში შედიოდა: ზუგდიდი (186 კომლი, 789 მცხოვრები), ლეშედანე (109 კომლი, 502 მცხოვრები), ჭითაწყარი (133 კომლი, 589 მცხოვრები), ჯუმი (166 კომლი, 755 მცხოვრები), ოფაჩხაფუ (80 კომლი, 355 მცხოვრები), საჭურლულიო (76 კომლი, 337 მცხოვრები), ჯორეჯიანი (186 კომლი, 847 მცხოვრები), ოირემე (35 კომლი, 415 მცხოვრები) ახალი აბასთუმანი (96 კომლი, 440 მცხოვრები), და უჩაშონა (39 კომლი, 163 მცხოვრები). სულ ზუგდიდის თემში 1160 კომლი და 5517 მცხოვრები იყო (ზუგდიდის არქივი, ფონდი 117, საქმე 24, ფურც. 1).

1929 წელს განხორციელებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის დროს ზუგდიდის თემში შემავალი სოფლები ზუგდიდის სასოფლო საბჭოში გაერთიანდნენ. ამ დროს ქალაქი ზუგდიდი და სოფელი ზუგდიდი ცალ-ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ.

ვაჭრობა და ხელოსნობა 1867–1921 წლების ზუგდიდში

1866 წელს სამეგრელოში ბატონყმობა გაუქმდა, 1867 წელს კი თავად სამეგრელოს სამთავროც გააუქმეს და უშუალოდ რუსეთის იმპერიას შეუერთეს. გლეხთა განთავისუფლებამ და სახელმწიფოს საზღვრების გადალახვის გაადვილებამ მეგრელ ვაჭრებს ფართო ასპარეზი შეუქმნა თავიანთი საქმიანობისათვის. ეს კი, ცხადია, ხელს უწყობდა საქალაქო ცხოვრების წინსვლას ზუგდიდში. მით უმეტეს, რომ ამ კუთხის მკვიდრთ ვაჭრობის შესაშური ნიჭი ჰქონდათ მომადლებული. აი, რას წერდა ამის შესახებ 1868 წელს ანტონ ფურცელაძე (1839-1913), 1867-1869 წლებში ზუგდიდის მოსამართლე:

„მეგრელმა კაცმა ფულის მოხმარება იცის და ფულის ყადრიცა, ქართველის ტომში აღებ-მიცემობის ნიჭი მეგრელისთანა არავისა აქვს. მეგრელი ხუთი თუმნიდან გაბედავს ვაჭრობის დაწყებას და პატარა ხანს უკან ნახავ – ასის თუმნობით ვაჭრობს. ეს შავი ზღვის პირის ვაჭრობა მომეტებული ნაწილი მეგრელების ხელშია.“[1]

ზუგდიდში ვაჭრობა კვირა-პარასკევობით იმართებოდა. ყოველ პარასკევს და კვირას იქ თავს იყრიდნენ სამეგრელოს ყველა კუთხიდან, ჩამოდიოდნენ სამურზაყანოდან, გურიიდან, იმერეთიდან, აფხაზეთიდან, სვანეთიდან.[2] რას არ ნახავდით ამ ბაზრობაზე, რომელიც, როგორც გაზეთ „ცნობის ფურცელის“ სურათებიან დამატებაში ჩანს (1905 წელს დაბეჭდილი ზუგდიდის ხედები)[3], ქალაქის შუაგულში – ჭადრების ხეივანში იმართებოდა.

მსხვილფეხა თუ წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი, ყოველი მეგრელისათვის ოცნებად ქცეული ცხენი თუ მისი აღკაზმულობა, ადგილობრივი წარმოების ბამბისა და შალის ქსოვილები, აბრეშუმი, ტყავეულის ნაწარმი, სპილენძის, რკინის, თიხისა და ხის

იარაღ-მოწყობილობა, დგამი, ჭურჭლეული და ვერცხლის სამკაული. და რაც მთავარია, მარცვლეული (განსაკუთრებით ღომი და სიმინდი) – აი, არასრული სია იმისა, რაც ზუგდიდის ბაზარზე იყიდებოდა იმხანად.[4] უცხოეთიდან შემოჰქონდათ ფართლეული, მარილი, დამარილებული თევზი...

ზუგდიდი თანდათან მნიშვნელოვან ქალაქად გადაიქცა. 1875 წელს ს. წ[ერთე]ლი გაზეთ „დროებაში“ წერდა: „ზუგდიდი არცერთ სხვა ჩვენს დაბას და ადგილებს არ ჩამოუდგება უკან – არც ვაჭრობაში და არც სხვა რასმეში... აქ ვაჭრობს მთელი სამურზაყანო, რამდენიმე ნაწილი აფხაზეთისა და რასაკვირველია მთელი ზუგდიდის უეზდი, რადგან ეს ქალაქი შუაგულ ალაგას სძევს“[5].

დათიკო ქუთათურის წერილში კი, რომელიც 1888 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“, ზუგდიდზე ნათქვამია: „აქაური მცხოვრებნი, თითქმის ყველანი ვაჭრობას მისდევენ და ამ საქმეში დიდ შნოს, ლაზათსა და ყაირათს იჩენენ. გარდა ვაჭრობისა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, დუქნისა, მათთვის სხვა არა არსებობს რა დედამიწის ზურგზედ. რადგან ფული გაუღმერთებიათ, ამისთვის საკმაოდ შეძლებულნი და გაუჭირვებელნი არიან“.[6]

ცხადია, ამ სტრიქონების დამწერი ზედმეტ სიმკაცრეს იჩენს ზუგდიდელების მიმართ, როცა მათ მხოლოდ ფულის ტრფიალებად გვისახავს, მაგრამ ზუგდიდი, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქი მას ერთობ დამაჯერებლად აქვს დახატული.

1888 წლისავე მონაცემებით ზუგდიდში 80 სავაჭრო დაწესებულება იყო და მათი წლიური ბრუნვა 430,000 მანეთს შეადგენდა.[7] სხვა ცნობის მიხედვით კი XIX საუკუნის მიწურულს ზუგდიდის დუქნების წლიური საქონელბრუნვის მაჩვენებელი 129,000 მანეთით განისაზღვრებოდა.[8]

ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის განვითარებისდა კვალად დღის წესრიგში დადგა საკრედიტო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და ბანკის დაარსების საკითხი.

1899 წლის 1 ოქტომბერს რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა „ზუგდიდის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების“ წესდება, რომლის პირველ მუხლში ნათქვამი იყო, რომ საზოგადოების მიზანია თავისი წევრებისათვის, რომლებიც წარ-

მოებას, მეურნეობას და ვაჭრობას მისდევენ, დახმარების აღმოჩენა სესხის მიცემით.

1900 წლის 27 მარტს ამ საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა იონა მეუნარგია, საზოგადოების გამგეობას კი სათავეში ჩაუდგა მ. ი. კეშილავა; გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ ნ. ზ. დავითაია და მ. გ. კარტოზია; საბჭოს დეპუტატები გახდნენ: ი. მეუნარგია, ლ. ი. ჩიჩუა, ა. ლ. დგებუაძე, ს. ნ. ჯიქია და კ. კ. დარასელია.[9]

ზუგდიდში ბანკის დაარსებას პირველად 1868 წელს შეეცადნენ. ანტონ ფურცელაძე ამის შესახებ 1868 წელს გაზეთ „დროებაში" წერდა: „გიორგობის თვის ოცდაშვიდს იყო შეყრილობა ზუგდიდის მაზრის თავად-აზნაურობისა და ერთხმივ გადაწყვიტეს ბანკის შედგენა. ბანკისათვის სდებენ მანეთზედ ორ შაურს იმ ფულიდამ, რომელიც უნდა მიეცათ ყმებში. თავად-აზნაური იყო შეყრილი ორასზე მეტი. ყოვლის ულაპარაკოდ მოაწერა ყველამ ხელი ბანკის შედგენაზე".[10]

ზუგდიდში ბანკი XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე დაარსდა. 1903 წელს ის აქ უკვე არსებობდა.[11]

ზუგდიდი, როგორც სავაჭრო ქალაქი, კიდევ უფრო დაწინაურდა. „უკანასკნელი 17 წლის მანძილზე დაბა ზუგდიდის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდაო", ნათქვამია 1907 წლის ერთ საბუთში.[12]

1913 წლისათვის, 1900 წელთან შედარებით, ზუგდიდის სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. გაიზარდა ვაჭრობა.

1912 წელს ზუგდიდის 400-მდე სავაჭრო დაწესებულების წლიური ბრუნვა 800000 მანეთს შეადგენდა.[13] ქალაქის შემოსავალი 4990, ხოლო გასავალი 4958 მანეთით განისაზღვრებოდა.[14]

ზუგდიდელი ვაჭრები, როგორც ჩანს, გაერთიანებულნი იყვნენ ამხანაგობაში, რომელიც თავისი წევრების უფლებებს იცავდა. მართალია, ამის დამამტკიცებელი პირდაპირი საბუთი არა გვაქვს, მაგრამ ამაზე მიუთითებს შემდეგი გარემოება:

1881 წლის 21 ოქტომბერს ზუგდიდელმა ვაჭრებმა დათა ჭედიას და ნიკო ხაბურზანიას თაოსნობით სასტიკი წინააღმდე-

გობა გაუწიეს ქალაქის ხელისუფალთ, რომელთაც უცდიათ ვაჭარ გიორგი ნიკოლაიშვილის დაპატიმრება იმის გამო, რომ ამ უკანასკნელს უცემია შეურაცხმყოფელი მოხელე. აი, როგორ აღწერს ამ ამბავს ზუგდიდის მაზრის გამგეობის იმჟამინდელი მდივანი ალექსანდრე წერეთელი:

„მთელი ზუგდიდის ვაჭრები თითქმის ყველა თავიანთი „პრიკაზჩიკებით" (ანუ ნოქრებით – აბ. ტ.) რიცხვით ექვსასამდის, შეკრებილან ნიკოლაიშვილის დუქანთან და საზიზღარის ხმით ყვირიან: პოლიციელს არა აქვს უფლება მეორე გილდიის „კუპეცი" დეპუტატების ნებადაურთავად დაიბაროსო და ამიტომ ჩვენ არავის მივცემთ მაზრის უფროსთან ნიკოლაიშვილის წაყვანის ნებასო და სხვა... თუმცა, მე და სხვაც ბევრი ვეცადეთ ტკბილი სიტყვით და არა მუქარით ვაჭრების აღრეულობა დაგვემშვიდებინა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ"...[15]

მაზრის უფროსის ბრძანებით, ვაჭარ-დეპუტატები დათა ჭედია და ნიკო ხაბურზანია, როგორც ამბოხების მეთაურნი, დააპატიმრეს, მაგრამ იძულებულნი გახდნენ, მალევე გაეთავისუფლებინათ. [16]

ზუგდიდი ხელოსნობის მნიშვნელოვან ცენტრსაც წარმოადგენდა სამეგრელოში. აქ იყვნენ ოქრომჭედლები, ხაბაზები, მეუნაგირეები, მეწაღეები და მათი სახელოსნოების რიგები. [17]

1907 წელს ქალაქში მუშაობდა 11 ოქრომჭედელი, 4 მესაათე, 87 მკერავი, 21 მეწაღე, 112 მეჩექმე, 3 ხარატი, 77 დურგალი, 1 მესაჭურვლე, 103 მჭედელი, 64 მეუნაგირე, 9 დალაქი და ათობით სხვა სახის ოსტატი. [18]

1886 წლის მონაცემებით, ზუგდიდში საკუთარ სახლებში სახელოსნოები ჰქონდათ ოქრომჭედლებს კაცია ძაძამიას,[19] კელუცა გვილიას,[20] სევე ქარდავას,[21] პავლე მიქაძეს[22] და თოთია ფიფიას.[23] ამათ გარდა, ამავე 1886 წლის მონაცემებით, ოქრომჭედელთაგან ზუგდიდში თავიანთი სახელოსნოები ჰქონიათ კაცხელ გუდონ ასათიანს (გუდიახან აბრამიას სახლში),[24] საჩინოელ დიტო თირქიას (ბაზრის ქუჩაზე, ჯაბუას სახლში),[25] ჩხოროწყუელ მურზა რატიანს (გვათუას სახლში),[26] ხეთელ ჭაგა შედანიას (ქირიას სახლში)[27] და საჩინოელ მოსოსი შელიას.[28]

ვერცხლის სევადის ოსტატთაგან განთქმული ყოფილა მეთო ხურცილავა.[29]

ზუგდიდში რამდენიმე ლეკი ოქრომჭედელიც მოღვაწეობდა. მათგან ყველაზე ცნობილი იყო იდრის ჯანმირზა.[30]

მთელს სამეგრელოში იყო განთქმული ზუგდიდელ მეუნაგირეთა ნახელავი.[31] ყველაზე ცნობილი მეუნაგირე XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ნარიქ რაფავა იყო.[32] ზუგდიდელი ხელოსნების მაღალი ოსტატობა ასახულია ერთ გამოთქმაში, რომელიც იმ დროს სამეგრელოში ყოფილა გავრცელებული: „უზანგები – კვარაცხელიასი, ქამარ-ხანჯალი – ძაძამიასი, ყალიონი – ლომაიასი, უნაგირი – რაფავასი, მათრახი – აჩიგვარიული“.[33]

საუნაგირე ბალთების მჭედლებს შორის ზუგდიდში დაღესტნელი ოსტატებიც მუშაობდნენ. ოთხ სახელოსნოში 16 დაღესტნელი ოსტატი მუშაობდა[34].

XX საუკუნის დამდეგს, იონა სიჭინავას (დაბ. 1896 წ.) ცნობით, ზუგდიდში მეუნაგირეთა 20 დუქანი იყო.[35] კეხის დამამზადებელი ცნობილი ოსტატი ყოფილა ფახულანელი სიკო შონია.[36]

ქალაქი განთქმული იყო თერძებით და მენაბდეებითაც. ზუგდიდურ მოკლე ნაბადზე – გვაბანაზე – დიდი მოთხოვნილება იყო. XX საუკუნის პირველ მეოთხედში განთქმული თერძი ყოფილა ალე თოდუა.[37]

ეთნოგრაფი ნ. აბესაძე იმოწმებს კოსტა ისაკის ძე ჟვანიას (დაბ. 1886 წ.) ცნობას, რომლის მიხედვითაც ზუგდიდში თერძებს 50 დუქანი ჰქონიათ, მაგრამ შეკერილ სამოსზე იმდენად დიდი მოთხოვნილება ყოფილა, რომ დუქნების რაოდენობა ორჯერ მეტიც რომ ყოფილიყო, მოსახლეობას მაინც ვერ დააკმაყოფილებდა.[38]

მთელი სამეგრელოს მოსახლეობა ზუგდიდელ მეავეჯეთა ნახელავის შეძენას ცდილობდა. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე განსაკუთრებით გაუთქვამს სახელი ობუჯიდან ზუგდიდში გადმოსახლებულ მეავეჯე ოსტატ თეიმურაზ მესხიას, რომლის მიერ წითელი ხისგან, წაბლისგან, ბზისაგან და მუხისაგან დამზადებული კარადები, საწოლები, მაგიდები და აკვნები მეგრელთა სახლის მშვენებად ითვლებოდა.[39]

ასევე ბლომად ყოფილან ხარაზებიც (სახარაზო საქმე ხომ საქალაქო ცხოვრების წამყვანი დარგია). აკაკი ნადარაიას (დაბ. 1897 წ.) ცნობით, რომელსაც ნ. აბესაძე იმოწმებს, XX საუკუნის დამდეგს ზუგდიდში ხარაზების 40 დუქანი ყოფილა.[40]

ამრიგად, ზუგდიდი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახელოსნო ქალაქს წარმოადგენდა. იქ წარმოებულ პროდუქციაზე მთელს საქართველოში იყო მოთხოვნა.[41]

ამა თუ იმ ქალაქში ვაჭრობისა და ხელოსნობის აყვავება-დაკნინება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პირობებია ამისათვის შექმნილი. მდებარეობასთან ერთად ამას განსაზღვრავს ქალაქში მისასვლელი გზების სიძნელე. აუცილებელია აგრეთვე თვით ქალაქში ფუნდუკებისა და ქარვასლების არსებობა.

ზუგდიდში, ჩემს ხელთ არსებული წყაროების მიხედვით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში რამდენიმე ქარვასლა არსებულა. კიწი გეგეჭკორის ცნობით, მთელს სამეგრელოში ცნობილი დიდვაჭარს დათა ჭედიას აუშენებია ქვის პირველი, ორსართულიანი ფუნდუკი, რომელსაც „დათაია ჭედიას ქარვასლას“ ეძახდნენ.[42]

XIX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში საფუძვლიანად შეკეთდა ზუგდიდთან მისასვლელი გზები. 1872 წელს ამის თაობაზე პაველ სემენენკო წერდა: „ხუთი წლის წინ ზუგდიდამდე მიღწევა მეტად ძნელი იყო იმის გამო, რომ არ არსებობდა თუნდაც უბრალო, ტკეპნილი გზა. აქამდე აღწევდნენ მხოლოდ ცხენით, ვიწრო ბილიკით... ამჟამად კი ამ ადგილებში შეიძლება საკმაოდ მშვიდად იაროთ ეტლებითაც კი თვით მთელს მაზრაში, რადგან ყველგან მოხრეშილი თემშარებია...“[43]

იგივე სემენენკო იმავე 1872 წელს სხვა წერილში წერდა: „გზების კეთილმოწყობის წყალობით, დაბა ზუგდიდში კვირაში ორჯერ სწორედ ბაზრობის დღეებში, თავს იყრის 800 და მეტი კაცი. ბაზრობის დღეს მეგრელები ნაღდ ფულზე ჰყიდიან მრავალგვარ ფრინველს, ასევე ადგილობრივი წარმოების თიხის ჭურჭელს, ადგილობრივ კარგად შეკერილ სამოსს, ფეხსაცმელს, ასევე ადგილობრივი წარმოების იარაღს – ხმლებს, ხანჯლებს, დამბაჩებს...“[44]

ზუგდიდი 42 ვერსიანი შარაგზით უკავშირდებოდა სენაკს.[45]

1881 წლისათვის ზუგდიდსა და ახალ სენაკს შორის უკვე ყოველდღიურად დადიოდნენ ომნიბუსები[46] (ცხენებშებმული მრავალადგილიანი გადახურული ორთვალა ეტლები).[47]

XX საუკუნის დამდეგიდან კი ომნიბუსებთან ერთად ავტომობილებმაც დაიწყეს ზუგდიდ-სენაკს შორის ყოველდღიური მიმოსვლა. 1908 წელს ამის შესახებ წერდა გაზეთი „სავაჭრო გზა“: „ავტომობილებით მიმოსვლა ნელ-ნელა ფეხს იკიდებს ჩვენს ქვეყანაში, რაც ფრიად სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. უკვე დაწესდა ავტომობილები ზუგდიდსა და სენაკს შორის და ტფილისსა და სიღნაღს შორის“[48].

მაგრამ, როგორც ირკვევა, ზუგდიდ-სენაკს შორის ყოველდღიური საავტომობილო მიმოსვლა დიდხანს აღარ გაგრძელებულა. ამაზე მეტყველებს 1918 წლის შემდეგი ცნობა: „ზუგდიდის საქალაქო თვითმმართველობას ამჟამად განზრახული აქვს თავი მოაბას ზუგდიდსა და ახალ სენაკს შორის საავტომობილო მიმოსვლის დაწესებას“[49].

კარგად ესმოდათ, თუ რა დიდი სარგებლობა შეეძლო მოეტანა ზუგდიდისთვის საქართველოს სხვა დაბა-ქალაქებთან რკინიგზით დაკავშირებას. XIX საუკუნის მიწურულს, როცა დღის წესრიგში დადგა ე. წ. „შავი ზღვის რკინის გზის“ ხაზის გაყვანის საკითხი, იმ მიზნით, რომ მთავრობისაგან რკინიგზის ლიანდაგის ზუგდიდზე გაყვანის თანხმობა მიეღოთ, ზუგდიდელებმა 1896 წელს პეტერბურგში თავისი წარმომადგენლები გაგზავნეს, მაგრამ ამაოდ – მთავრობა უარზე დადგა.[50]

1897 წელს ნიკო დადიანმა მოლაპარაკება დაიწყო რუს სოვდაგრებთან, რათა მათ თავიანთი ხარჯით გაეყვანათ რკინიგზის ტოტი ზუგდიდსა და ფოთს შორის, მაგრამ ისინი ვერ დაითანხმა.[51]

თუ რა გულმოდგინედ იბრძოდნენ ზუგდიდში რკინიგზის ხაზის გაყვანისათვის, კარგად ჩანს 1903 წელს გამოქვეყნებული ერთი უსათაურო წერილიდან, რომელსაც ხელს აწერს ჯაჯუ (ჯაჯუ ჯორჯიკია). წერილიდან ირკვევა, რომ ზუგდიდში დიდი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია ერთი ინტელიგენტის ნახატს, რომელზეც გამოსახული ყოფილა რკინიგზა მატარებლით, რომელსაც თო-

კით სხვადასხვა მხარეს ექაჩებიან ნიკო ნიკოლაძე და აბესაძე. ნიკოლაძე ფოთისკენ, აბესაძე კი, რომელსაც ზუგდიდის მაზრის უფროსი კელამოვი ამხნევებს, ზუგდიდისკენ. ამავე წერილში ნათქვამია, რომ „როგორც ბატონებმა აბესაძემ და კელიამოვმა გადმოგვცეს გამარჯვება მართლაც მათ დარჩათ და ზუგდიდსენაკის რკინიგზის მიმართულება დაუმტკიცებიათ.“[52]

ამასთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობაა დაბეჭდილი 1911 წელს: „ზუგდიდელებს სწორედ რომ ბედი არ სწყალობთ. წელი არ გავა იმედგაუცრუებლად. დავიწყოთ თუნდაც რკინიგზით. 1902 წელს მიღებულ იქნა უმაღლესი გადაწყვეტილება შავი ზღვის რკინიგზის გამო... ცას ეწივნენ, მაგრამ ამის აღსრულებას ჯერ რუსეთ-იაპონიის ომმა შეუშალა ხელი, შემდეგ კი შინაგანმა არეულობებმა“[53].

რკინიგზის ხაზის ზუგდიდზე გაყვანის საკითხი კვლავ წამოიჭრა 1911 წელს,[54] მაგრამ რუსეთის მინისტრთა საბჭოში საქმე იმდენად გაიწელა, რომ მსოფლიო ომმა მოუსწრო და რკინიგზის ახალი ხაზის გაყვანისათვის არავის ეცალა.

1918 წელს ახალ სენაკ-ზუგდიდის რკინიგზის საკითხი განიხილა ქართველმა ტექნიკურმა საზოგადოებამ. ამ საკითხზე ძირითადად ისაუბრა ბ. ჭიჭინაძემ. ამ საზოგადოების დასკვნაში ნათქვამი იყო:

„ვინაიდან მთავარი ლიანდაგის ზუგდიდზე გაყვანა გამოიწვევს მიწის მუშაობის და ხიდების უნაყოფოდ მიტოვებას 20 ვერსზე და ახალი ლიანდაგის გაყვანას არანაკლებ 28 ვერსზე და ვინაიდან სატრანზიტო მაგისტრალის მიმართულება არ შეიძლება დაუმორჩილოთ პატარა ქალაქების ადგილობრივ ინტერესებს, მთავარი ლიანდაგის მიმართულების გამოცვლა იმ მიზნით, რათა მან ზუგდიდზე გაიაროს, უარყოფილ იქნას“[55].

აი, ასე დარჩა განუხორციელებელი იმხანად რკინიგზის ხაზის ზუგდიდზე გაყვანის სურვილი, რისთვისაც ზუგდიდელები XIX საუკუნის მიწურულიდან 1918 წლამდე იბრძოდნენ.

ბაზრობას უკავშირდება ერთი შეხედვით ვაჭრობასთან არაფერი საერთოს მქონე ისეთი რამ, როგორც იყო ჯარალუა[56], რადგან ის, ისევე როგორც მთელს სამეგრელოში, ზუგდიდშიც

რომელიმე საეკლესიო დღეობას (მეგრულად დღახუს) ემთხვეოდა. ზუგდიდში ჯარალუა მანცხვარობის (მაცხოვრობის) დღესასწაულის დღეს იმართებოდა.[57] ჯარალუა დღეს ზუგდიდშიც, მსგავსად სამეგრელოს სხვა დაბა-სოფლებისა, იმართებოდა დიდი ბაზრობა.[58]

როგორც ერთი დოკუმენტიდან ირკვევა, ზუგდიდში არსებობდა სავაჭრო სახლი „ი. გოკიელოვის შვილები", რომელსაც ანგარიში ჩაუბარებია პრინცესა სალომე დადიან-მიურატისადმი (ზუგდიდის მუზეუმი, დოკ.7132).

---

1. „დროება". 1868წ. №48

2. „ივერია". 1893წ. №142

3. „ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატება". 1905წ. №323, №325.

4. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX ს.ს. ტ. VI. თბ. 1979. გვ. 391.

5. ს. წ[ერეთე]ლი. უსათაურო წერილი. გაზ. „დროება". 1875 წ. №55.

6. დათიკო ქუთათური. უსათაურო წერილი. გაზ. „ივერია". 1888 წ. №234.

7. ე. ხოშტარია. მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში. ტ. II. თბ. 1968. გვ. 89.

8. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. ფ. 254. სასწ. 1. საქმე 5217; (საქართველოს ისტორიის ნარკვევები. V. გვ. 421).

9. დიმ[იტრი] ბ[ოკერ]ია. საურთიერთო კრედიტის საზოგადოების დაარსება ზუგდიდში. გაზ. „ივერია". 1900. №75 (ამ წერილის ავტორის სახელი და გვარი კუთხოვან ფრჩხილებში ჩემი ალდგენილია. დიმიტრი ბოკერია XIX-XX საუკუნეთა მიჯნის პრესაში ხშირად ბეჭდავდა წერილებს სამეგრელოზე და ვფიქრობ ამ წერილის ავტორი დიმ. ბ-ია სწორედ დიმიტრი ბოკერია უნდა იყოს).

10. გაზ. „დროება". 1868წ. №48.

11. საქართველოს ცენტრ. საისტორიო არქივი. ფ. 13, აღწ. 2. საქმე 623. ფურც. 55.

12. იქვე, ფურც. 51.

13. საქართველოს ცენტრ. საისტორიო არქივი. ფ. 12, აღწ. 6. საქმე 6251. ფურც. 89-90.

14. საქართველოს ცენტრ. საისტორიო არქივი. ფ. 13, აღწ. 2. საქმე 623. ფურც. 54.

15. ჟურნ. „იმედი". 1881წ. №10-12, გვ. 104.

16. იქვე.

17. ი. ნანობაშვილი. ტყავის დამუშავებისა და გამოყენების ხალხური წესები სამეგრელოში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XX-VIII-B, თბ. 1969. გვ. 282.

18. საქართველოს ცენტრ. საისტორიო არქივი. ფ. 19, საქმე 121 „ა", ფურც. 19-20.

19. საქართველოს საისტორიო არქივი. ფ. 254. აღწ. 3. საქმე 2025. ფურც. 548; იქვე, ფონდი 254. აღწ. 3. საქმე 1508. ფურც. 451.

20. საქართველოს საისტორიო არქივი. ფ. 254. აღწ. 3. საქმე 1508. ფურც. 451.

21. იქვე. ფურც. 450.

22. იქვე. ფურც. 452.

23. იქვე. ფურც. 451.

24. იქვე. ფურც. 451.

25. იქვე. ფურც. 457.

26. იქვე. ფურც. 454.

27. იქვე. ფურც. 471.

28. იქვე. ფურც. 462.

29. ნ. აბესაძე. ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქში (XIX საუკ. II ნახევარი – XX საუკ. დასაწყისი). თბ. 1986. გვ. 20.

30. იქვე. გვ. 19.

31. ი. ნანობაშვილი, დასახელებულია ნაშრომი. გვ. 285.

32. იქვე. გვ. 284.

33. იქვე. გვ. 286.

34. იქვე. გვ. 285.

35. ნ. აბესაძე. ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქში (XIX საუკ. II ნახევარი – XX საუკ. დასაწყისი). თბ. 1986. გვ. 21.

36. იქვე. გვ. 20.

37. იქვე. გვ. 27.

38. იქვე. გვ. 81.

39. იქვე. გვ. 41.

40. იქვე. გვ. 21.

41. ზუგდიდელ ხელოსანთა (განსაკუთრებით ოქრომჭედელთა) ათობით ნამუშევარი დღეს საქართველოსა და უცხოეთის მუზეუმებს ამშვენებს. საქართველოში ამ მხრივ ყველაზე მდიდარია ეროვნული მუზეუმი და ზუგდიდის მუზეუმი, უცხოეთის მუზეუმებიდან კი პეტერბურგისა და მოსკოვის. ზუგდიდური ძვირფასი ხარჯი დაცულია ბუდაპეშტის ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ენიო ზიჩის კოლექციაში (გ. ჯავახიშვილი, სამეცნიერო მივლინება უნგრეთის რესპუბლიკაში, ჟ. „მაცნე"(ისტორიის...) 1974 №2. გვ. 183.

42. კიწი გეგეჭკორი. ლოტბარის მოგონებები. თბ. 1961. გვ. 11.

43. გაз. „Кавказ" 1872 г. №99

44. გაз. „Кавказ" 1872 г. №138

45. Е. Вейденваум. Путеводитель по Кавказу. Тифл. 1888. стр. 377.

46. Кавказ. справочная книга составленная старожилам. выш. дорогию Тифл. 1887.

47. მიხეილ ჭაბაშვილი. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბ. 1989. გვ. 350

48. გაზ. „სავაჭრო გზა". 1908წ. №13

49. „Кавказский город", 1918 г. №1-2. стр. 32.

50. გაზ. „ივერია". 1897 წ. №20

51. გაზ. „ცნობის ფურცელი". 1897წ. №195

52. გაზ. „ივერია". 1903 წ. №75

53. გაზ. „Закавказская речь",1911. №90

54. იქვე.

55. გაზ. „ერთობა". 1918 წ. №264.

56. ჯარალუა (ჯარობა) ერქვა სარწმუნოებრივ დღესასწაულს, რომელსაც ამა თუ იმ ხატის მოძირეები (მეგრ. მოჯინჯეფი) მართავდნენ თავიანთი ძირი (ჯინჯი) ხატის სახელზე (ჯარალუას შესახებ იხ. ნ. რეხვიაშვილი. ჯარობა სამეგრელოში. კრებული „თედო სახოკია". თბ. 1969. გვ. 116-137).

57. ნ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 121.

58. იქვე, გვ. 125-127.

კულტურა XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე ზუგდიდში

„ჩვენ ზუგდიდის მცხოვრებთაც მივაღწიეთ იქამდი, რომ ვიწერთ ხოლმე გაზეთებს და ჟურნალებს... მაგრამ ნახევარი გაზეთები და ჟურნალები არ მოგვდის“ – წერდა „ზუგდიდელის“ ფსევდონიმს ამოფარებული (გაზ. „დროება“, 1879 წ. №133), მაგრამ მალე ამ მხრივ მდგომარეობა მკვეთრად გამოსწორებულა. 1887 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ქალაქი ზუგდიდი დაბა ხონივით დიდძალს ქართულ წიგნებს თხოულობს. ამ განაპირა ქალაქში ქართული წიგნებით ვაჭრობს არა ერთი და ორი მაღაზია, არამედ ხუთი-ექვსი. ზუგდიდის [წიგნის] ვაჭრები ასობით და ორასობით იბარებენ ქართულს სახელმძღვანელოებსა და ისე წიგნებსაცა და სწრაფად ასაღებენ. დიდი თუ პატარა თურმე ძლიერ ეტანება გონებრივს საზრდოსა. საქმე იქამდინ არის მისული, რომ ბატონის აშორდიას პანია მოწაფეებსაც პირველივე წლის განმავლობაში თუმც მათს მასწავლებელს არამცთუ ქართული წიგნი, ქართული სიტყვაც არ გაუგონებია მთელის წლის განმავლობაში...“ (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, თბ. 1954, გვ. 164-165).

თეატრი. 1868 წლის 11 აპრილს, იმხანად ზუგდიდში მოღვაწე ანტონ ფურცელაძემ პირველი ზუგდიდელი სცენის მოყვარეთა ძალებით დადგა მოლიერის პიესა „ძალად ექიმი“. წარმოდგენა გაიმართა საკმაოდ მცირე დარბაზში, ზუგდიდის სასწავლებლის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ, რომელსაც გადაეცა მიღებული შემოსავალი. გაზეთ „დროების“ დახასიათებით, ეს პირველი დადგმა

ზუგდიდელი სცენის მოყვარულებისა, ურიგო არ იყო. განსაკუთრებით კარგად ითამაშეს წარმოდგენის მონაწილე ქალებმა: მაზრის უფროს ვახრამოვის მეუღლემ, გრაფინია დე როზმორდუკისამ და მარიამ ფურცელაძისამ. წარმოდგენას დიდძალი მაყურებელი დაესწრო (გაზ. „დროება“, 1868 წ. № 21).

ამის შემდეგ ზუგდიდში თეატრალური ცხოვრება კარგა ხანს მინელდა. თეატრის შენობის უქონლობის გამო წარმოდგენები იმართებოდა კინტირია ლუკავას ახალაშენებულ სადურგლო სახელოსნოში, ანდრო გრიგოლიას სასტუმრო დარბაზში.

გაზეთ „ივერიაში“ (1891 წ. №4) უცნობი ზუგდიდელი კორესპოდენტი წერდა: „ჩვენთვის არც წარმოდგენებია და არც რამ გონიერი გასართობი. ყველა თავისთვის ცხოვრობს კარჩაკეტილში და გარედ არ იხედავს“-ო. XIX საუკუნის მიწურულს ზუგდიდში კვლავ გამოჩდნენ სცენის მოყვარულნი.

1896 წლის თებერვალში ზუგდიდელმა სცენისმოყვარეებმა გამართეს საქველმოქმედო წარმოდგენა, რომელმაც ანონიმი ზუგდიდელის ცნობით, „მშვენივრად ჩაიარა... საზოგადოებაც ასიამოვნა და კეთილ საქმესაც არა მცირე სამსახური გაუწია“ (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1896 წ. № 66).

1897 წლის 16 ნოემბერს ზუგდიდელმა მოსწავლეებმა გამართეს წარმოდგენა, ითამაშეს ა. ცაგარელის მიერ გადაკეთებული „ბაიყუში“ და ვალერიან გუნიას ვოდევილი „მონადირე“. მაყურებელი აღტაცებული იყო სანახაობით. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ უფროსი თაობის წარმომადგენლებიც. როგორც გაზ. „ცნობის ფურცელი“ (1897 წ. №376) წერდა, „დიდი ხელოვნება და ნიჭი გამოიჩინეს ქ[აბატო]ნ[მა] სონა ბასილაიამ და ჭატია დარჯანიასამ“, რომელთაც საუცხოოდ ითამაშეს. ამის შემდეგ ზუგდიდში თეატრალური ცხოვრება ჩქეფდა.

1898 წლის დამდეგს ზუგდიდელ სცენისმოყვარეთა ჯგუფს სათავეში ჩაუდგა ნიკოლოზ ბუკია. ხშირად იმართებოდა წარმოდგენები. სპექტაკლებში მონაწილეობდნენ: ალექსანდრე კაკაბაძე, ბეგი იოსავა, ვასო გეთია, ნიკოლოზ ბუკია, პეტრე კეიდია და ქრისტინე დარჯანია, რომელიც იგივე ჭატია დარჯანია უნდა იყოს (გ. გაბისონია, ა. ბარამია, ზუგდიდის თეატრი, თბ. 1968, გვ. 7-8).

მიხეილ კეკელიას ცნობით, XIX საუკუნის მიწურულს ზუგდიდელ ახალგაზრდებს განზრახული ჰქონდათ თეატრისათვის დარბაზის შეძენა, მაგრამ შეძლეს თუ არა ამ განზრახვის განხორციელება, არ ვიცით (გაზ. „ივერია“, 1898 წ. №150).

1899 წლის შემოდგომიდან შეიქმნა ზუგდიდელ სცენისმოყვარეთა ახალი ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ლადო გვიშიანი. ამ ჯგუფის დადგმებში მონაწილეობდნენ მოყვარული მსახიობები: ა. ერაძე, ე. კულულაშვილი, ს. შენგელია, ა. ხუციშვილი, გ. ანთელავა, ს. გვიშიანი.

ლ. გვიშიანი განათლებული მოღვაწე იყო. მას ფრანგულიდან უთარგმნია ვოდევილი „მე მოვკვდი“, რომელიც შემდეგ დაუდგამთ კიდეც. ამ სპექტაკლში მონაწილეობდნენ ნ. ბუკია, ლ. ღვამიჩავა, ყ. კაჭარავა, გ. სიხარულიძე და თავად ლ. გვიშიანი.

ლავრენტი წულაძის (1867-1923) ცნობით, 1899 წლის 7 თებერვალს ვ. გეთიას თაოსნობით გამართულა ქართული წარმოდგენა, რომელსაც ბევრი მაყურებელი დასწრებია და ნასიამოვნებიც დარჩენილა. წარმოდგენილი ყოფილა გიორგი ერისთავის კომედიები – „ძუნწი“ და „უჩინ-მაჩინის ქუდი“ (მიხაკო ვერმიცანაშვილი, წერილი ზუგდიდიდან, გაზ. „ივერია“, 1899 წ. № 36).

მიხეილ კეკელიას ცნობით, XIX საუკუნის მიწურულს ზუგდიდელი ახალგაზრდები ხშირად მართავდნენ წარმოდგენებს, შემოსავალს კი ახმარდნენ ზუგდიდში ახალდაარსებულ სამრევლო სკოლას, სამკითხველოსათვის წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოწერას, განზრახული ჰქონდათ თეატრისათვის დარბაზის შეძენა (გაზ. „ივერია“, 1898 წ. №150).

1902 წლის 29 დეკემბერს **პეტრე მ. კეიდიას** თავკაცობით ზუგდიდის სცენის მოყვარე ახალგაზრდებმა დადგეს აკაკი წერეთლის პიესა „პატარა კახი“ და ვალერიან გუნიას ვოდევილი „არც აქეთ, არც იქით“. დამსწრე საზოგადოება მოხიბლა არა მარტო წარმოდგენამ, არამედ „წარსული დროის შესაფერი ტანისამოსით მოკაზმულობამ“, აგრეთვე ბოლოს წაკითხულმა ქართულმა ლექსებმა. მომდევნო წლის 2 იანვარს კი იმავე სცენისმოყვარეებმა „ბ[ატო] ნ. გუგუშვილის მონაწილეობით, კვლავ გამართეს წარმოდგენა“. დაიდგა ა. ცაგარელის „ქართველი დედა“ და ნ. ყიფიანის „ცოლი

ორი დედით". მიუხედავად იმისა, რომ ამ დღეს კოკისპირულად წვიმდა, ხალხი მაინც მოაწყდა თეატრის დარბაზს. „ამ საღამოსაც მოთამაშეთ მეტად ისახელესო თავი" – იუწყებოდა ზუგდიდელი კორესპოდენტი (გაზ. „ივერია", 1903, №6).

1908 წელს ქალაქ ზუგდიდსა და მაზრაში (სოფლებში – ანაკლია, კოკი, ცაიში, ხეთა) უკვე სცენისმოყვარეთა რამდენიმე ჯგუფი არსებობდა. არსებობდა აგრეთვე ზუგდიდელ მოსწავლეთა დრამწრე, რომლის წევრები იყვნენ მ. ჯალაღონია, ჭ. კობახიძე, ა. კვიტაშვილი, ლ. ჭედია, კ. ჩხეიძე და სხვები.

1907-1908 წლებში შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული პარტიის დრამწრე, რომელსაც ხელმძღვანელობდა პეტრე მეუნარგია. აღსანიშნავია, რომ ეს დრამწრე 125 სცენისმოყვარეს აერთიანებდა (გ. გაბისონია, ა. ბარამია, 1968, გვ. 11). დაარსებიდან 1919 წლამდე ამ დრამწრის წევრები იყვნენ **ქალები:** შ. ბოკუჩავა, ლ. ბოჯგუა, ვ. გარდავა, გ. გვათუა, მ. გვიჩია-პატარაიასი, ვ. დარჯანია, ბ. თევზაია, ა. თოდუა, ლ. ფიჩხაია, ფ. თოფურიძე, ა. იაშვილი, კ. კეიდია, ნ. კეშელავა, ფ. კობახიძე, ა. მაკალათია, ლ. მესხი, შ. პატარაია, მ. ჟორდანია, თ. ქარდავა, თ. ქუჩულორია, პ. ყუფუნია, მ. ჩიქოვანი;

მამაკაცები: ს. ბაბუნაშვილი, კ. ბოჯგუა, გ. გაბუნია, ლ. გუგუშვილი, ს. დავითაია, შ. დგებუაძე, ჭ. ესაკია, მ. ვეკუა, დ. თაქთაქიშვილი, ი. კალანდია, გ. კარტოზია, ყ. კიკიანი, დ. კიტია, მ. კობახიძე, პიერ კობახიძე, ჭ. კობახიძე, შ. მაღლაკელიძე, ვ. მესხი, ა. ნადარეიშვილი, ვ. ოსიძე, ა. პატარაია, ბ. უბილავა, კ. ფიჩხაია, ვ. ცაგურია, კ. ცხაკაია, ლ. ჭედია, დათიკო, შალიკო და კოლია ხვიტიები, ვ. ჯალაღონია, ვეჩე, ვალერიან და აპოლონ ჯიქიები და სხვები. ამათგან ცნობილი მსახიობები გახდნენ პიერ კობახიძე, ბ. მაღლაკელიძე, გ. გაბუნია და ვ. ჯიქია (გ. გაბისონია, ა. ბარამია, 1968, გვ. 11-12).

ზუგდიდში იშვიათად, მაგრამ მაინც ჩამოდიოდნენ ქართული თეატრის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები თავიანთი დასით. 1899 წლის ზაფხულში ზუგდიდს ეწვია და წარმოდგენა აჩვენა ქუთაისის დასმა, რომელსაც ლადო მესხიშვილი ხელმძღვანელობდა (გაზ. „ივერია", 1899 წ. №131).

1913 წელს ზუგდიდის ინტელიგენციამ გადაწყვიტა ლადო მესხიშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოეწვია ქართული სცენის მშვენება და გამართა საღამო თეატრში. იუბილარს სიტყვებით მიმართეს ზუგდიდის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა: მასწავლებელმა და სცენისმოყვარე ნიკო ბუკიამ, ექიმმა იასონ მუჯირმა, ანდრი პატარაიამ, გიორგი ხერხეულიძემ. საღამოს დასასრულს ზუგდიდელმა სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს ნაწყვეტები ორი სპექტაკლიდან (გაზ. „მებრძოლი", 1966 წ. №143).

1914 წლიდან ზუგდიდის კულტურული ცხოვრებისათვის ჩვეულებრივი ამბავი იყო ლიტერატურული და მუსიკალური საღამოები. ამ წელს ზუგდიდის სათეატრო დარბაზში გაიმართა იაკობ გოგებაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სალიტერატურო და სამუსიკო საღამო. „ასეთი შინაარსის საღამო აქ პირველად იყო გამართულიო" – წერდა გაზეთი „თემი" (1914 წ. №172).

[1915 წელს] ხანძარმა შთანთქა საზოგადო-საკრებულოს შენობა, სადაც სცენისმოყვარეები მართავდნენ წარმოდგენებს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მათთვის განეგრძოთ მუშაობა. მალე სცენისმოყვარენი დაბინავდნენ ლ. ჭედიას ორსართულიანი ქარვასლის ზედა სართულის ერთ დარბაზში, მოგვიანებით კი ი. სანიკიძის სასტუმროს ქვედა სართულში გახსნეს 150 ადგილიანი „მუშათა კლუბი". იმავე წელს ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება" წერდა: „დ[აბა] ზუგდიდში 31 მაისს ადგილობრივი ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ სცენისმოყვარეთა წრემ წარმოადგინა ვ. გუნიას „და-ძმა". თუმცა დეკორაციებისა და შესაფერისი ტანსაცმლის უქონლობა და სხვა დამაბრკოლებელი მიზეზები ხელს უშლიდა, მაინც წარმოდგენამ კარგად ჩაიარა". სპექტაკლში მონაწილე მსახიობთაგან მაყურებლის განსაკუთრებული მოწონება ხვდათ წილად ჩხოლარიას, რომელიც გაიოზ ფაღავას როლს ასრულებდა და კობახიძეს (ოტია ჯოლიას როლში). საკმაოდ კარგად უთამაშია თავისი როლი ჯიქიას. ქალებიდან სპექტაკლში მონაწილეობა მიუღიათ გ[რიგო]ლიას (მარინეს როლში) და კ[აკაბა]ძეს, რომელმაც გადია განასახიერა. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო (ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1915 წ. №24, გვ. 15).

1913 წელს ზუგდიდში უკვე არსებობდა ე. წ. ნაჭყებიების სასულე ორკესტი (გაზ. „მებრძოლი", 1966 წ. №143).

XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის ზუგდიდში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ფოტოგრაფები: საბახტარაშვილი, სართანია, ბოჯგუა.

პირველი წიგნთსაცავ-სამკითხველოები. ზუგდიდში პირველი ბიბლიოთეკა-სამკითხველო XIX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში დაარსდა, 1884-1886 წლებში აქ მომუშავე შესანიშნავი მასწავლებლის იერემია გულისაშვილის (1863-1958) თაოსნობით. მან ჩამოაყალიბა სცენისმოყვარეთა წრე და დადგეს გიორგი ერისთავის პიესა „ძუნწი". ამ წარმოდგენიდან მიღებული შემოსავლით ჩაეყარა საფუძველი ზუგდიდის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. ამავე ხანებში, ვახშამზე, რომელიც ქალთა სასწავლებლის გამგემ, ფ. მხეიძემ გამართა და რომელსაც ზუგდიდის მთელი ინტელიგენცია და დიდკაცობა ესწრებოდა, იერემია გულისაშვილმა დამსწრეებს თხოვა გაეღოთ თანხა ბიბლიოთეკის სასარგებლოდ, რასაც სიხარულით შეხვდნენ და იქვე შეგროვდა საკმაოდ დიდი თანხა, რომლითაც ბიბლიოთეკისათვის შეძენილ იქნა წიგნები (სახალხო განათლების მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრ. III, თბ. 1968, გვ. 135). როდემდე იარსება ამ ბიბლიოთეკამ, არ ვიცით, მაგრამ საფიქრებელია, რომ იერემია გულისაშვილის სამუშაოდ სხვა ქალაქში გადაყვანას (რაც 1886 წელს მოხდა) ამ ბიბლიოთეკის დახურვაც უნდა მოჰყოლოდა. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ 1888 წელს ცნობილ საზოგადო მოღვაწეს სპირიდონ ნორაკიძეს საჭიროდ ჩაუთვლია ზუგდიდში ბიბლიოთეკის გახსნა (გაზ. „ივერია", 1888, №7), მაგრამ, როგორც ირკვევა, არც ამ ბიბლიოთეკას ეწერა დიდი დღე. 1894 წელს გრიგოლ კორცხელელი წერდა: „საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, არამცთუ ქალაქსა და დაბას, სოფელშიც კი დაარსებულა სამკითხველოები, ურომლისობაც დიდად აწუხებს მცხოვრებლებს და... სასწავლებლის მოსწავლეებს და ჩვენ კი ვერ ვეღირსენით. მოსწავლეები მოწადინებულნი არიან სწავლას, მაგრამ წიგნებს... აქაურ დუქნებში ვერა ჰშოულობენ და ყოველ ეტლის გასვლის

დროს მუხლმოდრეკით ეხვეწებიან კონდუქტორებს წიგნების მოტანას დაბა ახალსენაკიდან და სხვა ქალაქებიდან“ (გაზ. „ივერია“, 1894 წ. №215).

1897 წელს ზუგდიდში არსებულა უფასო სამკითხველო, რომლის სასარგებლოდ ამ წლის 25 ივლისს სცენისმოყვარეებს (სონა ბასილაიას, მ[არიამ] დარჯანიას და სხვა) მაყურებლისათვის უჩვენებიათ გ. ერისთავის „გაყრა“ (მიხეილ კეკელია, წერილი სამეგრელოდან, გაზ. „ივერია“, 1898, №150; გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898, №599, გვ. 4).

1898 წელს ზუგდიდში გაიხსნა მესტამბისა და საზოგადო მოღვაწის, ტრიფონ თოხაძის წიგნების სავაჭრო-სამკითხველო (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898 წ. №527, 558; გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899 წ. №918). ზუგდიდელები დიდად მადლიერნი იყვნენ ტრიფონ თოხაძისა, რომელიც თავისი ფულით იწერდა სამკითხველოსთვის გაზეთებს (გაზ. „ივერია“, 1899 წ. №36). მაგრამ ეს, მ. ვერმიცანაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დიდის ვაის ვაგლახით დაარსებული ერთი სამკითხველო, არ გასულა ერთი წელიც და ისევ მიიკეტა“ (გაზ. „ივერია“, 1900 წ. №171).

1901 წელს ტრიფონ თოხაძეს, ზუგდიდში, თავისი სტამბის შენობაში კვლავ გაუხსნია პატარა საჯარო სამკითხველო, მაგრამ ძლიერი ნივთიერი გაჭირვების გამო ის დროებით ისევ დაუკეტავს 1903 წელს (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. №2297).

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ზუგდიდში არსებულა საჯარო ბიბლიოთეკა, მაგრამ წიგნების სიმცირე და ხელმოკლეობა არ იძლეოდა მკითხველთა გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას (გაზ. „კვალი“, 1897 წ. №769; გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898 წ. №593; ა. ლორია, ნ. გურგენიძე, საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში, თბ. 1974, გვ. 273).

XIX საუკუნის მიწურულს ზუგდიდის სამკითხველოსათვის წიგნებს აგროვებდა ნიკო დადიანის მამულების მმართველი, საფრანგეთში განათლებამიღებული ვლადიმერ ალშიბაია. მას 50 ქართული და რუსული წიგნი გადაუცია ამ სამკითხველოს გამგე ალ. კაკაბაძისათვის (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898 წ. №577, 594).

მიხეილ კეკელიას ცნობით XIX საუკუნის მიწურულს ზუგ-

დიდელი ახალგაზრდები ხშირად მართავდნენ წარმოდგენებს, შემოსავალს ახმარდნენ ზუგდიდში ახალ დაარსებულ სამრევლო სკოლას, სამკითხველოსათვის წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოწერას, განზრახული ჰქონდა თეატრისათვის დარბაზის შეძენა (გაზ. „ივერია“, 1898 წ. №150).

1904 წელს ილია ბახტაძე წერდა: „ზუგდიდში უხვად შეხვდებით კაკარდოსნებს, ინტელიგენტის სახელის მატარებელ ცილინდროსნებს, მაგრამ ამ განათლებულთ არავითარი გონივრული დაწესებულება არ აბადიათ. ამ უძველეს დაბაში ჯერ კიდევ არ არსებობს სამკითხველო... როგორც შევიტყვეთ, სამკითხველოს დაარსება უკისრია პროვიზორს ვანო აბაშიძეს. იმედია თავის კეთილ განზრახვას განახორციელებს“ (ილია ბახტაძე, ზუგდიდის ავანგარდი, გაზ. „ივერია“, 1904 წ. №173).

ზუგდიდელი მოღვაწენი XIX საუკუნის მიწურულიდან სამკითხველო-ბიბლიოთეკისათვის ცალკე შენობის აგებაზე ზრუნავდნენ და ამ მიზნით ფულს აგროვებდნენ. 1899 წელს ნიკოლოზ ბუკიას (1876-1959) თავკაცობით კინტირია ლუკავას სადურგლო სახელოსნოს ფარდულში შედგა ზუგდიდის დრამწრის საქველმოქმედო წარმოდგენა (გ. ერისთავის „გაყრა“), რომელსაც დიდძალი მაყურებელი დაესწრო და რომლის შემოსავალი სწორედ ამ სამკითხველოს შენობის ასაგებად გადაიდო (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898 წ. №599).

ნიკოლოზ ბუკიას თაოსნობით ზუგდიდის ბიბლიოთეკის ასაგებად 1200 მანეთი შეგროვდა. ამ თანხით აიგო სამოთახიანი სახლი. ბიბლიოთეკისათვის შეგროვდა 1500-მდე წიგნი. 1912 წელს, ამ ბიბლიოთეკის გახსნაზე, რომელსაც ქართველთა უსაყვარლესი პოეტის, აკაკი წერეთლის სახელი დაანათლეს, თვით აკაკიც იქნა მიწვეული. დიდი მგოსნის ჩასვლა ზუგდიდში ნამდვილ ზეიმად იქცა. ბიბლიოთეკის გახსნას 10.000-მდე კაცი დაესწრო (ნიკოლოზ ბუკია, დიდი აკაკის სიყვარულით, გაზ. „მებრძოლი“, 1960 წ. №599).

გასართობები და შეჯიბრებები. ანონიმი ზუგდიდელი კორესპოდენტი 1899 წელს იუწყებოდა: „როგორც წარსულ წლებში, წლეულსაც პირველ მაისს გაიმართა აქ დღი შუა ბაზრის ბულ-

ვარის მოედანზედ... ორ მაისობას ყოველთვის აუარებელი ხალხი იყრის აქ თავს: მოდიან როგორც სამეგრელოს სხვადასხვა ადგილიდან, ისე აფხაზეთიდგან, გურიიდგან და იმერეთიდგან. ეს დღეობა დიდ სარგებლობას აძლევს ზუგდიდს ვაჭრობით" (გაზ. „ივერია", 1899 წ. № 86)...

ზუგდიდის მაზრის სკოლები 1867–1917 წლებში

1831 წელს დაარსებული სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი სამთავროს გაუქმებამდე 1867 წლამდე, ერთადერთი სასწავლებელი იყო სამეგრელოს სამთავროში.

სამთავროს გაუქმების შემდეგ შეიცვალა მისი ადმინისტრაციული მოწყობაც. თუ სამთავრო 8 მაზრად იყოფოდა, მისი გაუქმების შემდეგ განხორციელდა მაზრების გამსხვილება და ყოფილი სამთავროს ტერიტორიაზე შეიქმნა 3 ოლქი (შემდგომში მაზრა) – ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის ოლქები (მაზრები). საგანმანათლებლო დაწესებულებების მკვეთრი წინსვლა სწორედ ამის შემდეგ დაიწყო.

ზუგდიდის სკოლები. 1867 წელს ზუგდიდში გაიხსნა დაწყებითი სახაზინო სკოლა. ორი წლის შემდეგ დაწყებითი სკოლა გაიხსნა წალენჯიხაშიც (1869 წ.).

1872 წელს ზუგდიდის მაზრას კიდევ ოთხი სკოლა დაემატა. ეს იყო ხეთის სამრევლო სკოლა, კოკის, საჩინოსა და მუხურის სახალხო სკოლები. მაგრამ სამი უკანასკნელი მომდევნო 1873 წელს დაიხურა.

1872 წელს ზუგდიდის ორკლასიან სასწავლებელში 83 მოსწავლე სწავლობდა. 1873 წელს ზუგდიდის ამ სასწავლებელს, სადაც მხოლოდ ვაჟები სწავლობდნენ, სკოლის გამგის მიხეილ დიდებულიძის მეცადინეობით, საქალებო განყოფილება დაემატა. თვითონ მ. დიდებულიძის ცნობით, მოსწავლე გოგონები, რომელთა რიცხვი 6 ყოფილა, მეორე ცვლაში („სადილის უკანა“) სწავლობდნენ. სწავლა ფასიანი იყო. თითოეულ მოსწავლეს თვეში ორი მანეთი უნდა გადაეხადა.

ორკლასიან სკოლას უკვე 1877 წელს ექვსთვალა ფიცრულის შენობა ჰქონდა. ოთახებიდან 4 საკლასო იყო, ერთი ბიბლიოთეკას ეკავა, ერთიც სამასწავლებლოდ გამოიყენებოდა.

ორკლასიან სასწავლებელთან დაარსებულ საქალებო განყოფილებას, როგორც ჩანს, დიდხანს არ უარსებია. ამას გვაფიქრებინებს გაზეთ „დროებაში“ 1883 წელს გამოქვეყნებული ცნობა: „ზუგდიდში თურმე პირველდაწყებითი ქალების სასწავლებლის გახსნას აპირებენ. ამ საქმის მოთავეობა უკისრია პრინცესა მიურატისას, მთავრის დადიანის ასულს, რომელსაც 12-ს ივნისს სადილი გაუმართავს ხალხისთვის და გამოუცხადებია, რომ ამ სასწავლებლისათვის ქვითკირის შენობას მე აგიგებთ ობლებისა და ღარიბ შეგირდებისათვისო“.

ფრანგი მეცნიერი ჟიულ მურიე, რომელიც შესანიშნავად ერკვეოდა იმდროინდელი სამეგრელოს ცხოვრებაში, 1883 წელს გამოცემულ წიგნში ზუგდიდის სასწავლებლის შესახებ წერდა: „ზუგდიდში არის ორკლასიანი სკოლა, რომელსაც სახელმწიფო ინახავს... ეს სკოლა, მოსამზადებელ დაწესებულებას წარმოადგენს ქუთაისის გიმნაზიის პირველ კლასში შესასვლელად... ამ სკოლაში 140 მოსწავლეა“.

ორკლასიანი სასწავლებელი ზუგდიდელთა გაზრდილ საგანმანათლებლო მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებდა.

1888 წლის 20 აპრილის კრებამ, რომელსაც ქალაქის დეპუტატები უნდა აერჩია, განიხილა ზუგდიდის ორკლასიანი სასწავლებლის სამკლასიან სამოქალაქო სასწავლებლად გარდაქმნის საკითხი. აი, რას წერდა ამის თაობაზე 1888 წელს გაზ. „ივერია“:

„რამოდენიმე წლის წინ ზუგდიდელებმა მთავრობას თხოვეს, რომ ზუგდიდის დაწყებითი სკოლა გადაეკეთებინათ სამოქალაქო სამკლასიან სკოლად. ახლა ზუგდიდის მოქალაქეებს მიმართა მაზრის უფროსმა და უთხრა, რომ საჭიროა ამ სკოლასთან დაარსდეს სამეურნეო და სახელოსნო განყოფილებაო. მოქალაქეთ გადასწყვიტეს – დაეთმოს ამ სკოლის ჯერჯერობით სამი დესეტინა ადგილი და ქალაქმავე იკისროს სკოლისთვის საჭირო შენობის აგება. აგრეთვე გადადებულ იქნას ეხლავე 1500 მანეთი სამეურნეო იარაღის შესაძენად".

ზუგდიდელ ვაჭართა და ხელოსანთა ესოდენი ზრუნვა სკოლისადმი იმაზე მეტყველებს, რომ მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული განათლების დიდი სიკეთე. ვინმე დათიკო ქუთათური იმავე

1888 წელს გამოქვეყნებულ ერთ უსათაურო წერილში წერდა: „დაბა ზუგდიდის მკვიდრნი ყველანი ერთობით განსაკუთრებით ვაჭრობას მისდევდნენ, რის გამო იმდენად შეძლებულნი და გაუჭირვებელნი არიან ნივთიერად, რომ თამამად და სრულიად შეუწუხებლად შეუძლიათ ოთხკლასიანი სავაჟო და საქალებო სასწავლებლები იქირაონ და შეინახონ, მაგრამ სამწუხაროდ სრულიად სხვა შემთხვევას კი ვხედავთ. შეიძლება მიზეზი ის იყოს, რომ მოთავე არ ჰყავდეს ამ ფრიად სასარგებლო საქმისათვის. სავაჟო ორკლასიან სასწავლებელზე არაფერს ვიტყვი ამჟამად, რადგან ის მართებლობის ხარჯზედ არის, საქალებო სასწავლებელი კი მხოლოდ ერთკლასიანია. ამ სასწავლებლისათვის აქაურნი მკვიდრნი არაფერს ხარჯავენ. სახლის ქირა, მასწავლებელი ქალის ჯამაგირი და ყოველივე ხარჯი რაც სასწავლებლისათვის საჭიროა, აგერ სამ წელიწადზე მეტია, რაც პრინცესა მიურატმა იკისრა“.

ერთკლასიან საქალებო სასწავლებელში, დათიკო ქუთათურისავე ცნობით 1888 წელს 32 მოსწავლე იყო. როგორც ზემოთ დამოწმებული მისივე წერილიდან ირკვევა, სკოლა 1884 წელს ხელახლა გახსნილა.

ხუთი წელიწადი დასჭირდათ ზუგდიდის მოქალაქეებს იმისათვის, რომ მთავრობისაგან მიეღოთ ზუგდიდში საქალაქო სასწავლებლის გახსნის უფლება. 1893 წელს როგორც იქნა ეს სასწავლებელი გაიხსნა.

1894 წელს გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა, რომ ზუგდიდში „შარშან ენკენისთვიდამ“ დაარსდაო სამკლასიანი საქალაქო სასწავლებელი.

„ჯერჯერობით მხოლოდ ორი კლასია გახსნილი (ხუთი განყოფილება). ამ სასწავლებლისათვის ზუგდიდისა და ანაკლიის მკვიდრნი ყოველწლივ იხდიან 2000 მანეთს, მთავრობა ეხმარება წლიურად 1350 მანეთით და დანარჩენ 270 მანეთს იხდის თვით სასწავლებელი სწავლისათვის შეგირდებისაგან შემოტანილის ფულიდამ, სამწუხაროდ ერთი რამ აკლია სასწავლებელს – შენობა. სასწავლებელი ჯერჯერობით ნაქირავებ სახლში არის, რომელშიც ვერ ეტევაო“ – წერს უცნობი ავტორი.

კინი გეგეჭკორის ცნობით, ეს სასწავლებელი მოთავსებული ყოფილა ვაჭარ დათაია ჭედიას ერთ-ერთ სახლში. სხვა ცნობებით კი ზუგდიდში ამ დროს გახსნილია არა სამკლასიანი, არამედ ოთხკლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი.

ბროკჰაუზისა და ეფრონის სახელგანთქმული „ენციკლოპედიური ლექსიკონის" ცნობით, რომლის შესაბამისი ტომი სწორედ 1894 წელს გამოიცა, ზუგდიდში ამ დროს არსებულა ორკლასიანი სასწავლებელი, სამრევლო სკოლა და კერძო ქალთა სასწავლებელი, სადაც 185 ბიჭი და 44 გოგონა სწავლობდა.

საარქივო მასალების მიხედვით 1893 წელს ზუგდიდში არსებულა ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი (164 მოსწავლით) და ქალთა ერთკლასიანი სასწავლებელი (38 მოსწავლით). როგორც გრ. კორცხელელის „ივერიაში" 1889 წელს გამოქვეყნებული უსათაურო წერილიდან ირკვევა, სამოქალაქო ოთხკლასიანი სასწავლებელისათვის ქვის შენობის აგება მაშინვე დაუწყიათ. 1897 წლის დამდეგს მშენებლობა დასრულდა.

ერთი უცნობი ავტორი 1897 წელს გაზეთ „ივერიაში" წერდა: „ზუგდიდმა განდიდება ისეთი კარგი საქმით დაიწყო, როგორიც არის სასწავლებელი. თავისი ნაშრომ-ნაღვაწით ააშენა სამოქალაქო სასწავლებლისათვის ისეთი სახლი, რომ ბევრი დიდი ქალაქის სამოქალაქო სასწავლებელიც შეჰნატრებს".

1893 წელს ზუგდიდის ორკლასიან დაწყებით სასწავლებელში 189 მოსწავლე იყო. ამ სასწავლებლის ზედამხედველად 1888-1889 წლებში მუშაობდა შესანიშნავი მასწავლებელი სტეფანე გაგუა (1860-1926). აქ მუშაობდნენ აგრეთვე მასწავლებლები ხოშტარია და თოფურიძე. საღვთო სჯულს ასწავლიდა მღვდელი ანდრია ვახანია, გიმნასტიკას და სამხედრო წყობას – პორუჩიკი დავიდოვი.

საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ სალომე დადიანს დანაპირები შეუსრულებია. 1893 წელს ზუგდიდში უკვე არსებობდა ქალთა ერთკლასიანი სასწავლებელი, რომელსაც სალომე დადიანი ინახავდა. აქ ასწავლიდა გერმანოვიჩი, რომელსაც ქუთაისის გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. დიმიტრი ბოკერია 1894 წლის მიწურულს წერდა: „აგერ ათი წელიწადია, რაც ზუგდიდში არსე-

ბობს ერთკლასიანი დედათა სასწავლებელი, რომელიც პრინცესა სალომე მიურატის მზრუნველობის ქვეშააო".

1899 წელს მღვდელი ივანე ბობოხიძე (1858-1907) და ანა დიმიტრის ასული პატარაია ზუგდიდში აარსებენ ქალთა საეპარქიო სასწავლებელს.

1899 წლის მკათათვის მიწურულს გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების საეპარქიო საბჭოს ზუგდიდის სამაზრო განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, მაზრის სამღვდელოებისათვის ზუგდიდში ორკლასიანი ქალთა სასწავლებლის გახსნის ნებართვის შესახებ. ამ სასწავლებელს უნდა ჰქონოდა სამასწავლებლო და სამეურნეო განყოფილებები. ზუგდიდის მაზრის სამღვდელოება მზად იყო სასწავლებლის შესანახად ყოველწლიურად გაეღო 1200 მანეთი. სალომე დადიანმა ამ სასწავლებელს სამი წლით უფასოდ დაუთმო ერთ-ერთი თავისი სახლი, გარდა ამისა, აჩუქა მიწის ნაკვეთი შიგ ქალაქში. ამ საქმის მოთავემ, მღვდელმა ივანე ბობოხიძემ მიაღწია შენობის ასაშენებლად 17000 მანეთის მიღებას.

ცნობილი მასწავლებელი სანდრო ჩხეტია (1873-1949), თავის მემუარებში წერს, რომ 1903 წელს, „ზუგდიდის საზოგადოებრიობის (კერძოდ 92 წელს მიღწეული დათა კარტოზიას და პეტრე ჟვანიას) თხოვნით, ზუგდიდში გავხსენი ქალთა პროგიმნაზია".

ეს სასწავლებელი 1906 წელს, სანდრო ჩხეტიას დაპატიმრების შემდეგ დახურულა.

1904 წელს, ილია ბახტაძის ცნობით კი, ზუგდიდში მხოლოდ ორი სასწავლებელი არსებულა. ვაჟთა სამოქალაქო სკოლა და ქალთა ორკლასიანი სასწავლებელი. როგორც ჩანს, ილია ბახტაძეს მხედველობაში აქვს მხოლოდ სახელმწიფო სასწავლებლები. ზუგდიდში კი ამ დროს გარდა სახელმწიფო სასწავლებლებისა, არსებობდა საეკლესიო (სამრევლო) და კერძო სკოლებიც.

1905 წელს ზუგდიდის სასწავლებლები რევოლუციური მოძრაობის ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდნენ ქალაქსა და მაზრაში. ამ წლის 7 სექტემბერს ქუთაისის გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვალს ატყობინებდა: „25 აგვისტოს დაბა ზუგდიდში, მაცხოვრის ეკლესიასთან არსებული სამრევ-

ლო სკოლის შენობაში შედგა საიდუმლო კრება აგიტატორებისა, სახალხო სკოლების ზოგი მასწავლებლისა, რომლის მიზანი იყო სწავლის დაწყებამდე მასწავლებლების საერთო გაფიცვის მოწყობა. 26 აგვისტოს ამავე დაბაში, ქალთა ორკლასიანი სკოლის შენობაში გაიმართა თათბირი სასკოლო საქმეებზე, რომელშიც მონაწილეობდა რამდენიმე აქაური მღვდელი და მასწავლებელი. ამასთან ზოგიერთი მასწავლებელი ღიად მოითხოვდა მეცადინეობის შეწყვეტას სამრევლო სკოლებში, თუ იქ სწავლება ქართულ ენაზე არ იქნებოდა.

ამავე ღამით დაბა ზუგდიდიდან ერთი ვერსის მანძილზე, გლეხ აკობიას სახლში, გაიმართა საიდუმლო შეკრება სახალხო სკოლების მასწავლებელთა მონაწილეობით".

ერთი სხვა, ამავე ხანების დოკუმენტებიდან კი ირკვევა, რომ 29 აგვისტოს შუადღისას მაცხოვრის ეკლესიასთან გაიმართა ლიტანია, რომელშიც ათასამდე კაცი მონაწილეობდა და რომლის თავკაცი იყო მღვდელი იოანე ბობოხიძე, ქართული ენის სწავლების შემოღებისათვის თავდადებული მებრძოლი. ხმების უმრავლესობით მიტინგზე მიიღეს დადგენილება ზუგდიდის ყველა სასწავლებელში სწავლების შეწყვეტის შესახებ ქართული ენის სწავლების შემოღებამდე.

ზუგდიდის საქალაქო სკოლებში სწავლის გადასახადი ყოველწლიურად 25 მანეთს შეადგენდა, რაც ხელმოკლე მოსწავლეთათვის (ასეთი კი მათი უმეტესობა იყო), პრობლემა იყო. ამიტომ 1905 წლის 31 ოქტომბერს, მოსწავლეებმა განაცხადეს, თუ გადასახადი 12 მანეთამდე არ შემცირდებოდა და სკოლიდან პოლიტიკურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის დათხოვნილ მასწავლებელ დონდუას არ დააბრუნებდნენ სამსახურში, შეწყვეტდნენ მეცადინეობას შემდეგი წლის 1 იანვრამდე. მოსწავლეებს მხარი დაუჭირეს მასწავლებლებმა და ბინების მფლობელებმა. გაფიცვა, რომელიც 24 ოქტომბერს დაიწყო, ქუთაისის გუბერნატორის მიერ კავკასიის პოლიციის მმართველისადმი წარდგენილ მოხსენების მიხედვით, 12 ოქტომბერს დამთავრდა. სხვა წყაროებიდან კი ჩანს, რომ 7 ნოემბერს, ჯერ კიდევ გაფიცვა გრძელდებოდა.

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში

ზუგდიდში მცხოვრები საზოგადო მოღვაწეები ცდილობდნენ შეძლებისდაგვარად ხელი შეეწყოთ ქალაქის წინსვლისათვის, დახმარებოდნენ სკოლებს, ხელი გაემართათ ღარიბი მოსწავლეებისთვის.

1909 წლის 21-22 ნოემბერს, მაგალითად, ქალბატონ ლავროვისას თავკაცობით, ზუგდიდის საქალაქო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად, ადგილობრივი საკრებულოს დარბაზში ჩატარდა ლატარეა-ალეგრა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. წმინდა შემოსავალმა 470 მანეთი შეადგინა.

1909 წლის 3 ნოემბერს ზუგდიდს ეწვია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი. მან დაათვალიერა ქალაქის სკოლები. ზუგდიდის საზოგადოებამ რუდოლფს სადილი გაუმართა და სთხოვეს დახმარებოდა სკოლებს მეტი სახსრების გამოყოფით. ის ზუგდიდელებს დაჰპირდა სკოლების საჭიროებისათვის 10.000 მანეთის გამოყოფის შესახებ შუამდგომლობის აღძვრას მთავრობის წინაშე, მაგრამ მიიღეს თუ არა ზუგდიდის სკოლებმა შეპირებული დახმარება, არ ვიცით.

1910 წელს, ზუგდიდში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით დაარსდა ორკურსიანი სამეურნეო სასწავლებელი, სადაც შესვლის უფლება ჰქონდათ „სასოფლო სკოლაში სწავლა დამთავრებულ მოსწავლეებს".

1912 წელს, ქუთაისის იმდროინდელი გუბერნატორის ცნობით, ზუგდიდში არსებულა ექვსკლასიანი სასწავლებელი, სამკლასიანი საეპარქიო სასწავლებელი, ორკლასიანი ქალთა სახელმწიფო სკოლა, ხელახლა ყოფილა დასმული ქალთა პროგიმნაზიის გახსნის საკითხი.

1914 წლის 1 იანვრიდან ზუგდიდის საქალაქო სასწავლებელი გარდაიქმნა უმაღლეს დაწყებით სასწავლებლად.

1915 წლის 8 მარტს გაიხსნა კიდევ ერთი სკოლა – წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველდაწყებითი ქართული სკოლა, რომელსაც ჰქონდა ორი განყოფილება. ამ სკოლაში 60 მოსწავლე იყო.

1919 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლები და მათ შორის ზუგდიდის სკოლაც გადაეცა ადგილო-

ბრივ თვითმმართველობას და ამის შემდეგ ამ სკოლას დიდი ხანი აღარ უარსებია.

ზუგდიდის მოსახლეობა წლების განმავლობაში დაჟინებით მოითხოვდა გიმნაზიის გახსნას, თან მისი შესანახი ხარჯების გაღებასაც კისრულობდა. გიმნაზიის გახსნის ნებართვის მიღებამდე დაიწყო მისთვის შენობის აგება. გიმნაზიის მშენებარე შენობა 1909 წელს დაათვალიერა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა რუდოლფმა, მაგრამ საქმეს ამანაც ვერ უშველა.

1913 წელს ზუგდიდელებმა ისევ დასვეს გიმნაზიის გახსნის საკითხი, თუმცა უშედეგოდ. ხელისუფალთა მხრიდან ზუგდიდელთა ამ სამართლიანი მოთხოვნისადმი გულგრილი დამოკიდებულების მიუხედავად, ისინი ფარ-ხმალს არ ყრიდნენ და თხოვნას თხოვნაზე აგზავნიდნენ კავკასიის რუს მესვეურებთან.

„1916 წლის 25 ივნისს, ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ქუთაისის გუბერნიის დ(აბა) ზუგდიდის მცხოვრებნი, რომელთაც დაბის პოლიციის ბოქაულის თანდასწრებით თავი მოვიყარეთ, გვქონდა მსჯელობა კერძო საშუალო სასწავლებლის გახსნის შესახებ და მივიღეთ რა მხედველობაში, რომ მაზრაში არ არის არც ვაჟთა, არც ქალთა არცერთი საშუალო სასწავლებელი, რომ ქუთაისისა და ფოთის საშუალო სასწავლებლები ზუგდიდიდან დაშორებულია, ამიტომ უმაღლესი და თვით საშუალო განათლების მქონენი ზუგდიდის მაზრაში ქუთაისის გუბერნიის სხვა მაზრებთან შედარებით უმნიშვნელოა, დავადგინეთ: აღიძრას შუამდგომლობა მისი აღმატებულების, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე, 1914 წლის 1 ივლისის კანონით დაბა ზუგდიდში ვაჟთა რვა კლასიანი საშუალო სკოლის გახსნის შესახებ, ვაჟთა გიმნაზიის პროგრამით.

1916-1917 სასწავლო წელს გახსნილ იქნას მოსამზადებელი კლასი, ხოლო შემდეგ თანდათანობით ყოველწლიურად თითო კლასი... ზუგდიდის საზოგადოება ვალდებულებას კისრულობს, კერძო საშუალო სკოლის შესანახად 1916-1917 სასწავლო წელს გაიღოს 2000 მანეთი, ამდენივე 1917-1918 სასწავლო წელს, 1918-1919 სასწავლო წელს 3000 მანეთი, 1919-1920 სასწავლო წელს კი 4000 მანეთი“.

ამ მოთხოვნას ხელს აწერს 237 ზუგდიდელი.

1916 წლის 5 ივლისს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა, როგორც იქნა, ნება დართო ზუგდიდში გახსნილიყო კერძო შერეული (ქალთა და ვაჟთა) საშუალო სკოლა. ერთი კვირის შემდეგ შეიქმნა ზუგდიდის საშუალო სკოლის მზრუნველთა საბჭო.

ზუგდიდის საშუალო სკოლის მზრუნველთა საბჭომ ზუგდიდის მოსახლეობის წარმომადგენელთა 1916 წლის 7 ოქტომბრის მოთხოვნის საფუძველზე, შუამდგომლობა აღძრა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე კერძო საშუალო სასწავლებლის გიმნაზიად გარდაქმნის შესახებ.

ზუგდიდის საშუალო სასწავლებელი, სადაც 1916 წელს, სასწავლო წლის დასაწყისში 110 მოსწავლე იყო, 1917 წლიდან გიმნაზიად გარდაიქმნა. გიმნაზია მოთავსებული ყოფილა ჯერ ივანე ჩომახიას სახლში შემდეგ კი გადაუტანიათ ლევან აფაქიძის სახლში.

გიმნაზიის გახსნამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა განათლების საქმე ზუგდიდში.

აი, მოკლედ სახალხო განათლების განვითარების შესახებ ზუგდიდში 1867-1917 წლების დროის მონაკვეთში.

გარდა ზუგდიდისა, დაწყებითი სკოლების გახსნა დაიწყო მაზრის სხვა სოფლებში.

1873 წელს დაწყებით სკოლები დაარსდა კირცხსა და ხორგაში, 1875 წელს – ნოჯიხევში, ლესიჭინეში, ჭოლაში, ხორშსში.

1876 წელს – საჯიჯაოში, მომდევნო 1877 წელს კი – ახუთში.

სტატისტიკური მონაცემებით 1871 წელს ზუგდიდის მაზრაში იყო სულ სამი სკოლა 113 მოსწავლით.

1878 წელს კი 16 სკოლა 829 მოსწავლით.

სხვა წყაროს მონაცემებით 1876 წლის მიწურულისათვის ზუგდიდის მაზრაში 16 დაწყებითი სკოლა იყო, მაგრამ მოსწავლეთა რაოდენობა 485-ს შეადგენდა (და აქედან მხოლოდ 8 იყო გოგონა). 16 სკოლიდან მხოლოდ ერთი (ზუგდიდის სკოლა) იყო ორკლასიანი, დანარჩენი ერთკლასიან სასწავლებელს წარმოადგენდა. ამ 16 სკოლაში 17 მასწავლებელი იყო და მათგან მხოლოდ ორს ჰქონდა მასწავლებლის წოდება. ყველა სკოლას, მიუხედავად ნივ-

თიერი სიდუხჭირისა, სოფლის მოსახლეობა ინახავდა, ზუგდიდის სასწავლებელი კი სახაზინო იყო.

XIX საუკუნის მიწურულისათვის სასკოლო ქსელი ზუგდიდის მაზრაში საკმაოდ გაფართოვდა, მაგრამ სასკოლო ასაკის ბავშვების უმეტესობა მოკლებული იყო დაწყებითი სწავლა-განათლების მიღების შესაძლებლობას.

1899 წელს „ზუგდიდის მაზრაში, სადაც ამ დროისათვის 125 ათასი მცხოვრები იყო, ყველა სახის 62 სასწავლებელი იყო 3654 მოსწავლით (3315 ვაჟი და 339 გოგონა). სასკოლო ასაკის 17860 ბავშვიდან სკოლაში ვერ სწავლობდა 14206 ბავშვი".

ანაკლიის სკოლა. როდის დაარსდა ანაკლიის სკოლა არ ვიცით, მაგრამ 1879 წელს, როგორც გაზეთ „დროების" ერთი პუბლიკაციიდან ჩანს, რომ ის უკვე არსებობდა 1879 წელს.

გაზეთი „დროება" ანაკლიის სკოლის სავალალო მდგომარეობის შესახებ წერდა: „ყმაწვილები იკრიბებიან ოთახში და სწავლობენ იქ. წიგნები უკავიათ ხელში და აბგები წიგნებით უდევთ იატაკზე. ერთი სიტყვით არავითარი მორთულობა – მაგიდები, სკამები, საწერი ფიცარი დაფაა... მასწავლებლებს ეძლევათ თვეში 240 მანეთი. 60 მანეთი უნდა იკრიბებოდეს სასყიდლად სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელო საგნებისა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, მასწავლებლები თავის დროზე და უჩივლელად ვერ ღებულობენ ხვედრ ჯამაგირს".

1898 წელს გაზეთი „ივერია" (№238) წერდა: „10 ოქტომბერს დაბა ანაკლიაში გამართულ იქნა სალიტერატურო საღამო, რომელსაც თითქმის ანაკლიის ყველა მცხოვრები დაესწრო. საზოგადოება მადლიერი დარჩა ამ საღამოსი... ამავე დროს შეკრებილ იქნა სკოლის ასაშენებლად... ფული, რომელიც უკვე გადაცემულ იქნა დანიშნულებისამებრ".

დარჩელის სკოლა. დარჩელის სკოლა, ამ სკოლის ერთი ძველი მოსწავლის ცნობით, 1884 წელს დაარსებულა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მუხრან ღურჯიას, რომელმაც ეს სკოლა დაამთავრა, 1889 წელს შეფასების ფურცელი აუღია სხვა სასწავლებელში გადასვლასთან დაკავშირებით.

იოსებ ქობალიას (1867–1940) ცნობით, პირველი მასწავლებელი დარჩელის სკოლისა, რომელიც **თომა ქაციბაიას** სახლში იყო მოთავსებული, ყოფილა **საკო მთიულოვი**. „1887 წლის 1 სექტემბერს, – წერს იოსებ ქობალია, – სამონასტრო სკოლების მომხრეთა შორის გამწვავდა ურთიერთობა. ამიტომ კლასები ვერ გაიხსნა. სამრევლო სკოლაში ვინმე **საკო მთიულოვი** ასწავლიდა. ეს კაცი ყოფილი ფოსტის მოხელე ყოფილა. ფოთიდან თავისი დამშეული ოჯახით მოსულა ჭითაწყარში. იქიდან ჩამოუყვანიათ დარჩელელებს, 10-15 კაცს, რომლებსაც სასკოლო ასაკის ბავშვები ჰყავდათ. არც დაინტერესებულან მისი პროფესიონალიზმით, რადგანაც ამ დროისათვის ნებადართული იყო „პროხოდის“ სკოლების გახსნა. საკოსათვის ერთი წლის ხელფასი 30 მანეთი მიუციათ. ამის გარდა, თითოეულ მოსწავლეზე აძლევდნენ 25 კაპიკს, შეშასა და ნავთს“.

ასეთი მასწავლებლის ხელში სკოლა დიდხანს ვერ იარსებებდა და როგორც ჩანს, ასეც მოხდა.

მალე გადაწყდა დარჩელში გაეხსნათ „Земское начальное училище“. სკოლის შენობისთვის საჭირო თანხის ნაწილს სახელმწიფო აფინანსებდა, ნაწილი კი დარჩელელებს უნდა გაეღოთ.

სოფელში ზუგდიდიდან ჩავიდა სასკოლო ინსპექტორი **ფიოდოროვი**, რომელსაც ახლდა მასწავლებელი **თადა აშორდია**. სკოლაში, რომლის გახსნაც იგეგმებოდა, ქართულის ნაცვლად მეგრულად სწავლების შემოღებას ცდილობდნენ, მაგრამ ადგილობრივი მღვდლის ნაქადაგევმა მრევლმა სასკოლო ინსპექტორს ამაზე სასტიკი უარი განუცხადა და მოსთხოვეს ორკლასიანი სამრევლო სკოლის გახსნა. (სამწუხაროდ, ამ მღვდლის მხოლოდ სახელი ვიცით, მას ისიდორე ერქვა).

სახელმწიფო სკოლა გაიხსნა. მასწავლებლად დაინიშნა იოსებ ქობალია.

„ენკენისთვე იწურებოდა, რა უნდა მექნა? შეიძლებოდა შტატგარეშე დავრჩენილვიყავი“ – წერს იგი თავის ავტობიოგრაფიაში. მასწავლებლის ხელფასი თვეში 56 მანეთი და 33 კაპიკი ყოფილა. მაგრამ დარჩელელებმა ამ სკოლას ბოიკოტი გამოუცხადეს და

შვილები იქ არ მიჰყავდათ. ი. ქობალიას მისივე ორი დისშვილი და სოფლის ორიოდ მოსახლის შვილი, სულ 5 მოწაფეღა შეუგროვდა. მაგრამ თანდათან სოფლის მოსახლეობამ შვილების უსწავლელად დატოვებას, სკოლაში მათი მიბარება არჩია.

ამრიგად, 1887 წელს გაიხსნა დარჩელის სახელმწიფო სკოლა. იმავე წელს დაიწყო სკოლისთვის განკუთვნილი შენობის მშენებლობა, რისთვისაც 2000 მანეთი იყო გამოყოფილი. ამ თანხის ნახევარს ხაზინა იხდიდა, ნახევარს კი დარჩელის მოსახლეობა.

1907 წელს, გენერალ ალიხანოვ-ავარსკის სადამსჯელო რაზმების დარჩელში შემოსვლისას, მას სოფლის უხუცესები მიეგებნენ პურ-მარილით იმ მიზნით, რომ სოფელი ეგზეკუციის ჩაყენებისგან ეხსნათ. სოფლის წარმომადგენლობას თავკაცობდა მასწავლებელი **იოსებ ქობალია**. დამსჯელი ჯარების სარდლის ამგვარმა თბილმა მიღებამ შედეგი გამოიღო და არათუ ეგზეკუცია არ ჩააყენეს ამ სოფელში, არამედ სკოლის სასწავლო გეგმაში ქართული ენის სწავლების შემოღებასაც მიაღწიეს.

1894 წელს განზრახული იყო დარჩელში სამრევლო სკოლის დაარსება, მაგრამ სოფლის ყრილობამ ამაზე უარი თქვა.

დარჩელში სწავლა-განათლების საქმის ხელშეწყობაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის **მაცი სორდიას**, რომელსაც მიუძღვნა **ლუკა ხუნწარიამ** წერილი გაზეთ „ცნობის ფურცელში“.

1897–1919 წლებში დარჩელის სკოლის მასწავლებელი იყო ზემოთ ხსენებული **იოსებ ქობალია**.

აბასთუმანში 1894 წელს რუსეთიდან დაბრუნებული კონდრატე თათარაშვილი შეუდგა სკოლის გახსნისათვის მზადებას. მომდევნო 1895 წელს გახსნა კიდეც ერთკლასიანი სკოლა, რომელიც ნაქირავებ სახლში იყო მოთავსებული, მაგრამ იმ წელსვე ცალკე შენობა აუგეს.

1896 წელს ის მღვდლად ეკურთხა და კირცხის ეკლესიაში იქნა გამწესებული, ამ სოფელშიც, ეკლესიასთან მან გახსნა სამრევლო სკოლა. მალე იგი სამუშაოდ სოფელ ლიაში გადავიდა, 1902 წელს კი თბილისში დამკვიდრდა. კუკიის ეკლესიის მღვდლად განაწესეს, მაგრამ პედაგოგიურ მოღვაწეობას კვლავ აგრძელებდა.

მის ნაცვლად ჯვეშ აბასთუმნის სკოლა მასწავლებელმა **ლავრენტი კოდუამ** გადაიბარა.

1910 წელს მისი მონდომებითა და გარჯით სკოლა ორკლასიან სასწავლებლად გადაკეთდა. როგორც ჩანს, ეს იყო სამრევლო სკოლა, რადგან საარქივო დოკუმენტებით ჯვეშ აბასთუმანში ერთკლასიანი სამონასტრო სკოლა 1910 წელს დაარსდა. ის დაქირავებულ სახლში ფუნქციონირებდა.

1914 წელს ამ სკოლაში სტატისტიკური მონაცემებით 80 მოსწავლე და 1 მასწავლებელი იყო.

სოფელს, რომელსაც დღეს ახალკახათი ჰქვია წინათ **მანჩაშ კახათი** ერქვა. მას მეორე სახელიც აქვს – **ნაჭვი**. ამ სოფლის მცხოვრები ბავშვები უმეტესწილად სწავლობდნენ დარჩელის სკოლაში, რადგან თვით მანჩაშ კახათში სკოლა არ იყო. მიუხედავად ნაჭველების არა ერთი ცდისა და ხვეწნა-მუდარისა, 1919 წლამდე მათ საკუთარი სკოლა არ ღირსებიათ.

სოფლის თავკაცებმა **ბესო ლესინძემ, პილა გეგეჭკორმა და ეგნატე დანელიამ სთხოვეს ზუგდიდის მაზრის თავკაცებს ივანე ბაძაღუას და ლეო შენგელაიას** (შემდგომში ცნობილ მწერალს – ქიაჩელს) ნაჭვში სკოლის გახსნა, რაც დაკმაყოფილებულ იქნა იმ პირობით, რომ სკოლის შენობაზე და მასწავლებლის ხელფასზეც, თვით სოფლის მკვიდრნი იზრუნებდნენ, სახელმწიფოს ახალი სკოლის დაფინანსების არანაირი საშუალება არ ჰქონდა.

სკოლა მოთავსდა ნაქირავებ ორ ოთახში. სკოლის გაძღოლა და მასწავლებლობა გასამრჯელოს გარეშე იკისრა ამ სოფლის მკვიდრმა, მღვდელმა **ლუკა თეოფანეს ძე ხუნწარიამ**, რომელმაც-თავის მხრივ, მეორე მასწავლებლად მოიწვია ორსანტიელი **ნადე მაქსიმეს ასული კვარაცხელია.**

სკოლის სადგამ-ავეჯი სოფლის რამდენიმე მკვიდრმა საკუთარი მასალით დაამზადა.

შენობისათვის თავისი მიწის ნაკვეთი უსასყიდლოდ დათმო **ანა დგებუაძე-ხორავამ (მწერალ ფუცუ დგებუაძის დამ)**, სადაც დაიდგა ოდნავ მოგვიანებით შეძენილი 7 ოთახიანი კოპიტის სახლი.

ცაიშის სკოლები. პირველი სკოლა ცაიშში გაიხსნა 1883 წელს. ეს იყო ერთკლასიანი სამონასტრო სკოლა სამწლიანი სწავლებით. 1888 წელს ის გადააკეთეს ორკლასიან სკოლად ხუთწლიანი სწავლებით. სკოლის გამგე ყოფილა **ნოე ქურიძე.**

ამავე 1885 წელს ცაიშში ახალი, ამჯერად უკვე სახალხო განათლების ორკლასიანი სკოლა გაიხსნა. 10 თებერვალს, ეს სკოლა აკურთხა ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა სიმეონმა. პარაკლისს, როგორც გაზეთ „მწყემსში“ გამოქვეყნებულ **ვ. ჯგუშიას** წერილიდან ვიგებთ, დასწრებიან სამეგრელოს მთავრის ასული **სალომე დადიანი,** მისი მეუღლე პრინცი **აშილ მიურატი,** ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი **ქორქაშვილი,** ზუგდიდის მაზრის უფროსი **ჯაყელი** და სხვანი. დამსწრე საზოგადოებისთვის სიტყვით მიუმართავს **დეკანოზ მიხეილ მეუნარგიას.**

1898 წელს დაარსებულა სამრევლო სკოლა, სადაც დეკანოზი **ბესარიონ თოდუა და მისი მეუღლე ეკა მახარაძე** სწავლობდნენ. სამონასტრო სკოლაში 20-30 მოწაფე სწავლობდა და სამი მასწავლებელი ასწავლიდა, სამრევლო სკოლაში კი ორი მასწავლებელი.

ამ სკოლებში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის პირველ მეოთხედში ასწავლიდნენ **ალექსანდრე ქირია, ნიკო გახარია, თეკლა კობახიძე, ვერა ქარდავა, ლილი მეუნარგია (იონა მეუნარგიას ასული).**

1901 წელს ცაიშში გაიხსნა ერთკლასიანი ქალთა სკოლა.

1902 წელს დაარსდა ქალთა დაწყებითი პროფესიული სკოლა ორკლასიანი სწავლების კურსით. მისი დამაარსებელი და ბურჯი იყო ცაიშელი აზნაურის ფარნა ჟორდანიას მეუღლე, ოლღა აბაშიძე.

1903 წლის ბოლოს ამ სკოლაში 58 მოწაფე იყო.

1904 წელს კი ეს სკოლა დაამთავრა ხუთმა მოწაფემ.

1905 წელს – რვამ, 1906 წელს – ექვსმა, 1907 წელს – შვიდმა, ამ სკოლაში 1914 წელს 57 მოწაფე იყო და ერთი მასწავლებელი ასწავლიდა. სკოლას საკუთარი შენობა არ გააჩნდა.

1915 წელს ცაიშს უკვე ოთხკლასიანი პირველდაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი ჰქონდა. ამ სკოლას სოფელს ხეთის მკვიდრი **ნიკოლოზ ბუკია** ედგა სათავეში.

მახარიის სკოლები. სოფელ მახარიაში სკოლის დაარსების მოთავეები იყვნენ მისი მკვიდრი, მასწავლებელი მიხა ფიფია და მახარიის ეკლესიის მღვდელი პავლე ჭანტურია.

ეს სკოლა, რომელიც ერთკლასიან საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელს წარმოადგენდა, გაიხსნა 1910 წლის სექტემბერში. სკოლის პირველი გამგე და მასწავლებელი იყო მიხა ფიფია.

1911 წლის 28 თებერვალს მიხეილ ფიფია, გურია-სამეგრელოს ეპარქიალური საბჭოს ზუგდიდის განყოფილებისათვის წარდგენილ განცხადებაში წერს, რომ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა 21-ს არ აღემატებაო.

მახარიას სკოლაში ორი წლის მუშაობის შემდეგ მიხა ფიფია ორსანტიის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად გადაიყვანეს. ამ სკოლის გამგე-მასწავლებლად კი 1912 წელს დაინიშნა ისააკ სიკოს ძე კაკულია. (დაბ. 1886 წ.), რომელსაც 1906 წელს ჰქონია დამთავრებული ზუგდიდის ექვსკლასიანი საქალაქო სასწავლებელი. ერთი წელი იმუშავა ამ პედაგოგმა მახარიის სკოლაში. მომდევნო წელს იგი სხვაგან გადაიყვანეს სამუშაოდ, მახარიას სკოლის გამგე-მასწავლებლად კი დანიშნეს სანდრო ბზიყვას ძე ნარმანია (დაბ. 1888წ.), რომელსაც ასევე ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებელი ჰქონია დამთავრებული.

1917 წელს მახარიის სკოლის გამგე-მასწავლებელი გახდა სოფელ ლიას მკვიდრი ბესარიონ ომარის ძე სამუშია (დაბ. 1893წ.), რომელიც მანამდე ხუდონის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად მუშაობდა.

1916 წელს, მახარიელების მიერ გაჭირვებით აშენებული სკოლის შენობა ხანძარმა იმსხვერპლა. მახარიას ეკლესიის მრევლმა, რომელიც გარდა სოფელ მახარიასი, მოიცავდა მეზობელი სოფლების – ბეჟაშლალის, პალურისა და ტყაიას მკვიდრთ, სკოლისთვის სახლი იქირავა. სკოლის გადასარჩენად, მიხა ფიფია – სკოლის დაარსების ერთ-ერთი მოთავე და პირველი გამგე-მას-

წავლებელი, მშობლიურ სოფელში დაბრუნდა და კვლავ მახარიას სკოლის გამგე-მასწავლებელი გახდა.

ნიკოსიის (რუხის) სკოლა. ზუგდიდის მომიჯნავე სოფელ რუხში, რომელსაც უფლისწულ ნიკო დადიანის დაბადების აღსანიშნავად სახელი გამოუცვალეს და **ნიკოსია** დაარქვეს (ნიკოსია ერქვა მას 1918-1919 წლებში), მიუხედავად ამ სოფლის მკვიდრთა დაჟინებული თხოვნისა, სკოლის გახსნა დიდხანს გაჭიანურდა და მხოლოდ 1899 წლის სექტემბერში გაიხსნა ერთკლასიანი სასწავლებელი. ნიკოსიელებმა თვითონ იკისრეს სკოლისთვის შენობის აგება და სადგამ-ავეჯისა და სასკოლო ნივთების შეძენა. ამ სკოლაში გარდა რუხელებისა, ნაწულუკუს, საჭკადუოსა და ახალ აბასთუმნის მკვიდრთა შვილებიც სწავლობდნენ.

რუხის ერთკლასიანი სასწავლებლის პირველი მასწავლებელი იყო თადეოზ ზოსის ძე ვეკუა (1878-1930). მას ხონის საოსტატო სემინარია ჰქონდა დამთავრებული. თადეოზ ვეკუა აქ აფხაზეთის სოფელ კვასკეს სკოლიდან გადმოუყვანიათ. მან რუხის სკოლაში 1902 წლამდე იმუშავა.

1902 წლიდან რუხის სკოლის გამგე-მასწავლებლად ფოთელი ნიკიტა ანდრიას ძე მიმინოშვილი იყო.

1905 წლიდან კი – ამავე სოფლის მკვიდრი ივანე ესართია, რომელიც ქუთაისის სამასწავლებლო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1907 წელს სხვაგან გადაიყვანეს მასწავლებლად.

ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა 1921 წლამდე ნიკოსიის (რუხის) დაწყებითი სკოლის მასწავლებლად მუშაობდნენ რაჟდენ თორდია, ილარიონ სართანია, კირილე წივწივაძე, კოწია ანდრიაძე, ამბაკო მარკოზია და გრიგოლ ჟვანია.

1903 წლის მიწურულისათვის ნიკოსიის ერთკლასიან სკოლაში 88 მოწაფე ირიცხებოდა, ხოლო 1914 წელს 71 მოწაფე იყო და ორი მასწავლებელი ასწავლიდა.

ნიკოსიის სკოლაში 1905 წელს ასწავლიდა მიხაკო კაკულია.

ეკლესიის გალავანს გამოღმა აუგიათ ცალკე შენობა. სკოლის ერთ-ერთი კურსდამთავრებულის გადმოცემით, სკოლის შენობის

ორი ოთახი საცხოვრებლად ჰქონია დათმობილი მასწავლებელ ვარდონა ლორთქიფანიძეს, თავად დადიანის ქვრივს.

კორცხელის სკოლები. კორცხელის სკოლის დაარსების შესახებ, თავისი მამის ტოტია ქობალიას მონათხრობზე დაყრდნობით, სარწმუნო ცნობებს გვაწვდის ამ სკოლის პირველი მოსწავლეთაგანი იოსებ ქობალია (1864-1940).

კორცხელის ეკლესიის მრევლის შეკრებაზე გადაუწყვეტიათ სკოლის გახსნა. შენობის აგება და ჯამაგირის გაღება თვითონ მრევლს უკისრია. როგორც ჩანს, ეს მოხდა 1874 წლის სექტემბრის დამდეგს, რაზედაც არაპირდაპირ უთითებს მასწავლებლის მიერ იოსებ ქობალიას ქართული ენის სახელმძღვანელოზე გაკეთებული წარწერა – „17 სექტემბერი, 1874 წელი“.

სკოლა სამრევლო-საეკლესიო უნდა ყოფილიყო და როგორც ფიქრობენ, მისი პირველი გამგე-მასწავლებელი უნდა ყოფილიყო მთავარმოძღვარი (ბლაღოჩინი), მღვდელი დიმიტრი თოლორაია. მაგრამ ეს არ უნდა იყოს სიმართლე, რადგან სკოლა თავდაპირველად სოფლის მამასახლისს შანყვა ქობალიას სახლში იყო მოთავსებული, მასწავლებელი კი ამ უკანასკნელის შვილი ივანე ქობალია იყო. მოგვიანებით ეს სკოლა ჯვარის მამის ნასახლარში გადაუტანიათ.

1880 წელს კორცხელში გაიხსნა ერთკლასიანი (როგორც ჩანს სასოფლო) სკოლა, სადაც 1903 წელს 105 მოწაფე სწავლობდა.

ქუთაისის არქივში დაცული გურია-სამეგრელოს ეპარქიალური საბჭოს საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ კორცხელში 1896 წელს (სხვა ცნობით კი 1898 წელს) დაარსდა შერეული ტიპის ორკლასიანი სკოლა (შერეული ტიპის სკოლად იწოდებოდა სკოლა, სადაც ერთად სწავლობდნენ გოგონები და ბიჭები). 1896 წელი, როგორც მართებულად ფიქრობს მკვლევარი გოჩა ლაშხია, არის არა ამ სკოლის დაარსების, არამედ ორკლასიანად გადაკეთების თარიღი. თუმცა ის ცდება, როცა სკოლა, რომელიც ორკლასიანად გადაკეთდა, 1874 წელს ეკლესიასთან დაარსებული საეკლესიო-სასოფლო სკოლა ჰგონია. სინამდვილეში ეს იყო 1880 წელს დაარსებული სასოფლო სკოლა, თუ რას წარმოადგენდა კო-

რცხელის სკოლა, ნათლად ჩანს იმხანად იქ მომუშავე ცნობილი მასწავლებლის ერმილე შარაშიძის (1860-1939) გაზეთ „ივერიაში“ 1887 წელს გამოქვეყნებული წერილიდან:

„აგერ წელიწადი შესრულდა, – წერს ის, – რაც მე ამ სოფელში (კორცხელში) სკოლის მასწავლებლად ვარ. ამ დროის განმავლობაში შეძლებისდაგვარად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას და ახლა, ცოდვა გამჟღავნებული სჯობს, ძალიან ამიცრუვდა გული ამ ჩემს ხელობაზე. ამის მიზეზი ათასი სხვადასხვა გაჭირვება იყო. პირველი გაჭირვება გახლდათ ვაი-ვაგლახით გატარებული ზამთარი. ყველას მოგეხსენებათ რანაირი სახლები აქვთ სკოლებს ჩვენში. ამისთანა სადგომში, რაც უნდა კარგად მომზადებული ვიყოთ, ძნელი ასატანია იმგვარი ზამთრის სუსხი, როგორიც წელს გვარგუნა ბედმა. წარმოიდგინეთ, რომ მე და ჩემმა სკოლის შეგირდებმა ეს სუსხიანი ზამთარი უცეცხლოდ გავატარეთ... ამგვარ მდგომარეობაში რას შეიგონებდნენ საცოდავნი. ასეთმა ყოფამ აი რა შედეგი მოიტანა: ერთი დღის განმავლობაში ჩემის 95 შეგირდიდან ორმოცს წითელა გაუჩნდა და დანარჩენებიც მეორე და მესამე დღეს გახდნენ ავად ამავე სენით. მადლობა ღმერთს ყველანი განთავისუფლდნენ და დიდი ზარალი არ მოგვსვლია. მხოლოდ ერთი მოსწავლე იმსხვერპლა ამ ავადმყოფობამ. ამგვარ ვაი-ვაგლახში რა სწავლა უნდა ყოფილიყო, რაღა უნდა მომესწრო და რაღა უნდა გამეკეთებინა. აი აიღო თოვლი და გაზაფხულიც მოახლოვდა. მადლობა ღმერთს მოსწავლეები მომირჩნენ და ბეჯითად დაიარებიან სკოლაში...“ ერმილე შარაშიძე ამავე წერილში წერს, რომ „სამი თვეა ჯამაგირი არ მიმიღია და როცა ზუგდიდში, მაზრის სამმართველოს მივაკითხე, გამომიცხადეს, რომ ფულები ჯერ არ შემოსულა სოფლის საზოგადოებიდან ხაზინაში და კარგა ხანი დაგიგვიანდებათ თქვენი ჯამაგირის მიღებაო“.

როგორც ამ წერილიდან ირკვევა, კორცხელის სასოფლო სკოლასაც სოფლის მოსახლეობა ინახავდა.

სკოლას 1900-1901 სასწავლო წელს უკვე სამოთახიანი, 420 მანეთად შეფასებული სახლი და ნაკვეთი ჰქონდა. სკოლაში ამ დროს ასწავლიდნენ: მღვდელი ვასილ გიორგის ძე ჯუღელი, ნინია ნიკოლოზის ასული თოლორაია, რომელსაც ჰქონდა დამთავრებული ფოთის ქალთა სასწავლებელი.

1904 წელს კი ამ სკოლის მასწავლებლები იყვნენ მღვდელი ნიკოლოზ თოლორაია და ვარლამ ხვიტია.

1901 წლის სექტემბრისათვის კორცხელის საანბანო სკოლაში იყო 28 მოწაფე (13 ვაჟი და 15 ქალი). 1902 წლის გაზაფხულისთვის – კი 40 მოწაფე (13 ვაჟი და 16 ქალი).

1914 წელს კორცხელის ყველა სკოლაში ერთად აღებული კი 128 მოწაფე და 4 მასწავლებელი იყო.

სოფელ ნაცატუში, რომელიც როგორც ზემოთ ითქვა, კორცხელის თემში შედიოდა, ამ სოფლის მკვიდრმა ბაგრატ რაფავამ დაწყებითი სკოლა დააარსა 1912 წელს. ამ სკოლაში 1914 წლის მონაცემებით 21 მოსწავლე იყო. სხვა ცნობებით ეს სკოლა 1913 წელს გაიხსნა და 1914 წელს 68 მოწაფე და ერთი მასწავლებელი იყო.

კოკის სკოლა. 1872 წელს გაიხსნა კოკის ერთკლასიანი სკოლა, რომელშიც შემდეგი წლის 1 იანვრისათვის 17 მოსწავლე ირიცხებიდა. უსახსრობის გამო ეს სკოლა 1873 წელს დაიხურა.

1884 წელს კოკში ხელახლა გაიხსნა დაწყებითი სკოლა.

1903 წლისათვის აქ 213 მოსწავლე იყო, მათ შორის 28 გოგონა. სკოლის წლიური სახსრები 1500 მანეთით განისაზღვრებოდა.

1914 წელს აქ უკვე ორკლასიანი სკოლა იყო 198 მოსწავლითა და ხუთი მასწავლებლით.

დიდინეძის სკოლა. დიდინეძში დაწყებითი ერთკლასიანი სკოლის შესახებ ცნობები არ გაგვაჩნია. 1897 წელს იქ გაიხსნა ორკლასიანი სკოლა, რომელსაც პირველ წლებში, რატომღაც თითოოროლა მოსწავლე ამთავრებდა.

1902 წელს ეს სკოლა დაამთავრა ოთხმა მოსწავლემ.

1903 წელს – სამმა, 1904 წელს – ორმა, 1905 წელს – ხუთმა, 1906 წელს – ოთხმა, 1907 წელს – შვიდმა.

1914 წელს დიდინეძის სკოლაში 141 მოწაფე იყო და 3 მასწავლებელი ასწავლიდა.

დიდინეძში იყო ქალთა სკოლაც, მაგრამ მისი დაარსების თარიღის გასარკვევად დამატებით საარქივო მასალებია მოსაძიებელი.

1914 წელს დიდინეძის ქალთა ერთკლასიან სკოლაში 23 მოსწავლე და ერთი მასწავლებელი იყო. სკოლა დაქირავებულ

სახლში იყო მოთავსებული.

ჭკადუაშის სკოლა. ჭკადუაშელებმა არაერთხელ მიმართეს მთავრობას სკოლის გახსნის ნებართვის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სკოლისთვის საჭირო თანხას თვითონ იღებდნენ, სკოლის გახსნის ნებართვა 1899 წლამდე ვერ მიიღეს.

1899 წელს ჭკადუაშში გაიხსნა ერთკლასიანი სკოლა, სადაც 1914 წელს 60 მოწაფე და ერთი მასწავლებელი იყო. თუ რამდენად ცოტა იყო მოსწავლეთა ეს რიცხვი ამ სოფლისათვის, კარგად ჩანს იქიდან, რომ საარქივო სტატისტიკური მონაცემებით, დაწყებითი სკოლის ასაკის 115 ჭკადუაშელი ბავშვი სკოლის გარეთ იყო დარჩენილი.

კახათის თემის სკოლები. კახათის თემში შედიოდა, როგორც თვით კახათი, ასევე მოსაზღვრე სოფლები ნაჭვი, დავითიანი და თარგამული.

პირველი სკოლა კახათში დაარსდა 1883 წლის მიწურულს. ამ სოფლის უცნობი მკვიდრი ამის შესახებ წერდა: „სოფელ კახათისთვის დღევანდელი დღე დასამახსოვრებელი და დიდი დღეა, დღეს შეგვისრულდა ცოტად მაინც, უჩინარ მამულის მოყვარე პირთა ნადილი. აქ გაიხსნა სამრევლო სკოლა".

ამ სკოლის დიდ წარმატებებზე 1894 წელს წერდა გაზეთი „ივერია".

სკოლა მოთავსებული იყო იმჟამინდელ კახათში ყველაზე შეძლებული კაცის – ძიკო ჩახაიას სახლში.

1914 წელს იქ სწავლობდა 40 მოწაფე და იყო ერთი მასწავლებელი.

კახათის თემის სოფელ დავითიანის ერთკლასიანი სასწავლებელი, რომელიც, 1904 წელს გაიხსნა, 1914 წლისთვის უკვე ორკლასიანი იყო, 126 მოსწავლით და სამი მასწავლებლით.

ჯვეშ აბასთუმნის სკოლა. სოფელ „ჯვეშ აბასთუმანში", ერთკლასიანი სკოლა დაარსდა 1910 წელს. ის დაქირავებულ სახლში იყო მოთავსებული. 1914 წელს ამ სკოლაში საარქივო სტატისტიკური მონაცემებით „80 მოსწავლე და ერთი მასწავლებელი იყო".

განმუხურის სკოლა გაიხსნა 1904 წელს. თავდაპირველად ის იყო ერთკლასიანი, შემდეგ კი ორკლასიანად გადაკეთდა. 1914

წელს იქ 126 მოწაფე სწავლობდა და სამი მასწავლებელი ასწავლიდა.

ორულუს სკოლა. ამ სკოლის დაარსების თარიღზე ცნობა არ გაგვაჩნია. 1914 წელს ორულუს ერთკლასიან სკოლაში მუშაობდა ერთი მასწავლებელი და სწავლობდა 38 მოსწავლე. ამ სოფლის მკვიდრი სასკოლო ასაკის 62 ბავშვი სკოლაში არ დადიოდა. სკოლა ნაქირავებ სახლში იყო მოთავსებული.

ნაცატუს სკოლა. 1913 წელს გაიხსნა სოფელ ნაცატუს ერთკლასიანი სკოლა. მომდევნო, 1914 წელს ამ სკოლაში 68 მოსწავლე და ერთი მასწავლებელი იყო.

ახალ აბასთუმნის სკოლა გაიხსნა 1913 წელს. ის ერთკლასიანი იყო. როგორც გაზეთი „აზრი" წერდა, ეს სკოლა სადაც ორივე სქესის 60-მდე მოწაფე იყო, არ ყოფნიდა სოფელს, ბევრი მოზარდი სკოლის გარეშე იყო დარჩენილი. სკოლა ნაქირავებ სახლში იყო და დიდ სივიწროვეს განიცდიდა.

საარქივო მასალებით ამ სკოლაში 1913 წელს 53 მოწაფე სწავლობდა, მასწავლებელი კი ერთი იყო.

ტყაიას სკოლა. სოფელ ტყაიას, რომელიც ადრე ლიას თემში შედიოდა და მის მკვიდრთა შვილები, ამ სოფლის სკოლაში სწავლობდნენ, შემდგომში საკუთარი ერთკლასიანი სკოლის გახსნის ნება დართეს, მაგრამ როდის მოხდა ეს, დოკუმენტების უქონლობის გამო, ზუსტად ვერ ვიტყვით. 1914 წელს კი, როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, ამ სოფლის ერთკლასიან სკოლაში 69 მოწაფე სწავლობდა, ასწავლიდა ერთი მასწავლებელი.

ცაცხვის სკოლა. არც ამ სოფლის სკოლის დაარსების თარიღი ვიცით. 1914 წელს კი ცაცხვის ერთკლასიან სკოლაში 67 მოწაფე და ერთი მასწავლებელი ყოფილა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლები

1879 წლის 15 მაისს დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. ამ „ეროვნული თავშესაფრის“ მნიშვნელობა ჩვენი ერისა და ქვეყნის გადარჩენის საქმეში განუზომელია.

ამ საზოგადოებამ, რომლის შექმნის მოთავენი და მისი საქმიანობის სულისჩამდგმელნი ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ბესარიონ ღოღობერიძე და ვახტანგ თულაშვილი იყვნენ, შემოიკრიბეს მამულიშვილთა მთელი წყება.

ამ საზოგადოების ერთ-ერთი პირველი წევრები ზუგდიდში იყვნენ: მღვდელი მიხეილ მეუნარგია, (1827-1904) დავით კვირკველია (1884 წ. დოკუმენტით) და სხვები.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება ნამდვილი ლახვარი იყო ქართველთა გარუსებაზე მეოცნებე რუსი თავკაცებისათვის. ამიტომ, დაშინებულებმა იმით, რომ ამ საზოგადოების მიერ ქართული სკოლების გახსნა ხელს შეუშლიდა მათ გეგმებს, დაიწყეს მის წინააღმდეგ ბრძოლა სხვადასხვა ვერაგული საშუალებებით.

მაგალითად, 1905 წლის 29 აპრილის კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ცირკულიარში, ნათქვამი იყო: „არა მართლმადიდებელთა ბავშვებისათვის შესაძლოა გაიმართოს სკოლები წერა-კითხვისა, თუ საზოგადოება იზრუნებს და ხარჯსაც თვითონ გაიღებს და სკოლებში სწავლა იწარმოებს დედა-ენაზე“.

ამ ცირკულიარის ნამდვილი არსი მეყსეული გამოხმაურებით ამხილა დიდმა იაკობ გოგებაშვილმა. ჯერ გაზეთ „Россвет“-ში გამოქვეყნებული წერილი სათაურით „შევიწროება ქართული ენისა და ქართველებისა სწავლა განათლების სფეროში“, სადაც

ურყევი საბუთიანობით დაამტკიცა, რომ 1905 წლის 29 აპრილის ცირკულიარის სამიზნე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და მისი ქართული სკოლები იყო.

1912 წლის 7 აპრილს ექიმ ანდრია პატარაიას (1876-1951) თაოსნობით შედგა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ზუგდიდის განყოფილების დამფუძნებელი კრება, რომელსაც ამ ქალაქის ინტელიგენციის 30 წარმომადგენელი ესწრებოდა. არჩეულ იქნა საზოგადოების განყოფილების გამგეობა, რომელშიც შევიდნენ **აქვსენტი ფალავა (თავმჯდომარე), ნიკო ბუკია, ანდრია პატარაია, კატო კედია, სოკრატ კვაშილავა, ტრისტან ჯოხთაბერიძე, გ. ხერხეულიძე** და სხვები.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ზუგდიდის განყოფილებას სახსრების შეგროვებაში დიდ და უანგარო დახმარებას უწევდა მაზრის უფროსის მეუღლე რ. ტ. ჩერნოვა. უკვე 1915 წელს საზოგადოების ზუგდიდის განყოფილებაში 148 წევრი იყო და მისი ბიუჯეტი 1681 მანეთს შეადგენდა.

1915 წლის 8 მარტს ზუგდიდში გაიხსნა ამ საზოგადოების ქართული სკოლა. სკოლას 1915-1916 სასწავლო წლისათვის ჰქონდა ორი განყოფილება და მასში ირიცხებოდა 60 მოსწავლე. სწავლა მიმდინარეობდა ქართულ ენაზე, ხოლო რუსული ისწავლებოდა როგორც სავალდებულო საგანი მეორე წლის მეორე ნახევრიდან.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მეორე სკოლა მაზრაში გაიხსნა 1916 წლის 1 სექტემბერს სოფელ მოიდანახეში. მას მზრუნველობდა სოფელ მუხურის ორკლასიანი სკოლის ზედამხედველი, მოიდანახეს მკვიდრი ერასტო როდონაია, რომელიც 1918 წლის დეკემბრიდან ამავე სკოლაში გადმოვიდა სამუშაოდ.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება ინახავდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს ზუგდიდში, დარჩელში, წალენჯიხასა და ქვალონში.

მაშასადამე, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება ზუგდიდის მაზრაში მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა განათლების სფეროში. ამ საზოგადოების ჩამოყალიბებამ დიდად შეუწყო ხელი წერა-კითხვის უცოდინრობის დაძლევას (თუმცა ამ პრობლემის გადაჭრა გარკვეული მიზეზების გამო ბოლომდე ვერ ხერხდებოდა).

საკვირაო სკოლები. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში, ისევე როგორც მთელს რუსეთის იმპერიაში, დაიწყო საკვირაო და მოძრავი სკოლების შექმნა.

საკვირაო სკოლები ზუგდიდის მაზრაში, ისევე როგორც მთელს სამეგრელოსა და დანარჩენ საქართველოში, მოზრდილთა და სკოლის გარეთ დარჩენილ მოზარდებისათვის წერა-კითხვისა და უმარტივესი ანგარიშის ცოდნის მიცემის მიზნით არსებობდა. იაკობ გოგებაშვილი ანიჭებდა რა ამგვარი სკოლების შექმნას დიდ მნიშვნელობას, მათ შემდეგნაირად ახასიათებდა: „სწავლა მხოლოდ კვირაობით და უქმე დღეობით იმართება. საკვირაო სკოლები იხსნება იმ ყრმათათვის, რომელთაც სამუდამოდ სკოლა არ ღირსებიათ და დიდებისათვის, რომლებიც სწავლის წადილს მოკლებულნი არ არიან. ამ სკოლებში დაიარებიან როგორც მამრობითი სქესის პირნი, ისე მდედრობითისა. მოსწავლენი იკრიბებიან და სწავლა იმართება სამუდამო სკოლების კლასებში, რომელსაც ამ (საკვირაო) სკოლას მთავრობა დიდი სიამოვნებით უთმობს, რადგან კვირაობით საკლასო ოთახები ცარიელნი არიან... კურსი ამ სკოლისა მარტივია. ასწავლიან მხოლოდ წერა-კითხვას, პირველდაწყებით ანგარიშს, საღმრთო ისტორიას“.

1896 წელს გაიხსნა საკვირაო სკოლა ზუგდიდის საქალაქო სასწავლებელთან.

ერთი ფოთელი ნოქარი, რომელიც საკვირაო სკოლის მოსწავლე იყო, გაზეთ „ცნობის ფურცელში“ წერდა: „ყოველ კვირა დღეს ადგილობრივი ნოქრები, მუშები, ხელოსნები, მოსამსახურეები ვიკრიბებოდით ხოლმე სკოლაში და გულმოდგინედ ვსწავლობდით წერა-კითხვას, განსაკუთრებით ნოქრებისთვის ეს დიდი ღვთის წყალობა იყო, რადგან მათ შორის ისეთები არიან, რომ თავისი

სახელისა და გვარის მოწერაც არ იციან. ჩვენი აღა-ბატონებიც ხელს გვიწყობდნენ, კვირაობით დუქან-მაღაზიებს კეტავდნენ და დრო გვეძლეოდა სასწავლებლად. ნოქრებს ერთი საათის მოცალებაც არა აქვთ და საკვირაო სკოლები ვის ახსოვს. რა თქმა უნდა ამით სკოლასაც მოაკლდება შეგირდები".

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზუგდიდში სავაჭრო დღეები პარასკევი და კვირა იყო, უნდა ვივარაუდოთ, რომ აქაც ანალოგიური მდგომარეობა იქნებოდა.

სახალხო მასწავლებელი ერასტო როდონაია (1875-1936) თავის „მოგონებებში", წერს, რომ 1904 წელს გავხსენი საკვირაო სკოლა, მაგრამ სად, არაა დაზუსტებული.

სხვა ცნობებს ზუგდიდის მაზრაში არსებული საკვირაო სკოლების შესახებ, სამწუხაროდ, ვერ მივაკვლიეთ.

პროფესიული განათლება ზუგდიდის მაზრაში. ზუგდიდის მაზრაში პროფესიული განათლების აუცილებლობა კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ამ მაზრების მკვიდრ არაერთ მოღვაწეს. სახელოსნო სკოლები ხელოსნებისა და ხელსაქმის ოსტატთა მომზადების ერთ-ერთი მთავარი საშუალება იყო.

საუკუნეთა განმავლობაში, საქართველოში და კერძოდ სამეგრელოში, ერთ-ერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენდა შეგირდად მიბარება. მაგრამ მას შემდეგ, რაც სხვადასხვა ხელობის მცოდნე ხელოსნებზე მოთხოვნა დიდად გაიზარდა, დღის წესრიგში დადგა სახელოსნო სკოლების დაარსების საკითხი. ილია ჭავჭავაძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სამეურნეო-სახელოსნო სკოლების გამრავლებას. „ერთი უდიდესი ხელშემწყობი ღონე, ამ საქმისა უტყუარი იგია, რომ გავრცელდეს და მოჰფინოს ქვეყნის მამულის და კეთების ცოდნა იმოდენად მაინც, რამდენადაც საყოველთაოდ გამოსადეგი და მოსახმარია მდაბიო მიწათმოქმედებისათვის. უკეთეს გამავრცელებლად და მომფენავად კიდევ მდაბიო სამეურნეო სკოლებია სოფლად დამართულნი".

1859 წელს თბილისში დაარსდა ქალთა საქველმოქმედო პროფესიული სკოლა, სადაც ჭრა-კერვას ასწავლიდნენ. მამაკაცთა ხელობის სწავლება კი პირველად 1868 წელს იქნა შემოღებული ავლაბრის დაწყებით სკოლაში. 1869 წელს სახელოსნო განყოფილება

გაიხსნა გორის სამაზრო სასწავლებელთან. 1871 წელს ავლაბრის დაწყებით სკოლასთან არსებული სახელოსნო სკოლად გადაკეთდა და კუკიაზე ზუბალაშვილების სახლში დაიდო ბინა.

აი, ამ დროიდან დაწყებული მთელ საქართველოში დაიწყო სხვადასხვა ხასიათის სახელოსნო სკოლების გახსნა.

სახელოსნო სკოლები ორი სახის იყო: მამაკაცური ხელობის შემსწავლელი და ქალური ხელობების (ხელსაქმის) შემსწავლელი. პროფესიული განათლება მარტო ხელობის სწავლებით არ შემოიფარგლებოდა, ასწავლიდნენ მეაბრეშუმეობას, აგრონომიული მეცნიერების მიღწევებს.

1888 წელს ხორგის სკოლის მასწავლებელმა **ივანე ცხაკაიამ** პირველმა არა მარტო ზუგდიდის მაზრაში, არამედ მთელს სამეგრელოში შემოიღო თავის სახლში მეაბრეშუმეობის სწავლება.

დიდი სახელი მოიპოვა სამეგრელოში ვ. გეთიას მიერ 1897 წელს ზუგდიდის საქალაქო სასწავლებელში გახსნილმა სახელოსნო განყოფილებამ. მიხაკო კაკულიამ, ვერმიცანაშვილის ფსევდონიმით, 1897 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (№377) და გაზეთ „ივერიაში“ (№192) საგანგებო წერილები უძღვნა ვ. გეთიას მიერ გახსნილ ამ სახელოსნო განყოფილებას:

„ბ[ატო]ნმა გეთიამ, – წერდა ის, – ზუგდიდში გააკეთა ევროპული საქსოვი მანქანები და მსურველთ სართავ-საქსოვ საქმეს მუქთად ასწავლის, რისთვისაც ყველა ემადლიერება“. გაზეთ „ივერიაში“ კი ის წერდა: „ვ. გეთია, რომელსაც თავისი საგანი საგანგებოდ აქვს შესწავლილი მოსვლისთანავე დიდი გულმოდგინებით შეუდგა სახელოსნო საქმეს“. მას განუცხადებია, რომ საღამოობით უსასყიდლოდ ჩაატარებდა გაკვეთილებს ხელობის სწავლის მსურველთათვის.

„სამწუხაროდ, ჩვენი განათლებული თუ გაუნათლებელი საზოგადოება საოცარი გულცივობით მიეგება ამ ნორჩ, მაგრამ ყველასათვის ფრიად სასარგებლო საქმეს“ – წერდა მ. კაკულია.

ეს უკანასკნელი გვაწვდის ერთ საყურადღებო ცნობას ვ. გეთიას მოღვაწეობის შესახებ. „ბატონ გეთიას დაუმზადებია ძაფის სართავი ევროპული მანქანა, რომელსაც აქ მოკლე ხანში ქალთა საზოგადოებას უჩვენებს და აუხსნის მნიშვნელობას... მანქანა მე-

ტად სწრაფად მოქმედებს, ფასიც ხელმისაწვდომია და ჩვენებური ქალებისათვის უსათუოდ საჭიროა“ – ასკვნის ის.

მალე ეს სახელოსნო განყოფილება ზუგდიდის საქალაქო სასწავლებლისა გარდაიქმნა ცალკე სკოლა-სახელოსნოდ, სადაც ასწავლიდნენ სართავ-საქსოვ საქმეს. ვ. გეთიას ეს სართავ-საქსოვი სკოლა-სახელოსნო 1899 წლის 31 იანვარს აკურთხა მღვდელმა ანდრია ვახანიამ. გარდა ამისა, ვ. გეთიამ შექმნა ამხანაგობა, რომლის მიზანი იყო „გავრცელება ხალხში სართავ-საქსოვი სავაჭრო-სამრეწველო და ბევრი სხვა საჭირო ცოდნისა“.

ვ. გეთიას კერძო საქსოვი სახელოსნო ჰქონდა ჭაქვინჯის თემშიც. როგორც ქუთაისის ვიცე-გუბერნატორ ა. ყიფშიძის მოხსენებიდან ირკვევა, ეს სახელოსნო 1905 წელს, რევოლუციის ჩასაქრობად ამ სოფელში ჩაყენებულ საეგზეკუციო რაზმს, ბოქაულ ს. შენგელიას ბრძანებით, გაუნადგურებია.

თუ რამდენად ფესვმაგარი იყო ვ. გეთიას სკოლა-სახელოსნო, კარგად ჩანს იქიდან, რომ 1898 წელს მან სოფელში არსებულ სკოლა-სახელოსნოს საჩუქრად გადასცა სართავი მანქანა. ზუგდიდის საქალაქო სასწავლებლის იმდროინდელი მოსწავლე, შემდეგში ცნობილი ლოტბარი კინი გეგეჭკორი თავის მოგონებებში წერდა: „ზუგდიდის სასწავლებლის სამეურნეო სკოლასთან არსებობდა სადურგლო სახელოსნო. სასწავლებელს ორი კილომეტრის დაშორებით გამოუყვეს სამი ჰექტარი მიწა, სადაც გვასწავლიდნენ ბარვას, დრენაჟის გაკეთებას, ხეხილის წესიერად დარგვას, ჩითილებისა და მებოსტნეობისათვის ნიადაგის დამზადებას და დარგვა-თესვის წესებს. იქვე გვასწავლიდნენ აბრეშუმის ჭიის მოვლას, მის ბუნებას, პარკის სტრუქტურას და დამზადებას“.

სოფელ ქვალონის მკვიდრი, აზნაურ ბახვა ლოლუას ასული, ნოტიო (იგივე ნატო) ლოლუა (1875-1958) სასწავლებლის დამთავრების (1889) შემდეგ ქ. ფოთში დამკვიდრდა და აქ 1892 წელს დააარსა კერძო სამკერვალო, სადაც ათამდე ქალი მუშაობდა. სამკერვალომ დიდი სახელი მოიპოვა. ნიკო ნიკოლაძის, იონა მეუნარგიას და სხვათა რჩევით ნოტიო ლოლუამ თავისი

სახელოსნო 1897 წლიდან გარდაქმნა ექვსთვიან პროფესიულ სასწავლებლად, მაგრამ ამისათვის შესაბამისი დიპლომი მოსთხოვეს. ის თბილისში გაემგზავრა, გაიარა ექვსთვიანი კურსები და მიიღო შესაბამისი დიპლომი. ამ სასწავლებელს ერქვა „ნოტიო ლოლუას პროფესიული კერძო სასწავლებელი". აქ მოსწავლე გოგონები გარდა ჭრა-კერვისა ეუფლებოდნენ ქსოვას, ქარგვას, ხატვასა და ხაზვას, სწავლობდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურას, სამოქალაქო ისტორიას, არითმეტიკას, რუსულ ენასა და ლიტერატურას, გალობა-სიმღერას. ამ სკოლაში ასწავლიდნენ ფოთის სხვა სკოლაში მოღვაწე მასწავლებლები – ვ. გაგუა, ა. მეგრელიძე, გ. გეგეჭკორი, ა. ხუხუა და სხვები. ისინი წლების მანძილზე სრულიად უსასყიდლოდ მუშაობდნენ.

1897 წელს ფოთში უკვე დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი ნოტიო ლოლუას პროფესიულ სკოლას, რომელიც თავიდან ექვსთვიანი იყო, 1903 წლისათვის კი სამწლიან სასწავლებლად გადაკეთდა.

ნოტიო ლოლუას პროფესიულმა სკოლამ 1921 წლამდე იარსება. ამ წელს მას ბოლშევიკებმა სახელი შეუცვალეს და „საქალაქო-საფაბრიკო სკოლა" უწოდეს.

1899 წელს ცაიშელი აზნაურის, ფარმა ჟორდანიას მეუღლემ ოლგა მიხეილის ასულმა აბაშიძემ ცაიშში დააარსა „საქსოვი სკოლა-სახელოსნო" ,რომლის წარმატებაზე მომდევნო წელს წერდა გაზეთ „ივერიაში" თომა მთავრიშვილი.

ოლღა აბაშიძე ქუთაისის გიმნაზიადამთავრებული, განათლებული და ჭკვინი ქალი იყო. ცაიშში გათხოვების შემდეგ დაებადა მას სურვილი აქ ქალთა სკოლის გახსნისა და ისიც ისეთის, სადაც გარდა ზოგადი განათლებისა, გოგონებს შეეძლოთ შეესწავლათ ისეთი მნიშვნელოვანი ქალური საქმე, როგორიცაა ქსოვა და კერვა. სკოლაში 14-15 წლის გოგონები მიიღებოდნენ.

სასწავლო გეგმის მიხედვით ისწავლებოდა საღვთო სჯული, რუსული ენა, არითმეტიკა, სიმღერა და ხატვა. აგრეთვე ქართული, რომელსაც ისევე როგორც რუსულს და არითმეტიკას, თავად ოლღა აბაშიძე ასწავლიდა. გარდა ამისა, მოსწავლეები სწავლობდნენ ქსოვას, ქარგვას, ჭრა-კერვას. სკოლას მთლიანად

თავისი ხარჯით ინახავდა ოლღა აბაშიძე. ღარიბ მოსწავლეებს ნივთიერადაც ეხმარებოდა. სკოლის სახელმწიფო ხარჯზე გადაყვანის თაობაზე მან არაერთხელ მიმართა ხელისუფლებას, მაგრამ ამაოდ. საქმეს ეშველა მას შემდეგ, რაც ცაიშში ჩამოვიდა კავკასიის სკოლების მზრუნველი **ზავადსკი. ოლღა აბაშიძის** საქმიანობის გაცნობის შემდეგ, მან თვითონ დაათვალიერა სკოლა, დარწმუნდა სკოლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების აუცილებლობაში და შედეგმაც არ დააყოვნა: 1907 წელს ოლღა აბაშიძის ქალთა სკოლის დაფინანსება სახელმწიფომ იკისრა.

1899 წელს ძველი სენაკის ერთკლასიან სამონასტრო სკოლაში გაიხსნა სადურგლო განყოფილება.

მღვდელ დიმიტრი ბერულავას მიერ სოფელ ნაფიჩხოვოში დაარსებულ სამრევლო სკოლაში ხელსაქმის სწავლებაც იქნა შემოღებული და საქსოვი დაზგაც შეიძინეს. ხელსაქმეს ამ სკოლაში მისი მეუღლე სალომე ბერულავა ასწავლიდა.

გამოქვეყნებული დოკუმენტების, საარქივო მასალების შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სამეგრელოში პროფესიული განათლების აუცილებლობა კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული. ინტელიგენცია აუცილებლად მიიჩნევდა სახელოსნო სკოლების დაარსებას, რაზეც მეტყველებს სამეგრელოში არსებული პროფესიული განათლების სკოლები.

საფოსტო კავშირი

XIX საუკუნის შუა ხანებიდან ზუგდიდს თბილისთან ჰქონდა საფოსტო კავშირი „მფრინავი ფოსტის“ სახით. ეს მფრინავი ფოსტა თბილისიდან ზუგდიდში ყოველ სამშაბათს შუადღის 2 საათზე გადიოდა და ჩადიოდა ხუთშაბათს გარიჟრაჟისას. ზუგდიდიდან ყოველ ოთხშაბათს შუადღისას გადიოდა და თბილისში პარასკევშაბათს ღამე ჩადიოდა (Кавказский Календарь на 1855 г. Тифл. 1854, стр. 187).

პირველი ტელეგრაფი ზუგდიდში. 1847 წელს ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, სამართალმცოდნეობის დოქტორმა, ცნობილმა გამომგონებელმა ვერნერ ფონ სიმენსმა დააარსა ფირმა „სიმენსი“, რომლის სათავო ოფისი მიუნხენში იყო და არის დღესაც. ვერნერ სიმენსმა გამოიგონა ტელეგრაფის აპარატი. მისი ფირმა არა მარტო ამზადებდა ტელეგრაფის აპარატებს, არამედ ახორციელებდა სატელეგრაფო ხაზების მშენებლობასაც მთელს მსოფლიოში. საქართველოში პირველი ტელეგრაფის აპარატები 1858 წელს გრიგოლ ორბელიანის შეკვეთით დაამზადეს ბერლინში და მალე თბილისსა და კოჯორს შორის გაიბა ტელეგრაფის ხაზი. გრიგოლ ორბელიანმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ფირმა „სიმენსთან“ თბილისი-ქუთაისი-ფოთის სატელეგრაფო ხაზის მშენებლობის შესახებ. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა არა მარტო ხაზის მშენებლობას და სათანადო აპარატურის მიწოდებას, არამედ ვერნერ სიმენსის ძმის – ვალტერ სიმენსის ჩამოსვლასა და ამ აპარატურის ამუშავების გაძღოლას. ტელეგრაფის ეს ხაზი 1860 წელს ამუშავდა. ამას მოჰყვა საქართველოს დედაქალაქის სატელეგრაფო ხაზით დაკავშირება პეტერბურგთან, მოსკოვთან და რუსეთის სხვა ქალაქებთან.

1865 წელს ვერნერ სიმენსი საქართველოს ეწვია. ამ დროისათვის მისი ძმები – ვალტერ და ოტო სიმენსები თბილისში ცხოვრობდნენ. ვერნერ სიმენსმა საქართველოში ეს მოგზაურობა აღწერა წიგნში „ჩემი მოგონებები" (Werner von Siebens, Lebenserinnerungen, 1916). საქართველოს ვერნერი მეორედ 1868 წელს ეწვია.

ინდო-ევროპული ტელეგრაფის მშენებლობას სიმენსების ფირმა აწარმოებდა, რომელიც დაიწყო 1867 წელს და ორ წელიწადში დამთავრდა. 1870 წლის დამდეგს გადაიცა პირველი ტელეგრამები. ამ ტელეგრაფის ხაზი იწყებოდა ლონდონში და ბერლინის, ვარშავის, ოდესის, ქერჩის სრუტით უკავშირდებოდა ეკატერინოდარს. აქედან კი შავი ზღვის ფსკერზე სადენი გადიოდა ადლერამდე, საიდანაც სოხუმის, ზუგდიდის, სურამის უღელტეხილის, გორის, თბილისის, დილიჟანის, ერევანის, ნახჭევანის, ჯულფას, თავრიზის, თეირანის გზით ჩადიოდა ინდოეთამდე (А. Карбелашвили, первый телеграф на Кавказе, ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიკოსთა საბჭოს შრომების კრებული, 1-2, თბ. 1970, გვ. 212-213).

ევროპული ტელეგრაფის ხაზის მშენებლობის ხელმძღვანელი სამეგრელოში და ამ ხაზის კონტროლიორი ზუგდიდში იყო ავგუსტ ბაუმერტი. 1921 წელს მას ხის სახაზინო სახლი ჰქონდა ზუგდიდში კორცხელის ქუჩაზე.

ზუგდიდი 1905–1907 წლების რევოლუციის დროს („ზუგდიდის რესპუბლიკა")

1905 წლის რევოლუციის ქარცეცხლი ზუგდიდსაც არ ასცდენია. რევოლუციური მუხტი, რომელიც 1905 წელს აფეთქდა, წლების განმავლობაში გროვდებოდა.

1902 წლის ზაფხულში ზუგდიდის თემის მომიჯნავე სოფელ ნარაზენში გლეხმა პეტრე ბიგვავამ რევოლუციური იდეების პროპაგანდა დაიწყო. მას გვერდში ამოუდგნენ თანასოფლელი გლეხები გიორგი თოდუა და კოსტა ნანავა. მათ შეძლეს ნარაზენელ გლეხთა რევოლუციური ამბოხების მოწყობა, იმ მიზნით „რათა სამუდამოდ დაეღწიათ თავი მემამულეთაგან და გამხდარიყვნენ იმ მიწების სრულუფლებიანი პატრონები, რომლებსაც ამუშავებდნენ". ნარაზენელი გლეხები ეკლესიაში შეიკრიბნენ და ფიცი დადეს, არ გადაეხადათ მემამულეებისათვის გადასახადები, არ ემუშავათ მათთვის, ყოფილიყვნენ გაბედულნი და ერთსულოვანნი, მტკიცედ დაეცვათ საიდუმლოება.[1]

ნარაზენელთა მაგალითს მალე ზუგდიდის მაზრის სხვა სოფლების (შამგონას, კორცხელის, კოკის, ბეჟაშღალის, ხურჩას, ურთას, ჭაქვინჯის) მცხოვრებლებთან ერთად ზუგდიდის თემის გლეხებმაც მიბაძეს (ამ დროს თემში შედიოდა სოფლები – ზუგდიდი, ლეშედანე, ჭითანყარი, ჯუმი, ოფაჩხაფუ, ჯოღეჯიანი, ოირემე და ახალი აბასთუმანი). მათ თავიანთ კრებაზე მომრიგებელ მოსამართლეს განუცხადეს, რომ მემამულეებს მიწის ბეგარას არ გადაუხდიდნენ.[2]

ზუგდიდელ გლეხთა ამ გაბედულმა განცხადებამ, რომელიც აშკარად დაუმორჩილებლობის ხასიათს ატარებდა და რომელსაც სიკო ჯიქია, სურგუნტი შედანია და იოსებ დარასელია ხელმძღვანელობდნენ, ფრიად შეაშფოთა ხელისუფლება. ამ დაუმორ-

ჩილებლობის მოთავეები (სულ 10 კაცი) სექტემბრის მიწურულს დააპატიმრეს[3] და ციმბირში გადაასახლეს.[4] მათი უმრავლესობა გადასახლებაში დაიღუპა.[5]

ამავე 1902 წელს გლეხთა მღელვარებამ მოიცვა ზუგდიდის თემში შემავალი სოფელი ჯოღეჯიანი. მღელვარების მიზეზი იყო ნამთავრალ ნიკო დადიანის განზრახვა – ამ სოფელში 100 ქცევა ფართობზე გაეშენებინა ბაღი. ნიკო დადიანმა ეს ფართობი შემოაკავებინა და მის შუაგულში ორთვალიანი სახლი დაადგმევინა დაქირავებული მუშებისათვის. ამით აღშფოთებულ ჯოღეჯიანელ გლეხებს სათავეში ჩაუდგა ვარლამ არახამია, რომელსაც იმის გამო, რომ უბატონო (უდადიანო-დ) ცხოვრების დამკვიდრებას ქადაგებდა, ზედმეტსახელად **უდადია** შეარქვეს. დოკუმენტებში ის ამ ზედმეტი სახელით უფრო იხსენიება, ვიდრე ნათლობისა. უდადია არახამიას, როგორც გურაფილ (ანუ ნასწავლ) კაცს (ქუთაისის სასულიერო სემინარიაში იყო ნასწავლი), თანასოფლელებში დიდი გავლენა ჰქონდა. გლეხებმა დაანგრიეს ზემოთ ხსენებული ოდასახლი და გარეკეს იქიდან მუშები. ნ. დადიანმა ხელი აიღო თავის განზრახვაზე. უდადია არახამიას გაციმბირება არ აკმარეს და სახლ-კარი გადაუწვეს,[6] მაგრამ მან მოახერხა გადასახლებიდან გამოქცევა და განაგრძო მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლა. 1905 წელს იგი ისევ დააპატიმრეს და გააციმბირეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც.[7]

1905 წლის 14 თებერვალს, ზუგდიდის თემის მომიჯნავე სოფელ კახათში დატრიალებულმა ტრაგედიამ შეძრა მთელი მაზრა და დიდად შეუწყო ხელი რევოლუციური განწყობილების გაღრმავებას საკუთრივ ზუგდიდშიც.

1 თებერვალს კახათელებმა გამართეს კრება, რომელზედაც მოითხოვეს მემამულეთათვის არსებული გადასახადის მეათედამდის შემცირება. მაზრის უფროსის მიერ გაგზავნილი ბოქაულის ცდა, დაყვავებით ან მუქარით დაეშალა შეკრებილები, ამაო გამოდგა. გლეხები თავისას არ იშლიდნენ. 14 თებერვლის წინა ღამეს კახათის თემის გლეხებმა მოაწყვეს საიდუმლო კრება, სადაც დადეს ფიცი, რომ დანიშნულ დღეს უკლებლივ ყველა დაძრულიყო ზუგდიდისაკენ. ატყდა ეკლესიების საგანგაშო ზარების

რეკვა. პოლიციელთა რაზმი, რომელსაც ბოქაული მეთაურობდა, გლეხებმა ალყაში მოაქციეს. დაიწყო სროლა.[8] როცა ერთი კაცი განგმირული დაეცა, – წერს ამ ამბების მონაწილე მოგონებაში, – ხალხი აღელდა და შეუტია ბოქაულსა და ჩაფრებს. გლეხებს იარაღი არ ჰქონდათ, უტევდნენ ქვებით, ჯოხებით, იმით, რაც ხელში მოხვდებოდათ. ჩაფრებს წაართვეს რამდენიმე ცხენი და შაშხანა.[9]

ამ შეტაკების დროს მოკლეს 6 გლეხი (15 წლის ჭაბუკი ნიკო სვირავა და ფეხმძიმე ქალი – მათუ საჯაია-ლუკავასი, აგრეთვე ვასილ ნარმანია, ნიკო გუგუჩია, ალიო გელენავა. მძიმედ დაჭრილი ივანე ქვარაია კი რამდენიმე დღეში გარდაიცვალა).[10]

გლეხებმა დაიწყეს შეიარაღება, მემამულეთა დაწიოკება, მათი სახლ-კარისა და სამეურნეო ნაგებობებისათვის ცეცხლის წაკიდება. მდგომარეობა დღითიდღე იძაბებოდა. მთავრობა შეეცადა მკაცრი ზომების მიღებას და დიდი აჯანყების თავიდან აცილებას სოფლებში ეგზეკუციის ჩაყენების გზით, მაგრამ ამან კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა. მაზრაში შეიქმნა გლეხთა პირველი რაზმები. ერთ ასეთ რაზმს მეთაურობდა ყოფილი მასწავლებელი დიმიტრი გეთია,[11] რომელიც შიშის ზარს სცემდა მთელი მაზრის მემამულეებსა და ხელისუფლებას.[12] რაზმში 400-მდე მებრძოლი იყო.[13]

ზუგდიდის მაზრის მოსახლეობის სიძულვილს ხელისუფლებისადმი მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა მაზრის უფროს კელამოვის თავგასულობა და სისასტიკე. აი, რას წერდა ამ ვაიმოხელის შესახებ ერთი უცნობი ზუგდიდელი 1906 წელს: „კელამოვის მართვა-გამგეობამ თავისი დაღი დაასვა ჩვენს მაზრას და დიდი ხანი გაივლის, ვიდრე მოისპობიან კელამოვის მიერ შექმნილი მოხელენი, რომელთა ერთადერთი მიზანი არის, რომ შეავიწროვონ ხალხი, დაამცირონ და საცა კი შეიძლება ტყავი გააძრონ“.[14]

1905 წლის მეორე ნახევარში, ზუგდიდში შეიქმნა ორი პოლიტიკური დასის – სოციალ-ფედერალისტთა და სოციალ-დემოკრატთა ადგილობრივი ორგანიზაციები. ზუგდიდელ სოციალ-ფედერალისტთა თავკაცები იყვნენ ვასილ ალშიბაია, მელიტონ გობეჩია, ალექსანდრე ჩხეტია, სპირიდონ კეიდია (კედია), მუშნი დადიანი, პეტრე კეიდია და მიხეილ კეიდია.

ზუგდიდის სოციალ-დემოკრატთა ხელმძღვანელები კი იყვნენ ხარკოვის უნივერსიტეტის დროებით დახურვის გამო სამშობლოში დაბრუნებული სტუდენტი ლეონიდე შენგელაია (მწერალი ლეო ქიაჩელი), აპოლონ ნოდია, სოლომონ ალანია, პავლე აკობია, ანტონ ქადარია, კონსტანტინე ნორაკიძე, ლადი ჟვანია, ალექსანდრე ჩიქავა და სხვები.

თავდაპირველად ორივე ორგანიზაცია იატაკქვეშ მუშაობდა, რევოლუციური ხასიათის პატარა წიგნებსა და აჯანყებისაკენ მოწოდებების შემცველ ფურცლებს ავრცელებდნენ, ასევე ეწეოდნენ ზეპირ პროპაგანდას.

1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ ამ პარტიებმა მეფის ხელისუფლების დამხობისა და რესპუბლიკური წყობილების შემოღების აუცილებლობის ქადაგება დაიწყეს.

1905 წლის 21 ოქტომბერს, იმპერატორის ტახტზე ასვლის დღეს, ზუგდიდის ეკლესიაში ღვთისმსახურების დამთავრებისთანავე სოციალ-დემოკრატებმა ლეო შენგელაიამ და პავლე აკობიამ მღვდლისგან მოითხოვეს გადაეხადა თავად ტრუბეცკოის პანაშვიდი, რის შემდეგაც პავლე აკობიამ, რომელიც ეკლესიის გალავნის შიგნით ამაღლებულ ადგილას იდგა, შეკრებილ მრევლს სიტყვით მიმართა წითელი დროშით ხელში და შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდა. ამ სახელდახელო მიტინგს ზუგდიდის მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა კაპიტანმა სოლორაშვილმა (სოგოროვი) მოუსწრო და შეკრებილთ უბრძანა დაშლილიყვნენ, მაგრამ არავინ მოუსმინა, შეკრებილი მრევლი ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. პავლე აკობიას შემდეგ მათ ლეო შენგელაიამ მიმართა სიტყვით, რომელიც ასე მთავრდებოდა: „ძირს მთავრობა, გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას“. ამის შემდეგ პავლე აკობიამ ზეაწეული დროშით 1000-კაციანი მრევლი ქალაქის შუაგულისაკენ დასძრა, მაგრამ კაპიტანმა სოლორაშვილმა მას დროშა წაართვა და მსვლელობა შეაჩერებინა. სულ რაღაც ერთი საათის შემდეგ ლეო შენგელაიამ და პავლე აკობიამ მაინც შეკრიბეს ხალხი და დემონსტრაცია მოაწყვეს ზუგდიდის ქუჩებში მარსელიოზის სიმღერით.[15]

დემონსტრანტების წინააღმდეგ მაზრის თავკაცმა კაზაკთა რაზმი გაგზავნა, მაგრამ ამან ისინი ვეღარ შეაშინა. ლეო შენგელაიამ მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ კაპიტან სოლორაშვილს დაუფარავად განუცხადა, რომ ის არის სოციალ-დემოკრატი, არ ცნობს არსებულ სახელმწიფოებრივ წყობილებას და სურს დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება.[16]

23 ოქტომბრის ზუგდიდში დილიდანვე დაიწყო გაფიცვა. დაიკეტა სასტუმრო, დუქნები, ფურნეები და ფარდულები. 24 ოქტომბერს გაფიცვას შეუერთდა ზუგდიდის ყველა სასწავლებელი, 25 ოქტომბერს კი მცირე სამრეწველო საწარმოები და სახელოსნოები. მწვავე ხასიათი მიიღო მოსწავლეთა გაფიცვამ. 31 ოქტომბერს ზუგდიდის საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეებმა მოითხოვეს სწავლის ქირის შემცირება და რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის დათხოვნლი მასწავლებლების სამსახურში აღდგენა. ხელისუფლებამ მშობლებზე ზემოქმედების მიზნით მათი კრება მოიწვია, მაგრამ კრებაზე არცერთი მოსწავლის მშობელი და მეურვე არ მივიდა. გაფიცვა გრძელდებოდა.[17]

15 ნოემბერს ხალხმრავალი დემონსტრაცია მოაწყვეს ზუგდიდის ქუჩებში სოციალ-ფედერალისტებმა. მათ საბაბად გამოიყენეს ოდესაში მოკლული ქართველი მეცნიერის საბა კლდიაშვილის სულის მოსახსენიებელი წირვის ჩატარება. იმ დღეს, ზუგდიდის ვაჭართა და ხელოსანთა უმეტესობამ მიიღო საქართველოს სოციალ-ფედერალისტური პარტიის განცხადება თხოვნით, დილის 12 საათზე საქალაქო ეკლესიაში დასწრებოდნენ საბა კლდიაშვილის სულის მოსახსენიებელ წირვას და ერთი საათით დაეკეტათ დუქნები და სახელოსნოები.

დათქმულ დროს ყველა დუქანი და სახელოსნო დაიკეტა და ეკლესიასთან თავი მოიყარა ათასზე მეტმა კაცმა. ქუთაისიდან საგანგებოდ ჩამოსულმა მღვდელმა იოანე ბობოხიძემ, რომელსაც ზუგდიდელები დიდ პატივს სცემდნენ, ადგილობრივ მღვდლებთან ერთად დააყენა საბა კლდიაშვილის სულის საოხი წირვა. წირვის დაწყებამდე მღვდელმა ამბიონიდან წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც აღშფოთებას ვერ მალავდა საბა კლდიაშვილის მკვლელობის გამო და ამაში მთავრობა და პოლიცია დაადანაშაულა, დასას-

რულს კი დამსწრეთ მოუწოდა, იარაღით ხელში დაეცვათ თავიანთი უფლებები და სიტყვა დაასრულა მოწოდებით – „ძირს ტახტი“.

წირვის შემდეგ შეკრებილთ სიტყვით მიმართეს ვასილ ალშიბაიამ და მელიტონ გობეჩიამ. ისინი შეკრებილთ მოუწოდებდნენ შეიარაღებული აჯანყებისაკენ, მეფის ხელისუფლების დამხობისა და რესპუბლიკური წყობილების დამყარებისაკენ.[18]

რევოლუციონერ-ფედერალისტებმა და სოციალ-დემოკრატებმა მთელი მუშაობა მიმართეს ზუგდიდისა და მთელი მაზრის მოსახლეობის შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად. ზუგდიდსა და მაზრის სოფლებში იმართებოდა ხალხმრავალი შეკრებები, მიტინგები, კრებები, სიტყვით გამოდიოდნენ ლეო შენგელაია, სპირიდონ კეიდია, პეტრე კეიდია, პავლე აკობია, ალექსანდრე ჩხეტია, მიხაკო კაკულია, სოლომონ ალანია, ალექსანდრე ჩიქავა და სხვები.[19]

მელიტონ გობეჩია, ერთ-ერთი თვითმხილველის ჩვენებით, ფედერალისტთა კლუბში, ზუგდიდის სამოქალაქო განყოფილების შენობაში რომ იყო მოთავსებული, ქადაგებდა პოლიტიკური მკვლელობების მოწყობის აუცილებლობას იმ პირებზე, რომლებიც მეფის ხელისუფლებას ემხრობოდნენ.[20]

სოციალ-დემოკრატთა კლუბში ლეო შენგელაია დამსწრეთ მოუწოდებდა მამაცურ მზადებას შეიარაღებული ბრძოლისათვის. სპირიდონ ნორაკიძე მსმენელებს არწმუნებდა, რომ „მეფეს უკვე არა აქვს ძალები, რომ ის მუხლებზე დაეცა, დგას ერთ ფეხზე და საკმარისია ხელი ჰკრა, რომ წაიქცეს“.[21]

ზუგდიდის ბაზარში არაერთხელ მოუსმენიათ პეტრე კედიასთვის და მიხეილ კაკულიასთვის, რომლებიც შეკრებილთ მოუწოდებდნენ მეფის ხელისუფლების დამხობისაკენ და რესპუბლიკური წყობილების დამყარებისკენ ფედერალურ საწყისებზე.

რევოლუციონერები გამალებით ემზადებოდნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის, ცდილობდნენ მოეშალათ ხელისუფლების ადგილობრივი სტრუქტურები და მთლიანად ეგდოთ ხელთ მაზრის მართვა. აუქმებდნენ სოფლის მამასახლისის თანამდებობებს და მათ ნაცვლად ნიშნავდნენ „ათასისთავებს“ და „ასისთავებს“, შექმნეს საბრძოლო რაზმები „წითელი ასეულების“ სახელწოდებით

და დაიწყეს მათი შესანახი და შესაიარაღებელი თანხების ჯერ ნებაყოფლობით, შემდეგ კი იძულების წესით აკრეფა მოსახლეობაში.[22]

ამ რაზმების სათავეში იდგნენ ლადი ჟვანია, ანტონ ქადარია, ვასილ გეთია და თავადი მუშნი დადიანი.[23] ისინი „წითელი ასეულების" წევრებს ასწავლიდნენ იარაღის ხმარებასა და სამწყობრო სვლას.

1905 წლის 5 დეკემბერს, ღამის პირველ საათზე დიმიტრი გეთიას 400-კაციანმა რაზმმა ალყა შემოარტყა საპოლიციო დაცვის სამაზრო რეზერვის შენობას, განაიარაღეს მორიგე და იქ მყოფი ჩაფრები, ხელთ იგდეს 44 შაშხანა და 3800 ვაზნა. ამ თავდასხმას ხელმძღვანელობდნენ ლეო შენგელაია, სპირიდონ კედია, პავლე აქუბარდია, ბესა ბასილაია, ერასტო ბოკუჩავა და ჭუჭუ წიწავა.[24]

6 დეკემბერს, საღამოს „წითელი ასეულები" თავს დაესხნენ ზუგდიდის სამაზრო პოლიციის შენობას და ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი და ტყვია-წამალი. ამ თავდასხმას ხელმძღვანელობდნენ ანტონ ქადარია, ლადი ჟვანია, აპოლონ ნოდია, პავლე აქუბარდია, და კოსტა (იგივე ბოტო) ნორაკიძე.[25] იმავე საღამოს „წითელმა ასეულმა პავლე აქუბარდიასა და ანტონ ქადარიას მეთაურობით ალყა შემოარტყა ზუგდიდის მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ, კაპიტან სოლორაშვილის სახლს და განაიარაღა ის".

7 დეკემბერს „წითელმა ასეულმა" განაიარაღა ზუგდიდის ციხის დაცვა და ციხიდან გაანთავისუფლა 8 პოლიტიკური პატიმარი.[26]

რევოლუციონერებმა რამდენიმე დღეში მთელი მაზრა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარა. ზუგდიდის მაზრის რევოლუციონერთა ერთ-ერთი იმჟამინდელი თავკაცის, ლეო შენგელაია-ქიაჩელის ცნობით „აჯანყებულებმა... გადააყენეს ძველი ადმინისტრაცია, სატუსაღოებიდან გაათავისუფლეს პატიმრები, ხელისუფლებას დაეუფლა ხალხი".[27]

1905 წლის 6 დეკემბრიდან 1906 წლის 11 იანვრამდე მაზრაში მთელი ძალაუფლება რევოლუციონერების ხელში იყო. წარმოიშვა ე. წ. „ზუგდიდის რესპუბლიკა", რომელმაც თავისი არსებობის ხანმოკლეობის მიუხედავად ფრიად შეაშფოთა სამეფო ხელისუფლება,[28] და მან გადამწყვეტი ზომების მიღება დაიწყო. თანამ-

დებობიდან გადააყენეს რევოლუციონერებისადმი თანაგრძნობაში ეჭვმიტანილი ქუთაისის გუბერნატორი ვ. სტაროსელსკი და ვიცე-გუბერნატორი ა. ყიფშიძე. გუბერნატორად დაინიშნა დაღესტნელი გენერალი ალიხანოვ-ავარსკი. გუბერნიაში სამხედრო წესები გამოცხადდა. ახალ გუბერნატორს რევოლუციონერების წინააღმდეგ საბრძოლველად მიენიჭა განსაკუთრებული, განუსაზღვრელი უფლებები. მას დაუქვემდებარეს გუბერნიაში მდგარი ყველა სახის სამხედრო ძალა. გარდა ამისა, მის განკარგულებაში დამატებით გაიგზავნა ძლიერი რაზმი პოლკოვნიკ გავრილოვის სარდლობით.[29]

ამბოხებულთა რაზმი, რომელსაც ანტონ ქადარია და ვასილ გეთია ედგნენ სათავეში, თითქოს მზად იყო სამთავრობო ძალებთან შესაბმელად, მაგრამ საკმარისი იყო გენერალ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმები ზუგდიდისკენ დაძრულიყვნენ, რომ მაზრაში რევოლუციური ამბოხების თავკაცებმა სასწრაფოდ დაშალეს „წითელი ასეულები“. პოლიციამ დაიწყო „ზუგდიდის რესპუბლიკის“ მიმალული თავკაცების – მელიტონ გობეჩიას, აპოლონ ნოდიას, სპირიდონ კედიას, პავლე აკობიას, არტემ ჩემიას, ვასილ გეთიას, ერასტო ბოკუჩავას, მუშნი დადიანის, სპირიდონ ნორაკიძის, მისი ძმის – ბესარიონ ნორაკიძის, კოსტა ნორაკიძის, პეტრე კეიდიას, ლადი დოლბაიას, მიხა ცხადაიას და მიხაკო კაკულიას ძებნა.[30]

სულთან ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმი ე. წ. „მფრინავი საექსპედიციო რაზმი“, რომელსაც პოლკოვნიკი ხონდზანსკი ედგა სათავეში, 1906 წლის 29 იანვარს შევიდა ზუგდიდში, ამავე წლის მარტის მიწურულს კი თვითონ ალიხანოვ-ავარსკი ეწვია ზუგდიდს.[31] ზუგდიდელი ვაჭრები და ხელოსნები ამ რაზმს პურმარილით, მეფის სურათითა და ეროვნული დროშით შეეგებნენ, მაგრამ ქალაქი მაინც ვერ გადაურჩა აწიოკებას. ცეცხლს მისცეს რამდენიმე რევოლუციონერის სახლი, სცემდნენ და აპატიმრებდნენ რევოლუციონერობაში ეჭვმიტანილებს. დაიწყო რევოლუციონერებთან სასტიკი ანგარიშსწორება. მოკლეს ვასო ალშიბაია და დიმიტრი გეთია. „ზუგდიდის რესპუბლიკის“ სხვა ხელმძღვანელებმა (ლეო შენგელაიამ, სიმონ თოლორდავამ, ალექსანდრე მესხ-

იამ და სხვებმა) მოახერხეს ტყეში გახიზვნა. ზუგდიდში, როგორც ურჩ და დაუდეგარ ქალაქში, მეფის მთავრობამ ეგზეკუცია ჩააყენა.

ტყეს შეხიზნული თავკაცები „ზუგდიდის რესპუბლიკისა" იმავე წლის აგვისტოში დააპატიმრეს. ალ. ჩხეტია ასახელებს რამდენიმე მათგანს: ლეო შენგელაიას, გრიგოლ ჩიჩუას, ლადი ვეკუას, ალექსანდრე ჩიქავასა და სოლომონ ალანიას.[32] ამათ გარდა დააპატიმრეს კოსტანტინე ნორაკიძე (სპირიდონ ნორაკიძის ძმისშვილი), აქვსენტი შედანია, ალექსი თოდუა, ლადი ჟვანია, იოსებ კეიდია, მღვდელი იოანე ბობოხიძე და სხვები.[33]

„ზუგდიდის რესპუბლიკის" საქმის ძიება თითქმის ორი წელიწადი გაგრძელდა. თბილისის სასამართლო პალატამ, ბარონ ა. მედემის თავმჯდომარეობით, ქუთაისში გაარჩია „ზუგდიდის რესპუბლიკის" საქმე. პასუხისგებაში მიცემული იყო 36 კაცი, მაგრამ მათი ნაწილი ჯერაც დაუპატიმრებელი იყო. 16 მსჯავრდებულს მიესაჯა სხვადასხვა ვადით ციმბირში გადასახლება. „ზუგდიდის რესპუბლიკის" მოთავეთაგან ორი (პავლე აქუბარდია და ა. არჩილია) გასამართლებამდე მოკვდა. ერთი (ალექსანდრე ჩხეტია) გაანთავისუფლეს, ერთიც (ლეო შენგელაია) ციხიდან გაიქცა.[34]

ერთ-ერთ ამბოხებულს, პარტყუ სართანიას, როგორც ირკვევა, „по делу мингрельской республики в Зугдиди" დახვრეტა ჰქონდა მისჯილი, მაგრამ ის შემდეგ 8 წლის კატორღული მუშაობით შეუცვალეს. 1910 წლის 16 იანვარს, ქუთაისის ციხიდან გაქცევისას ის შეპყრობილ იქნა სამხედრო ფორმაში გადაცმული.[35]

აი, ასე დამთავრდა ე. წ. „ზუგდიდის რესპუბლიკის" არსებობა.

---

1. ვ. საბახტარაშვილი, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში 1905-1907 წწ. (სენაკისა და ზუგდიდის მაზრები), თბ. 1959, გვ. 47-48.

2. საისტორიო არქივი, ფ. 39, საქმე 561, ფურც. 1-5 (იხ. აგრეთვე: „საისტორიო მოამბე", 10, თბ. 1959, გვ. 308, 391).

3. საისტორიო არქივი, ფ. 39, საქმე 561, ფურც. 1-3.

4. იქვე, ფ. 1, საქმე 46, ფურც. 116-117.

5. ე. საბახტარაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 49.

6. ზუგდიდის მუზეუმი, ფონდი 5, საქმე 7, ფურც. 10.

7. იქვე, ფურც. 1-4.

8. პლ. ჯიშკარიანი, ზუგდიდის რაიონის მშრომელები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლის პერიოდში, თბ. 1968, გვ. 45.

9. ზუგდიდის მუზეუმი, ფონდი 5, საქმე 7, ფურც. 14.

10. საისტორიო არქივი, ფ. 23, საქმე 136, ფურც. 4-5; იქვე, ფონდი ოვდ. 2126, ფურც. 1-29.

11. დიმიტრი გეთია – იმ დროის სამეგრელოში სიმამაცითა და ჭკუით განთქმული ჭაბუკი 1905 წელის 14 აპრილს იქნა ვერაგულად მოკლული.

12. გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ. 8. IX.

13. ი. მელქაძე, რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი და 1905-1907 წლების რევოლუცია დასავლეთ საქართველოში, თბ. 1960, გვ. 449.

14. გაზ. „მეგობარი", 1906 წ. №9.

15. საისტორიო არქივი, ფ. 113, აღწ. 2, საქმე 435.

16. ე. საბახტარაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 162.

17. იქვე, გვ. 163.

18. საისტორიო არქივი, ფონდი 113, აღწ. 2, საქმე 435, ფურც. 38.

19. იქვე, ფურც. 39.

20. იქვე, ფურც. 39.

21. იქვე, გვ. 40.

22. იქვე, გვ. 42.

23. იქვე, გვ. 42.

24. თ. ყენტი, 1905 წელი სამეგრელოში, თბ. 1929, გვ. 71-72.

25. საისტორიო არქივი, ფონდი 113, აღწ. 2, საქმე 435, ფურც. 43-44.

26. ე. საბახტარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

27. ლეო ქიაჩელი, თხზულებანი, ტ. V, თბ. 1964, გვ. 123.

28. ამ დროს ასეთი პატარა, ადგილობრივი „რესპუბლიკები", რომლებშიც ხელისუფლება რევოლუციონერებს ეპყრათ, მთელს იმპერიაში შეიქმნა (ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 23, გვ. 327).

29. ვ. სტაროსელსკი, გლეხთა მოძრაობა ქუთაისის გუბერნიაში, თბ. 1928, გვ. 109.

30. საისტორიო არქივი, ფ. 113, აღწ. 2, საქმე 435, ფურც. 47.

31. ალ. ჩხეტია, პოლიტკატორრელის მოგონებები, ზუგდიდის მუზეუმი, ახალი და უახლესი ისტორიის ფონდი, ზმ. 35119, ფონდი №147, გვ. 15.

32. ალ. ჩხეტია, პოლიტკატორღელის მოგონებები, სახალხო განათლების მუზეუმი, ხელნაწერი 2394, გვ. 100-101.

33. საისტორიო არქივი, ფ. 113, აღწ. 2, საქმე 435, ფურც. 47.

34. ვ. თოფურია, ლეო ქიაჩელის ცხოვრება და შემოქმედება, თბ. 1977, გვ. 71; საისტორიო არქივი, ფ. 113, აღწ. 2, საქმე 435, ტ. 3, გვ. 97.

35. გაზ. „Кавказ", 1910 წ. №17.

ბოლშევიკური ამბოხი ზუგდიდში

1918 წლის 26 მაისს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ასრულდა ქართველი ერის საუკუნოვანი ოცნება – აღედგინა თავისი სახელმწიფო, ეცხოვრა დამოუკიდებლად და თავისუფლად. ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილი აღფრთოვანებით შეხვდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას და მხურვალედ ჩაება ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება-განმტკიცების საქმეში[1]. ქართველი ბოლშევიკები საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ გააცოფა. იარაღი აისხეს და დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ საყოველთაო აჯანყების მოწყობა სცადეს. მართალია, საყოველთაო აჯანყება ვერა, მაგრამ რამდენიმე მაზრაში ამბოხების მოწყობა მაინც შეძლეს. ბოლშევიკების მოღალატურმა აჯანყებამ ყველაზე საშიში ხასიათი მიიღო სამეგრელოში, სადაც ამას თავზეხელაღებული ალექსანდრე გეგეჭკორი ხელმძღვანელობდა. 1918 წლის მარტში ზუგდიდის მაზრაში ბოლშევიკებმა ჩამოაყალიბეს შეიარაღებული რაზმები ცხრაასამდე მებრძოლით. ორი მათგანი ზუგდიდის მეზობელ სოფლებში – ნარაზენში, რუხსა და კახათში იყო შექმნილი. რუხელ და კახათელ ბოლშევიკ მეამბოხეთა რაზმს ალექსანდრე თოლორაია ედგა სათავეში, ნარაზენელებისას კი ვასილ ქვარაია.[2]

ზუგდიდის მაზრაში ბოლშევიკური აჯანყება 1918 წლის გაზაფხულზე დაიწყო, მაგრამ განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მიიღო. მთელს მაზრაში, სამაზრო ქალაქ ზუგდიდის გამოკლებით აჯანყებული ბოლშევიკები თარეშობდნენ. შექმნილი მდგომარეობით შეშფოთებულმა მთავრობამ ზუგდიდის გამაგრება დაიწყო დამატებითი სამხედრო ძალებით. აქ იდგა მთავრობის 100-კაციანი

„მფრინავი რაზმი“, რომელსაც ნიკო ანთელავა მეთაურობდა. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, ამიტომ 10 ივნისს ზუგდიდში ჩამოვიდა „მფრინავი რაზმი“, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა მაზრაში აჯანყების ჩაქრობა. ამ რაზმს სათავეში ედგა კაპიტანი ღლონტი. გაზეთ „სოციალ-დემოკრატის“ ცნობით „რაზმის უფროსს ბრძანება მიეცა, რომ თუ მშვიდობიანობის გზით ვერ შესძლებს წესიერების აღდგენას, მაშინ მიიღოს უსასტიკესი ზომები დასახული მიზნის მისაღწევად“.[3]

მთავრობის რაზმების ცდას, მშვიდობიანად დაემყარებინა წესრიგი ზუგდიდის მაზრაში, შედეგი არ მოჰყოლია. დაიწყო შეიარაღებული შეტაკებები. მსხვერპლი ორივე მხრიდან საგრძნობი იყო. მარტო ნარაზენში მდ. წენწყარის (ჭანისწყლის) ნაპირას გამართული ბრძოლის დროს, 1918 წლის 15 ივნისს, ერთ-ერთი მონაწილის, ბოლშევიკ პ. თოდუას ცნობით, მთავრობის ჯარების ერთმა რაზმმა, რომელშიც ოთხასი კაცი იყო დაკარგა სამოცდათორმეტი კაცი (20 მოკლულის, 25 დაჭრილისა და 27 ტყვედ დანებებულის სახით).[4]

ბოლშევიკების რაზმს, თუკი პ. თოდუას ცნობას ვენდობით, ეს ბრძოლა უდანაკარგოდ ჩაუტარებია. ნარაზენში გამაგრებულ რაზმს ზუგდიდიდან მიეშველა კაპიტანი ღლონტი თავისი ძირითადი ძალებითა და ქვემეხებით. 1918 წლის 24 ივნისს, დილის 4 საათზე დაიწყო ბრძოლა, რომელიც სამი დღე გრძელდებოდა. 26 ივნისს მთავრობის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. აჯანყებულებმა უკანდახევა დაიწყეს. მსხვერპლი ორივე მხრიდან დიდი იყო. ზუგდიდის ციხე გაივსო დატყვევებული ბოლშევიკებით.

ზუგდიდის ბოლშევიკთა სამაზრო კომიტეტის მითითებით, აჯანყებულთა შამგონის რაზმი, რომელსაც კახათელი ალექსანდრე თოლორაია მეთაურობდა, 27 ივნისს ქალაქში შეიჭრა ციხეზე თავდასხმისა და იქიდან ბოლშევიკი პატიმრების განთავისუფლების მიზნით. მანამდე კი, 26 ივნისს, შამგონისა და სამურზაყანოს ბოლშევიკურმა რაზმებმა ალყა შემოარტყეს ზუგდიდს.[5]

შამგონელთა რაზმის ზუგდიდში შეჭრა, როგორც მეთაურის ალ. თოლორაიას მოგონებიდან ირკვევა, ახალაბასთუმნიდან განხორციელებულა. ძველი ციხესიმაგრის ნანგრევებთან თითოეულ მეთაურს მიეცა მითითება თუ როგორ და რა მიმართულებით

ემოქმედა. მე პირად კი ციხის ასაღებად გავეშურეო, – იგონებდა ალ. თოლორაია.[6]

ეს ბრძოლა საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი იმდროინდელ გაზეთებში. აი, რას წერდა ამის შესახებ გაზეთი „ერთობა“: „27 ივნისს დილის 4 საათზე ბოლშევიკების რაზმმა 500-მდე კაცის შემადგენლობით ალყა შემოარტყა ზუგდიდს და სროლა აუტეხა, პირველად დაეცნენ ციხეს, გააღეს და გაათავისუფლეს ტყვეები. ციხეზე დაცემის დროს მოკლეს ერთი ზედამხედველი. ბოლშევიკურ რაზმს სროლით უპასუხა ზუგდიდის გვარდიამ და მილიციამ. მათ ხელმძღვანელობდა ზუგდიდის მაზრის კომისარი ი. ბაძაღუა... 27 ივნისს, ღამით ზუგდიდში შევიდა მთავრობის ჯარი ღლონტის მეთაურობით. მათ ოთხჯერ ისროლეს ზარბაზანი“.[7]

თუკი ზუგდიდში შეჭრილი ბოლშევიკური რაზმის წევრთა რაოდენობა ხუთას კაცს შეადგენდა, ზუგდიდის შემოგარენში მოქმედი ბოლშევიკური რაზმები რამდენიმე ათას მებრძოლს ითვლიდა. გაზეთი „ერთობა“ 9 ივლისს წერდა: „27 ივნისს დილით ადრე, როდესაც მთავრობის ჯარი ღლონტის მეთაურობით აბასთუმანში (იგულისხმება ჯვეშ აბასთუმანი – ა. ტ.) მოქმედებდა, რუსული შაშხანებით შეიარაღებული რამოდენიმე ათასი კაცი ზუგდიდში დაეცა. 28 ივნისს მოუსწრო მთავრობის ჯარმა. გამოიყენეს ზარბაზნები. ბოლშევიკური რაზმები დამარცხდნენ და უკან დაიხიეს, დაჭრილ-დახოცილები აუარებელია, რომელთა აკრეფა ჯერაც არაა დასრულებული“.[8]

ამ დროს ზუგდიდში შექმნილი მდგომარეობის დასახასიათებლად საჭიროდ მიმაჩნია კიდევ ერთი ამონაწერის მოშველიება გაზეთ „ერთობიდან“. აი, რას იუწყებოდა ეს გაზეთი 1918 წლის 10 ივნისს: „ზუგდიდის მაზრა დღეს ანარქიაშია გახვეული. მთელი მაზრა ბოლშევიკებმა აიკლეს. ანარქიის ავანგარდი ყოფილი ჯარისკაცებია. ეს რამოდენიმე ხანია რაც მთავრობის ჯარი სამეგრელოს სოფლებში გულმოდგინედ მუშაობს ცეცხლითა და მახვილით... მაგრამ ჯერ ვერა გააწყო რა. ბოლშევიკურად წოდებული ბრბო სულ ყალყზე დგება და იერიში მოაქვთ. სოფელიც მათი ზეგავლენით ბოლშევიკური სულითაა მოწამლული და გაჟღენთილი“[9].

უფრო დაწვრილებით ცნობებს იძლევა გაზეთი „ჩვენი ქვეყნა“: „მთავრობის ჯარი, – ნათქვამია წერილში, – ენერგიულ ზომებს ღებულობს, რომ ანარქია როგორმე ჩააქროს და მშვიდობიანობა დაამყაროს, მაგრამ ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს ქალაქი ზუგდიდი და მისი მიდამოები. ამ ქალაქის მკვიდრნი გაბოლშევიკებულ ბრბოს მეოხებით უკიდურეს პირობებში იმყოფებიან. თვეზე მეტია, რაც საცოდავი ქალაქი ჩამწყვდეულია მეამბოხეთა რკალში, მოწყვეტილია ქვეყნიერებას. დღე და ღამე განუწყვეტელი თოფ-ყუმბარების სროლა წარმოებს, ნერვებ აშლილია ქალი და კაცი, თხრილებში იხრჩობა და შიმშილით იხოცებიან. ქალაქში სოფლებიდან არავითარი სურსათ-სანოვაგე აღარ შემოაქვთ, რის გამოც დიდი შიმშილობა ჩამოვარდა, ლტოლვილები შესჩერებიან მთავრობის ჯარს, რომელიც დაბანაკებულია სენაკში. ფიქრობენ დღეს ან ხვალ მოგვეშველებიანო, მაგრამ იმედები იმედებად რჩება. საკმაოა ერთ დღეს ღლონტის რაზმი იერიშზე გადმოვიდეს პოლკ[ოვნიკ] სრესელის დახმარებით, რომ ზუგდიდის მიდამოები ბოლშევიკებისაგან სამუდამოდ განთავისუფლდეს, მაგრამ ამისთვის საჭიროა მთავრობის განკარგულება, რომელსაც მოკლებულია ზუგდიდი. მთავრობა ბოლშევიკებთან შეთანხმების პოლიტიკას ადგას, მაგრამ მიუხედავად მოლაპარაკების წარმოებისა, მეამბოხეთა ბრბო ამავე დროს იკრეფს ძალას და მიდის იერიშით მშვიდობიან მოქალაქეთა დასარბევად და ამოსაჟლეტად“.[10]

ალყა, რომელშიც ზუგდიდი 27 ივნისს მოაქციეს ბოლშევიკებმა, დიდი ხანი გაგრძელდა და ზუგდიდს ალყაშემორტყმული ქალაქის ყველა გაჭირვების გადატანა მოუხდა. 1918 წლის 18 აგვისტოს გაზეთი „შრომა“ წერდა: „ზუგდიდი გარშემორტყმულია ბოლშევიკების მიერ. მიმოსვლა ქალაქთან შეწყვეტილია. არ მოდის არც ფოსტა, არც გაზეთები. ბოლშევიკების რაზმი დაბანაკებულია ნარაზენში. მათ ძალა თანდათან ემატებათ“[11].

მიუხედავად იმისა, რომ აუტანელ მდგომარეობაში იყო, ქალაქი ზუგდიდი არ ნებდებოდა. „მთელი ზუგდიდის მაზრა გარდა ქალაქ ზუგდიდისა აჯანყებულების ხელში იყოო“ – წერდა ქუთაისის გუბერნიის კომისარი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს.[12]

ზუგდიდის სამთვიანი ალყის დროს ამ ქალაქის მკვიდრთა გასაჭირზე და ზუგდიდის ხელში ჩაგდების შემთხვევაში ბოლშევიკური ბრბოების ნამდვილ მიზნებზე ლაპარაკია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 1918 წელსვე გამოქვეყნებულ ერთ წერილში, საიდანაც ვრცელი ამონარიდის მკითხველთათვის გაცნობა აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია. „ამ ქალაქში დაგროვილი სიმდიდრე, – ვკითხულობთ წერილში, – თურმე მოსვენებას არ აძლევდა ბოლშევიკურ ბრბოებს, რომლებიც სოფლების გაძარცვამ ვერ დააკმაყოფილა. ისინი, თითქმის ყოველ ღამით ლამობდნენ ზუგდიდში შეჭრას, მაგრამ ყოველთვის უძლეველ დაბრკოლებას ხვდებოდნენ. მათ მედგარ წინააღმდეგობას უწევდა რაზმი პორუჩიკ აპოლონ ჯიქიას მეთაურობით და ყოველ მათ დაცემას იგერიებდა. ამ რაზმის მუდმივი შემადგენლობა 35-40 კაცია, მაგრამ გასაჭირის დროს ეს რიცხვი 80-მდე ადიოდა. თვით ბრბოს რიცხვი კი მეტად დიდი იყო, ხშირად 400-500 კაცს შეადგენდა. მთელი ზუგდიდი ნამდვილ ჯოჯოხეთს წარმოადგენდა მცხოვრებთათვის, რომლებიც გარეშე დახმარებას მოკლებულნი იყვნენ და ყოველ წუთს მოელოდნენ ბრბოების შემოსევას. მრავალი სახლი, განსაკუთრებით ქალაქის განაპირას, ტყვიით იყო დახვრეტილი... ყოველ დღე, როგორც კი 5 საათი შესრულდებოდა, ქალაქის განაპირა უბნებიდან მცხოვრებლები დაიძროდნენ ხოლმე და შუა ქალაქს მოაშურებდნენ, სადაც იმალებოდნენ სარდაფებსა და ქვითკირის შენობებში“.[13]

როცა აშკარა გახდა, რომ ზუგდიდის მაზრაში ბოლშევიკური ამბოხის ჩაქრობა მხოლოდ ღლონტის რაზმით შეუძლებელი იყო, საქართველოს მთავრობამ ზუგდიდისაკენ დაძრა ჯარების დიდი შენაერთები გენერალ ი. გედევანიშვილის სარდლობით და გვარდიის ნაწილები ვალიკო ჯუღელის ხელმძღვანელობით.[14]

ამასობაში დააპატიმრეს ზუგდიდის მაზრის ბოლშევიკური აჯანყების მეთაური ნესტორ ჯოჯუა. ქუთაისის გუბერნიის კომისარმა ბენია ჩხიკვიშვილმა მოითხოვა მისი დაუყოვნებლივ სამხედრო-საველე სასამართლოსთვის გადაცემა და დახვრეტა, როგორც სამშობლოს მოღალატისა.[15] მალე დააპატიმრეს სამეგრელოს ბოლშევიკური აჯანყების ხელმძღვანელი აკაკი ოჩიგავა.

ის 1918 წლის 14 სექტემბერს დახვრიტეს, როგორც სამშობლოს მოღალატე.[16]

1918 წლის 9 სექტემბერს გენერალი ი. გედევანიშვილი თავისი ჯარებით ზუგდიდში შევიდა და ამით დამთავრდა აჯანყებული ბოლშევიკების მიერ ალყაშემორტყმული ქალაქის წამება. ბოლო მოეღო შიშისა და გაურკვევლობის სამთვიან მონაკვეთს ზუგდიდის ისტორიაში და ქალაქის მკვიდრთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მცირედი გამონაკლისის გარდა, ისინი მტრულად იყვნენ განწყობილნი ბოლშევიკებისადმი. მათ კარგად ესმოდათ, რომ სწორედ იმ დროს, როცა თურქეთის ჯარები საქართველოში იყვნენ შემოჭრილნი და გურია-აჭარის დაპყრობას ლამობდნენ, აჯანყება საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ სამშობლოს ღალატის ტოლფასი იყო. ზუგდიდის მოქალაქენი კარგად ჭვრეტდნენ ბოლშევიკების ნამდვილ მიზნებს და ესმოდათ თუ ვის წისქვილზე ასხამდნენ ისინი წყალს.

* * *

გენერალ ი. გედევანიშვილის ძლიერმა ხელმა, ფრთხილმა და გონივრულმა პოლიტიკამ კარგი შედეგი გამოიღო. ყველამ იგრძნო, რომ მთავრობას ძალა აქვს და საკუთარი მოსახლეობის დაცვა ძალუძს. თუ წინათ ჯარი ეჯავრებოდათ, ახლა მთელს სამეგრელოში „გედევანსკუაშ ჯარიშ" ქება გაისმოდა.

15 სექტემბერს რესპუბლიკის ჯარებს ჩაბარდნენ „ბოლშევიკების მთავარსარდალი" სანდრო გვასალია, ისაკ კვარაცხელია და სხვები. არ ჩაბარდა მხოლოდ 8-9 კაციანი ჯგუფი, რომელსაც დათიკო ხვიტია მეთაურობდა. თუ ვინ იყვნენ ამ ჯგუფის წევრები,ჯ კარგად ჩანს იქიდან, რომ მისი ერთ-ერთი წევრი, გვარად შამუგია, კორცხელში სოფლის გლეხობამ ჩაქოლა.[17]

1. გაზ. „ერთობა", 1918 წ. №118.

2. ვ. ჯანჯღავა, გლეხთა მოძრაობა სამეგრელოში 1917-1921 წლებში, თბ. 1989, გვ. 64.

3. გაზ. „სოციალ-დემოკრატი",1918 წ. №349

4. ვ. ჯანჯღავა, გლეხთა მოძრაობა სამეგრელოში 1917-1921 წლებში, თბ. 1989, გვ. 91.

5. იქვე, გვ. 90-91.

6. იქვე, გვ. 92-93.

7. გაზ. „ერთობა“, 1918 წ. №136.

8. გაზ. „ერთობა“, 1918წ. №141; მკვლევარ ვ. ქარჩავას სიტყვით ბოლშევიკებს ზუგდიდი აუღიათ 1918 წლის 24 ივნისს, რაც არაა სწორი. როგორც ჩვენ მიერ აქ დამოწმებული წყაროდან ირკვევა, ბოლშევიკები ზუგდიდში 27 ივნისს შემოჭრილან და მომდევნო დღესვე განდევნილ იქნენ ქალაქიდან (ვ. ქარჩავა, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიიდან დასავლეთ საქართველოში, თბ. 1961, გვ. 54).

9. გაზ. „ერთობა“, 1918 წ. №142.

10. გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918 წ. №157.

11. გაზ. „შრომა“, 1918 წ. 14 აგვისტო.

12. საქართველოს რევოლუციის ცენტრ. სახელმწიფო არქივი, ფონდი 11, საქმე 4, ფურც. 127.

13. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ. № 58.

14. ვ. ჯანჯღავა, გლეხთა მოძრაობა სამეგრელოში 1917-1921 წლებში, თბ. 1989, გვ. 113.

15. გაზ. „შრომა“, 1918 წ. №35.

16. ვ. ჯანჯღავა, გლეხთა მოძრაობა სამეგრელოში 1917-1921 წლებში, თბ. 1989, გვ. 115.

17. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ. № 56.

ზუგდიდის პოლიტიკური ცხოვრება 1917-1921 წლებში

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ რუსეთის იმპერიაში დაამხო თვითმპყრობელობა. იმავე წლის ოქტომბერში ბოლშევიკებმა ძალადობით დაამხეს რესპუბლიკური დემოკრატიული მმართველობა და იმპერიის სატახტოში და მის დიდ ნაწილში ხელთ იგდეს ხელისუფლება. ამიერკავკასიაში მოქმედმა პოლიტიკურმა ძალებმა შექმნეს დროებითი ადგილობრივი მთავრობა, რომელიც ამიერკავკასიას რუსეთის რესპუბლიკის ნაწილად მიიჩნევდა, მაგრამ ერთი მხრივ თურქეთის აგრესიის მოგერიების, მეორე მხრივ ბოლშევიზმისაგან თავის დაცვის აუცილებლობამ, აიძულა ის მოეწვია დამოუკიდებელი საკანონმდებლო ორგანო – სეიმი, რომლის თავმჯდომარე გახდა ევგენი გეგეჭკორი. 1918 წლის 26 მაისს კი საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ ორი წლის განმავლობაში ზუგდიდი, ისევე როგორც მთელი საქართველო პარტიებს შორის პოლიტიკური ჭიდილის ასპარეზად იყო ქცეული.

1917 წლის 18 მაისს გაიმართა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ზუგდიდის სამაზრო ორგანიზაციის კრება, სადაც გადაწყდა პარტიული სკოლის დაარსება. მისი ხელმძღვანელობა ალექსანდრე ჩიქავამ იკისრა. ამ დროისათვის სოციალ-დემოკრატების ზუგდიდის ორგანიზაციაში 500 წევრი ირიცხებოდა (გაზ. „ერთობა“, 1917 წ. №58).

სამი დღის შემდეგ, 21 მაისს ზუგდიდში მოეწყო დიდი მიტინგი, სადაც სიტყვებით გამოვიდნენ სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები, მათი გამოსვლა ძირითადად მიწის საკითხს შეეხო (გაზ. „ერთობა“,1917 წ. №65).

ამავე წლის 15 ივლისს გაიმართა სოციალ-დემოკრატიული

პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა ექიმი გ. ჭედია (გაზ. „ერთობა“, 1917 წ. №109). დიდი კამათი გამოინვია ნიკო დადიანის ყოფილი მოურავის (მამულების მმართველის) ვლ. ალშიბაიას საკითხმა. ბევრმა მისი დატუსაღება მოითხოვა და ჭიათურის აღმასკომისადმი ამ მოთხოვნით „ცნობილი ფილიპე კედია“ იქნა მივლინებული (გაზ. „ერთობა“, 1917 წ. №109). ეტყობა ვლ. ალშიბაია ამ დროს ჭიათურაში მუშაობდა.

მოსახლეობის პოლიტიზირება დიდი გაქანებით მიმდინარეობდა. აი, რას წერდა 1917 წელს ერთ-ერთი გაზეთი: „ზუგდიდმა ამჟამად არაჩვეულებრივი სახე მიიღო. აქ არიან ჩამოსული მთელი მაზრის და სამურზაყანოს მასწავლებლები... სულ 200-მდე. აქ ისინი ჩამოსულები არიან ქართულის შესასწავლად. მასთან ისინი აღფრთოვანებულნი ეგებებიან სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებზე გამართულ ლექციებს“. ამავე წყაროს ცნობით მათთვის ლექციები წაუკითხავთ ჩიქავას (ალბათ ალ. ჩიქავას – ა. ტ.), ლ. ემხვარს და ვალოდია ჯუღელს (გაზ. „დროება“, 1917 წ. №79).

ზუგდიდის თვითმმართველობის (ქალაქის ხმოსნების) არჩევნებში, რომელიც 1917 წლის 24 სექტემბრისათვის იყო დანიშნული, პარტიები გააფთრებით ებრძოდნენ ერთმანეთს. 20 სექტემბერს გამოქვეყნდა სოციალ-დემოკრატების მიმართვა ამომრჩევლებისადმი. „ხმა მივცეთ მუშათა პარტიას – სოციალ-დემოკრატიას. გავიყვანოთ ხმოსნებად მათ მიერ წამოყენებული კანდიდატები, ურომლისოდაც დემოკრატიის ინტერესების დაცვა შეუძლებელია. სალამი და გამარჯვება ზუგდიდის დემოკრატიას. ხმა მიეცით №1 სიას“ – ნათქვამი იყო ამ მიმართვაში (გაზ. „ერთობა“, 1917 წ. №150).

ეს არჩევნები ერთი კვირის დაგვიანებით 1 ოქტომბერს ჩატარდა. „მიტინგებზე და კრებებზე გულმოდგინეთ უსმენდნენ საარჩევნო პლატფორმებსა და პარტიათა პროგრამების გარჩევას. ჩხუბსა და უწესობას არც საარჩევნო კამპანიისა და არც არჩევნების დღეს ადგილი არ ჰქონიაო“ – იუწყებოდა გაზეთი „ერთობა“ (1917 წ. 166).

ამ არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 735 ხმა და ერგოთ 10 ადგილი, სოციალ-ფედერალისტებმა 370 ხმა (5 ადგილი),

ეროვნულ-დემოკრატებმა 342 ხმა (5 ადგილი). არჩევნებში მონაწილეობა მიიღო სიაში შეტანილ ამომრჩეველთა 61-მა მეასედმა. სოციალ-დემოკრატებს ხმა მისცეს მუშებმა, ხელოსნებმა და ნოქრებმა, ეროვნულ-დემოკრატებს – ვაჭრებმა, ხოლო სოციალ-ფედერალისტებს ინტელიგენციამ და მოხელეებმა (გაზ. „ერთობა", 1917 წ. №166).

არჩევნებმა აჩვენა, გაზეთ „ერთობის" სიტყვებით რომ ვთქვათ, „ზუგდიდი ნაციონალისტების მიუვალი სიმაგრე" იყო. აქ ეროვნულ-დემოკრატებს და ფედერალისტებს თითქმის იმდენივე მომხრე ჰყავდათ, რამდენიც სოციალ-დემოკრატებს.

1918 წლის დეკემბერში გაიმართა ზუგდიდის მაზრის საერობო არჩევნები. სოციალ-დემოკრატები და სოციალ-ფედერალისტები ერთიანი სიით იყრიდნენ კენჭს, ეროვნულ-დემოკრატები და სოციალ-რევოლუციონერები (ესერები) თავთავიანთი სიით.

65.723 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 21.995 კაცმა. სოციალ-დემოკრატებმა და სოციალ-ფედერალისტებმა საერობოში გაიყვანეს 17 ხმოსანი, ესერებმა – 12, ეროვნულ-დემოკრატებმა – 10 (გაზ. „ერთობა", 1918 წ. № 282).

ხმოსანთა კრება საქმიანობის უნარს მოკლებული აღმოჩნდა და პოლიტიკური ინტრიგების ბუდედ გადაიქცა. ამ გარემოებამ აიძულა სოცილ-დემოკრატების ნაწილი შეეტანათ წინადადება ერობის ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ (გაზ. „ერთობა", 1919 წ. №253), გაიმართა თუ არა ეს ახალი არჩევნები არ ვიცით, მაგრამ სამაზრო ერობის კრებაში პოლიტიკურმა კრიზისმა მომდევნო 1919 წლის შემოდგომაზე მწვერვალს მიაღწია. სამაზრო ერობის თავმჯდომარემ ლეო შენგელაიამ (მომავალმა დიდმა მწერალმა ლეო ქიაჩელმა) 1919 წლის 4 ოქტომბერს დაწყებულ ერობის IV ყრილობაზე უარი განაცხადა არათუ ერობის თავმჯდომარეობაზე, ერობის წევრობაზეც კი. მის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა ეროვნულ-დემოკრატთა ფრაქციამ, მაგრამ ის მაინც იქნა დატოვებული ერობის თავმჯდომარის თანამდებობზე. ერობის იმდროინდელი წევრებიდან გამოირჩეოდნენ ესერი შალვა მოსიძე და ფედერალისტი მიხაკო კეკელია (გაზ. „ერთობა", 1919 წ. № 271).

1920 წლის 25 იანვარს გაიმართა ზუგდიდის სამაზრო ერობის ხელახალი არჩევნები. სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 16 ადგილი, ესერებმა – 9, ეროვნულ დემოკრატებმა – 5 და ფედერალისტებმა 2. ერობის თავმჯდომარედ ისევ ლეო შენგელაია იქნა არჩეული (გაზ. „ერთობა“, 1920, ნ. №29), მაგრამ ის ამ თანამდებობაზე ამის შემდეგ დიდხანს არ დარჩენილა. იმავე 1920 წლის მაის-ივნისში ზუგდიდის სამაზრო ერობის თავმჯდომარედ უკვე ვლ. ვეკუას ვხედავთ (გაზ. „ერთობა“, 1920 წ. № 133).

1920 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენის დღე დიდი ზეიმით აღინიშნა ზუგდიდში. ერთი თვითმხილველის აღწერით „12 საათზე დაიწყო მანიფესტაცია. პროცესია გაემართა ქალაქში. მას წინ მიუძროდა დამოუკიდებლობის ემბლემა – თეთრ ცხენზე მჯდარი [წმინდა გიორგი] შუბითა და ფარით... ერობის ეზოს კარებთან დამსწრეთ მიესალმა სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე ვლ. ვეკუა, რომელმაც გააცნო მათ ამ დღესასწაულის მნიშვნელობა მოკლე სიტყვაში. დემონსტრანტებმა შემოიარეს ქალაქის ქუჩები, რის შემდეგაც დაიწყო ზეიმი. ხალხის მხიარულებას საზღვარი აღარ ჰქონდა, საზოგადოება ჯგუფ-ჯგუფად გროვდებოდა ხოლმე, აქა-იქ ცეკვა-თამაშში ატარებდა დროს ქალაქის შუაგულში მდებარე მინდორზე. ყველას სახე უბრწყინავდა, ყველა გრძნობდა ამ დღის არაჩვეულებრიობას, მის სიდიადეს. ამ ზეიმის მაყურებელი არაქართველიც აუცილებლად იგრძნობოდა, რომ დღესასწაული, რომელსაც იხდიდა გამოწვეული იყო ფრიად მნიშვნელოვანი მიზეზით, რომ ის ღრმად ჩაწვდენია ხალხის სულსა და გულს“... ზეიმი საღამოს 9 საათამდე გაგრძელებულა (გაზ. „ერთობა“, 1920 წ. №133).

ზუგდიდის ტოპონიმია-ერგონიმია

ზუგდიდის თემში სხვადასხვა დროს შედიოდა სოფლები: ლედგებიე, ლეშედანე, ოფაჩხაფუ, საჭურლულიო, უჩაშონა, ჩხოუში, ჭითაწყარი, ოირემე, ჯოლეჯიანი, ჯუმი (ზოგ დოკუმენტში ჯუმითად წოდებული) და საკუთრივ ზუგდიდი, რომელიც იყოფოდა ქალაქად (1917 წლამდე დაბა ზუგდიდი) და სოფლად (სოფელი ზუგდიდი).

მანცხვარკარის გორას, სადაც ზუგდიდის უძველესი (თავდაპირველი) უბანი იყო, როგორც აკაკი ჭანტურიას მიერ შედგენილი ზუგდიდისა და მისი შემოგარენის სიძველეთა რუკიდან ჩანს, XX საუკუნის 20-იან წლებში ჯერ კიდევ ჰქონია შერჩენილი სახელი **ნაზუგიდ**, რაც ნაზუგდიდევს ნიშნავს მეგრულად.

ახლა გავეცნოთ ზუგდიდის გამგეობაში შემავალი სოფლების სახელებს და მათ მნიშვნელობას, მაგრამ სანამ თითოეული მათგანის მნიშვნელობაზე ვისაუბრებდეთ, საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი რამის აღნიშვნა: ეტიმოლოგია ენათმეცნიერების ერთ-ერთი ურთულესი დარგია. ამა თუ იმ სიტყვის, ამა თუ იმ სახელწოდების ზუსტი, უეჭველი მნიშვნელობის დადგენა უამრავი რამის ცოდნასა და გათვალისწინებას საჭიროებს. უამისოდ, ერთი შეხედვით ადვილი, თითქოს საკმაოდ გამჭვირვალე სიტყვა შესაძლოა სულ სხვა წარმოშობისა და სხვაგვარი სემანტიკისა აღმოჩნდეს. ამის კარგი მაგალითია ადრე **მანჩაშ კახათად** წოდებული სოფელ **ახალ კახათის** მეორე სახელი **ნაჭვი** (ნაჭვ კახათი), რომელიც მეგრულის ნებისმიერმა მცოდნემ შეიძლება ადვილად თარგმნოს, როგორც გადამწვარი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მთელს სამეგრელოში **ნაჭვი** ბევრ სხვა ადგილსაც ჰქვია, გაგვიჩნდება სავსებით ბუნებრივი კითხვა, ნუთუ ყველა ეს ადგილი გადაიწვა? არადა, ტოპონიმ **ნაჭვს** იმ ადგილს არქმევდ-

ნენ, სადაც ადრე ჭვავის ყანა იყო. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს მეგრული ტოპონიმიის ისეთი მაგალითებიდან, როგორებიცაა **ნალუმუ, ნაქობალუ, ნაკიფუ**, რომლებშიც ადვილად ამოიცნობა მცენარეთა მეგრული სახელები – **ღუმუ** (ღომი), **ქობალი** (ხორბალი), **კიფი** (კანაფი). სწორედ ამ ტიპის ტოპონიმია **ნაჭვი** ნიშნავს ნაჭვავარს. არადა ეტიმოლოგიური ვარჯიშობებით გატაცებულნი ყოველივე ამას არად დაგიდევენ. მათთვის საკმარისია ესა თუ ის სახელი რომელიმე ნაცნობ სიტყვას ან სიტყვებს მიამსგავსონ და სახელწოდების მნიშვნელობა დადგენილი ჰგონიათ. ამგვარ ბევრ ნიმუშს გაეცნობა და მისი მეცნიერულ უარყოფას წაიკითხავს აქ მკითხველი.

აბასთუმანი ზუგდიდის მიდამოებში ჰქვია ორ სოფელს. ერთია **ჯვეშ აბასთუმანი** და მეორე **ახალი აბასთუმანი**. სახელ **აბასთუმანის** მქონე რამდენიმე სოფელია საქართველოში. ოიკონიმი **აბასთუმანი**, როგორც თავის დროზე აკად. სერგი ჯიქიამ გაარკვია, ქართული **აბაზთ უბნის** ფონეტიკურად სახეცვლილი სახეა. **აბაზ** ძველ საქართველოში გავრცელებული ანთროპონიმი იყო (შდრ. გვარ-სახელი **აბაზაძე**). ამიტომ ამ ანთროპონიმიდან ტიმოთესუბანი, ჯიქთუბანის ტიპის ტოპონიმ **აბასთუმანის** წარმოშობა სავსებით ბუნებრივი იყო (ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, თბ. 1958, გვ. 164-165)

დავითიანი. ამ სოფელის სახელი, როგორც ჩანს, მთავარ დავით დადიანის მმართველობის ხანაში აშენებული წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიის სახელს უკავშირდება. XIX საუკუნის მიწურულის საეკლესიო საბუთებიდან ირკვევა, რომ იქ სწორედ წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესია არსებობდა, თარგამულში კი წმ. გიორგისა. საგულისხმოა ისიც, რომ XX საუკუნის 20-იან წლებში არსებობდა თარგამულის სკოლა ცალკე და ცალკე დავითიან-ოირემეს სკოლა. ამ სოფელში ლაკადა სამეგრელოდან, კერძოდ სოფელ თარგამოდან ჩამოსახლდა 50 კომლი გლეხი და იმ ადგილს, სადაც ისინი დამკვიდრდნენ, ეწოდა **თარგამული**, რაც მეგრულად წარმოშობით თარგამოელს ნიშნავს. მოგვიანებით თარგამული ცალკე სოფლად ჩამოყალიბდა. ა. ანტონოვი, ანგა-

რიშში თავად ნიკო დადიანის (მინგრელსკის) მამულების შესახებ წერს, რომ მთავრობის მიერ აღწერაში მოტანილია სია 51 კომლისა დავითიანელი ხიზნებისა, რომლებიც სარგებლობენ 201 ქცევა მიწით. აქვე აღნიშნულია, რომ „1882 წლის 5 იანვრის პირობით დავითიანელებმა თავიანთ დასასახლებლად დაიკავეს მთელი 556 ქცევა მიწიდან 220 ქცევა მიწა (А. Антонов, Оичет об имениях святлейшаго князя Николая Давидовича Мингрельского, Кутаиси, 1891, стр. 49).

დარჩელის თემში, საქართველოს ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, რომელიც 1929 წელს განხორციელდა, შედიოდა სოფლები – **ბუკონა, კუნოში, წყურგილე** (საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფილისი, 1930, გვ. 121-123). **გვიმარონი** ერქვა ერთ უბანს დარჩელისა, სადაც გასული საუკუნის 30-იან წლებში ბოლშევიკებს დაუარსებიათ ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა და ამიტომ ნაცვლად თავისი ძველი და ულამაზესი სახელისა, მას აქ მცხოვრებნიც და სხვებიც დღემდე **ტელმანს** ეძახიან. ეს თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ არ ვუფრთხილდებით ძველ, ისტორიულ სახელებს, რომლებიც ჩვენი უძვირფასესი ეროვნული განძის – ლექსიკის განუყოფელი ნაწილს წარმოადგენენ.

ოიკონიმ **დარჩელის** ეტიმოლოგიის შესახებ არსებობს რამდენიმე მოსაზრება. ერთი ფოლკლორული ეტიმოლოგია ამ ტოპონიმის წარმოშობას აქ საცხოვრებლად დამკვიდრებული ვინმე დაჩი ხუფენიას სახელს უკავშირებს. ვითომც აქ ჩამოსახლებულ ხუფენიების წინაპარ ძმათაგან ერთ-ერთი, რომელსაც ერქვა დაჩი აქ, ამ სოფელში დამკვიდრდა და სოფელსაც მისი სახელი ეწოდა, მისი ერთ-ერთი ძმა სახელად ოტია ამავე გადმოცემის თანახმად ენგურს გაღმა დასახლდა და იმ ადგილს მისი სახელის მიხედვით **ოტობაია** ეწოდა. ამ გადმოცემას, რომელიც ანტონ არნანიას (1915-2007) მიერაა ჩაწერილი, არანაირი კავშირი არა აქვს ჭეშმარიტებასთან (ანტონ არნანია, ვალიკო შონია, დარჩელი. ნარკვევები სოფლის ისტორიიდან, თბ. 1999, გვ. 7-9).

ამ თქმულების ვარიანტია მოცემული ნიკოლოზ ჯომიდავას წიგნშიც, საიდანაც ვერ გაიგებ, მკვლევარი დარჩელის სახელს

იმ **დაჩი** ხოფერიას სახელს უკავშირებს, რომელსაც აქ თავის ორ ძმასთან ერთად ვითომ სიმინდი დაუთესავს, თუ იმ კარგ მოსავალს, რომელიც აუღია **დორჩელი** (ანუ დაწვენილი, წაქცეული) სიმინდისგან. გაუგებარია, რატომ უნდა დარქმეოდა სოფელს ამგვარი უცნაური სახელი (ნ. ჯომიდავა, 2000, გვ. 466). სავსებით მართებულად შენიშნავს თავისი სოფლის ისტორიის დაუღალავი მკვლევარი გრიგოლ ჭედია, რომ სიმინდი ამერიკიდან შემოვიდა ევროპაში და ლაზეთის გზით სამეგრელოში (ამიტომაც ჰქვია მას **ლაზუტი** ანუ ლაიტი) და ამიტომ **დარჩელი**-ს სახელის ამგვარი ფოლკლორული ახსნა შეუძლებელია სწორი იყოს, რადგან ეს სახელი მანამდე არსებობდა, სანამ სიმინდის პირველი ყანები გაჩნდებოდა სამეგრელოში (გრ. ჭედია, 2003-2004, გვ. 192-193). გრ. ჭედია, რომელსაც არც სამეცნიერო ხარისხი აქვს ნ. ჯომიდავასავით და არც საგანგებო ლინგვისტური ცოდნა, სავსებით მისაღებ მოსაზრებას ემხრობა სახელწოდება **დარჩელის** წარმოშობისა, რომელიც ომარ ხუხიას ეკუთვნის, მაგრამ ამ უკანასკნელის მოსაზრება დარჩელის **დიხარჩელიდან** შესაძლო მომდინარეობის შესახებ მიუღებელია, რადგან **დიხარჩელიდან დორჩელის** მიღება ფონეტიკურად შეუძლებელია. იმ კანონზომიერების გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც ბგერა **ა**-ს მეგრულში ბგერა **ო** შეესატყვისება, ტოპონიმს **დარჩელი** შეეძლო მოეცა **დორჩელი**, მაგრამ პირიქით – გამორიცხულია. ამიტომ ვერც **დორჩელიდან დარჩელის** წარმომავლობაა დამაჯერებელი.

ოიკონიმი (სოფლის სახელი) **დარჩელი** წყაროებში **დარჩენის** სახითაც გვხვდება. 1873 წელს შედგენილ კავკასიის მხარეთა ადგილების სიაში წერია **დარჩენი**, სადაც სახლობდა 261 კომლი, ყოფილა ერთი ეკლესია, მოსახლეთა რაოდენობა კი შეადგენდა 1546 კაცს (**Сборник сведении о Кавказе, т. V, Тифл. 1879, ჩანაჭ. 905**), რაც გვკარნახობს მის ფიტონიმ (მცენარის სახელი) **დარიჩინთან** დაკავშირებას. ბგერა **ნ** მეგრულში ხშირად გვაძლევს ბგერას **ლ**. ამიტომ ოიკონიმ **დარჩელის** თავდაპირველ სახედ **დარჩენი** უნდა მივიჩნიოთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **დარჩელი** სემანტიკურად დაკავშირებულია ფიტონიმთან **დარიჩინი**, რომელსაც მეგრულისათვის დამახასიათებელი კუმშვადობის გამო **დარჩენ** ფორმა უნდა ჰქონოდა.

ზინდკარი ადგილს ერქვა ზუგდიდში. ის დატანილია აკ. ჭანტურიას ზემოთ დასახელებულ რუკაზე. **ზინდკარი**-ს ტიპის ტოპონიმები (წალიკარი, ჯებიკარი, ყულიშკარი, ჯიხაშკარი, ჩემნაშკარი, გულეიკარი, ვედიდკარი და სხვა) ორფუძიანი ტოპონიმებია. ამ ტოპონიმების მეორე სიტყვა **კარი** ზანურში, როგორც ტოპონიმებზე და სხვა სახის ლექსიკურ მასალაზე დაკვირვება გვარწმუნებს, აღნიშნავდა სახლს, სამოსახლოს, რაზედაც ყველაზე ნათლად მეტყველებს მეგრული წყევლა **კარ ჭვილი** (სიტყვა-სიტყვით „კარდამწვარი", აზრობრივად – სახლდამწვარი). რაც შეეხება ტოპონიმს **ზინდკარი**, ის უეჭველად XIX საუკუნის შუა ხანებშია წარმოშობილი და იმ დროს იქ არსებული ძაფსახვევი ქარხნის სახელს უკავშირდება, რადგან **ზინდი** მეგრულად ნიშნავს ძაფსახვევ დაზგას.

კახათი ზუგდიდის დასავლეთით მომიჯნავე სოფელს ჰქვია. ამგვარი აღნაგობის ტოპონიმები (ბაღდათი, თეკლათი, გელათი, ჯუმათი და სხვა) რთული ტოპონიმებია. მათში შემავალი პირველი სიტყვა მუდამ ანთროპონიმია (ბაღდა, თეკლა, გელა, ჯუმა...), მეორე სიტყვა კი არის **თი**, რაც ზანურში (მეგრულ-ჭანურ-პროტოაფხაზურში) სახლს, სამოსახლო ადგილს, კერძს ნიშნავს. თუკი სახლის მნიშვნელობით ეს სიტყვა მეგრული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში გვხვდება (ლიუ-ღაუქ ქუმურაუ, სჳნთე მარე კოჩიშ თისგ...), ადგილის, წილის, კერძის მნიშვნელობით დღესაც იხმარება მეგრელთა მეტყველებაში (პრიველ თია – პირველი ადგილი; მუშ თია ოჭკუმუ – თავისი კერძი შეჭამა; გვეჯეშ თია გვეჯესია – გვეჯეს წილი, გვეჯესაო...). **კახათი**ს ტიპის ტოპონიმებს ენათმეცნიერები შეცდომით კრებითობის **თ** – ბოლოსართით ნაწარმოები თელეთი, კარალეთის ტიპის ტოპონიმების წრეში აქცევენ, რადგან კოლხურ ტოპონიმებში მის წინ მყოფი ა ბგერა ქართული ე ბგერის კანონზომიერი შესატყვისი ჰგონიათ (ქართ. ე ხომ მართლაც ა-ს გვაძლევს მეგრულში), მაგრამ ეს ამ კანონზომიერებისადმი თვალდახუჭული ნდობის შედეგია. ვის შეუძლია უარყოფა იმისა, რომ ფონეტიკურ კანონებს ყოფითი სამეტყველო თავისებურებანი ხშირად არ დამორჩილებია. ამის გაუთვალისწინებლობაა სწორედ მიზეზი მთელი რიგი სემანტიკური (და არა მარტო სემან-

ტიკური) გაუგებრობებისა. კახათი სიტყვასიტყვით ნიშნავს კახას სამოსახლოს.

კახათის ტიპის კიდევ ორი ტოპონიმია ზუგდიდსა და მის შემოგარენში. ესაა **ქაფათი** – სახელი ზუგდიდის ჩრდილოეთით გორაკს შეფენილი სოფლისა, რომელიც უკვე ზუგდიდის უბნად არის ქცეული და **ჭელეთი** – სახელი ასევე ზუგდიდის უბნად გადაქცეული პატარა სოფლისა, რომელიც მდ. კუჩხობონუს ორივე ნაპირზე მდებარეობდა და სოფლებს – ჯოღეჯიანსა და ახალ აბასთუმანს ეკვროდა. ამ ტოპონიმებში შემონახულია აწ გამქრალი მეგრული პირსახელები – **ქაფა** და **წულე** || წულა.(ეს უკანასკნელი შემონახულია გვარსახელში **წულეისკირი**, რაც წულეის შვილს ნიშნავს ლაზურად).

კუჩხობონუ ზუგდიდში პატარა მდინარის სახელია. ის ზუგდიდშივე ერთვის მდ. ჩხოუშიას. გადმოცემით ქვემო სოფლებიდან (ანაკლია, დარჩელი, კახათი, კოკი და სხვა) ზუგდიდში ფეხშიშველად მიმავალნი ამ მდინარეში ფეხს დაიბანდნენ, წაღებს (მეგრულად **ჩაფულას** ჩაიცვამდნენ) და ასე შედიოდნენ ქალაქში. ამიტომ შეერქვა ამ მდინარეს **კუჩხობონუ**, რაც მეგრულად ფეხსაბანს ნიშნავს (კუჩხი – ფეხი; ობონუ – საბანი). ეს არის უიშვიათესი შემთხვევა, როცა ფოლკლორული ეტიმოლოგია სიტყვისა შეიძლება მართებული იყოს.

ნიკოსია. ფრანგი მოღვაწე ჟიულ მურიე თავის 1883 წელს გამოცემულ წიგნ „სამეგრელოში" წერს, რომ ნიკოსია „მდ. ენგურის ნაპირას სანიმუშო სოფელია, სულ რამოდენიმე წლის წინათ შეიქმნა გორდიდან და სალხინოდან ჩამოსული კოლონისტებისაგან... აქ მოსახლეობა 160 კომლისაგან შედგება" (J. Mourier, La Mingrelie, Odessa, 1883, p. 286). 1873 წელს კავკასიის მხარის დასახლებული ადგილების სიაში ნათქვამია, რომ სოფელი ნიკოსია, სადაც 139 სახლი იდგა და 1012 კაცი ცხოვრობდა, 1859 წელს დააარსეს სალიპარიტიანოდან გადმოსახლებულებმა და მცირეწლოვანი მთავრის პატივსაცემად დაარქვეს ნიკოსია. ამ სოფელში ეს წყარო უთითებს ერთ **ნაეკლესიარს** და ციხის ნანგრევებს (Сборник сведении о Кавказе, т. I, Тиф.1879, ჩანაწ. 898). ეს სახელი

რუხს 1932 წლამდე ერქვა. ამ წლის 15 სექტემბერს საქართველოს ცაკის დადგენილებით ნიკოსიას კვლავ რუხი აღუდგა სახელად („ყაზაყიშ გაზეთი", 1932 წ. №181).

ნაფართალუ მსგავსად აკ. ჭანტურიას მიერ ჩაწერილ ტოპონიმ ზინდკარისა ზუგდიდის გაქალაქების ხანაშია წარმოშობილი. ცნობილია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის ზუგდიდში იყო ერთნაირი საქონლით მოვაჭრეთა დუქნების ან ერთი ხელობის ხელოსანთა დუქანსახელოსნოთა რიგები. ამიტომ იმ ადგილს, სადაც საფართლო დუქნები იყო, ცხადია, გვიან შეიძლება **ნაფართალე || ნაფართალუ** შერქმეოდა.

ნათუთუნუს ეძახდნენ ძველად ზუგდიდში იმ ადგილს, რომელსაც ახლა **ჯვარიშ გინართაფუს** უწოდებენ. აქვე მდებარე სასაფლაოს კი **ნათუთუნუშ სასაფლა** ერქვა.

ნაწულუკუ ზუგდიდის მოსაზღვრე, თითქმის მასთან შეზრდილი სოფლის სახელია. ეს სახელწოდება XVII საუკუნის მეორე ნახევარშია წარმოშობილი. ცნობილია, რომ XVII საუკუნის პირველ მეოთხედში იმერეთის მეფე გიორგი III-ს მიერ შერისხული თავადი პაატა წულუკიძე, რომელსაც პაატა წუწკის სახელითაც იცნობენ წყაროები, სამეგრელოში გადაიხვეწა. ლევან II დადიანმა, რომელიც იმერეთის მეფეს მტრობდა, პაატა წულუკიძეს ყმა-მამულები უბოძა, ხოლო მოგვიანებით, 1641-1643 წლებს შორის თავის ვეზირადაც დანიშნა (ა. ტუღუში, 1997, გვ. 164). გვარსახელი **წულუკიძე** მეგრულად გამოითქმის როგორც **წულუკია** (სწორედ პაატა წულუკიათი იხსენიებენ მას იმჟამად სამეგრელოში მოღვაწე იტალიელი კათოლიკე მისიონერები).

ლევან II დადიანის გარდაცვალების (1657 წ.) შემდეგ, წულუკიძეები, როგორც ჩანს დიდი ხანი არ დარჩენილან სამეგრელოში. ეტყობა, მათ მთავრის მიერ ნაბოძები ყმა-მამულები გაყიდეს და კვლავ რაჭაში დაბრუნდნენ. პაატა წულუკიძის შვილი მერაბი 1683 წელს უკვე რაჭაში, სოფელ ხოტევში ეკლესიას აშენებს, რაც იმაზე უთითებს, რომ ის უკვე კვლავ მშობლიურ კუთხეშია დამკვიდრებული. მაშასადამე წულუკიძეების მიერ ოდიშიდან კვლავ

რაჭაში დაბრუნება XVII საუკუნის შუა ხანებშია მომხდარი და ტოპონიმ ნაწულუკუს წარმოშობა ამავე ხანებშია საგულვებელი, რადგან **ნაწულუკუ** მეგრულად წულუკიას (წულუკიძის) ნაქონს, წულუკიას ნამკვიდრალს ნიშნავს.

ტოპონიმ **ნაწულუკუს** პაატა წულუკიძის სახელს უკავშირებდნენ სარგის კაკაბაძე, აკაკი შანიძე და ოლღა სოსელია (ს. კაკაბაძე, 1958, გვ. 7; ა. შანიძე, 1972, გვ. 155-156; ო. სოსელია, 1981, გვ. 50).

ოფაჩხაფუ სოფლის სახელია. ასე ერქვა ერთ ნაწილს თემისა, რომელიც დღეს ახალსოფლის სახელს ატარებს. თუ რომელი ნაწილი იყო ოფაჩხაფუ ამ თემისა, კარგად ჩანს 1870 წელს შედგენილი მთავრის ნაყმევ გლეხთა სიიდან, სადაც ზუგდიდის თემის სოფელ ოფაჩხაფუს მკვიდრ გლეხებად ჩაწერილია 22 კომლი ჯაბუა, 11 კომლი ღუბელაძე, 5 კომლი მოსია, 6 კომლი შეროზია, 4 კომლი კილასონია, 2 კომლი ალიავა (სვიმოია და უტუია ალიავები) და ერთი კომლი ქარდავა (ზუგდიდის მუზეუმი, საკანც. არქივი, №3315, ფურც. 62).

ძველ სამეგრელოში, ისევე როგორც მთელს დანარჩენ საქართველოში მთავარი და დიდი თავადები აწყობდნენ კოლექტიურ ნადირობას, სადაც მათი ყმები ტყიდან ნადირს ერეკებოდნენ ხმაურითა და ჟრიამულით. ხმაურს კი საგანგებო ერთმანეთს მიკრული ყავრის ტკაჩუნით იწვევდნენ.

(ოფაჩხაფუზე იხ. აგრეთვე ზუგდიდის მუზეუმი, საკანც. არქივი, №3853)

სარალობეგი. 1779 წლის მიწურულს გამართული რუხის ბრძოლა დავით ნოღელის ცნობით გამართულა სარალობეგის ველზე (დ. ნოღელი, რუხის ომი, გვ. 178). სარალობეგს გრიგოლ დადიანი საბრალო ბეგს უწოდებს, მაგრამ ეს ხსენებული ტოპონიმის მნიშვნელობის ახსნის მისეული ცდა ჩანს და მას უკავშირებს მეგრულ სიტყვას **სარალო**, რომელიც ქართული **საბრალოს** ფონეტიკური ვარიანტია. ცხადია **სარალობეგის** ამგვარი ახსნა არასწორია, ის ფოლკლორული ეტიმოლოგიებისათვის დამახასიათებელი გულუბრყვილობითაა დაღდასმული. **სარალო** აფხაზებში გავრცელებულ საკუთარ სახელ **სარალუფუს** მეგრულისათვის დამახასიათებელი

ბოლომოკვეცილი სახე ჩანს (რაზეც უთითებს მასზე დართული თურქული სიტყვა **ბეგი**).

კალისტრატე სამუშიას მიერ ალექსანდრე შოშიას ძე ჟვანიასაგან ჩაწერილი გადმოცემით, დღევანდელ ენგურქალალდკომბინატსა და სატყეო მეურნეობას შორის მდებარე პატარა ბორცვზე, რომელიც ქვის გალავნით იყო შემოზღუდული, დაკრძალული ყოფილა თურქი სარდალი სარალობეგი და ამიტომ ერქვა ამ ადგილს მისი სახელი.

უჩაშონა ზუგდიდის მახლობელი, თითქმის მისი მომიჯნავე სოფელია. არსებობს ამ სოფლის სახელწოდების მცდარი ფოლკლორული ახსნა, რომლის მიხედვითაც **უჩაშონა** ვითომ ოდესღაც აქ მოსახლე შავი სვანების (მეგრულად **უჩა შონეფის**) სახელს უკავშირდება და შავ სვანეთს, შავ სვანებს ნიშნავს. ეს გახლავთ ზემოთ ნახსენები თვითდაჯერებული, არხეინი ფოლკლორული ეტიმოლოგიზირების ნიმუში, რომელსაც სამწუხაროდ იზიარებებდნენ მკვლევრები გივი ელიავა და თეიმურაზ მიბჩუანი (გ. ელიავა, 1977, გვ. 145, 152; გ. ელიავა, 1989, გვ. 100, 125; თ. მიბჩუანი, 1984, გვ. 275). არადა **უჩაშონა** და აღნაგობით მისი მსგავსი ზანური ტოპონიმების მნიშვნელობის დადგენა ამ ქართველური ენის ფონეტიკურ თვისებებსა და კანონზომიერებებში მეტნაკლებად გარკვეული კაცისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ზანურ ტოპონიმიაში გამოიყოფა **ონ** ფორმანტიანი გეოგრაფიული სახელების (უმეტესწილად მიკროტოპონიმთა) დიდი ჯგუფი. ბოლოსართი ონ კრებითობის მაწარმოებელია ზანურში (მეგრულ-ჭანურ – პროტოაფხაზურში). მიჩნეულია და სავსებით მართებულად, რომ ეს სუფიქსი თავისი დანიშნულებით ქართულ იან, ან, იერ, ოსან სუფიქსებს შეესაბამება. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სუფიქსებისა ის შეესაბამება (და შეიძლება უფრო მეტადაც) ქართულ -ნარ სუფიქსსაც.

კრებითობის **ონ** მაწარმოებელს თავის მხრივ დაერთვის **ი** და **ა** ხმოვნები. ბოლოკიდური ხმოვნების ამგვარი მონაცვლეობა არც ქართული ტოპონიმებისათვისაა უცხო (წილნარი – წილნარა, თხილნარი – თხილნარა...).

-ონ სუფიქსიანი ტოპონიმების უმრავლესობა მცენარეთა სახ-

ელს უკავშირდება (**ატამონა, ბერწულონა, გვიმარონი, ბზაკალონი, ლანჯონა** და ა. შ.). **უჩაშონაც** მცენარის, კერძოდ ვაზის ერთ-ერთი მეგრული ჯიშის – **უჩაში**-ს სახელს შეიცავს და **უჩაშნარს** ნიშნავს, ისევე როგორც ტოპონიმი **პანეშონა, კოლოშონა, ჩეშონა** შეიცავენ ვაზის მეგრული ჯიშების სახელებს – **პანეში, კოლოში, ჩეში** (ამ უკანასკნელს ჩეჭიფესაც ეძახიან). **შამგონაც** ამ ტიპის ტოპონომია.

შამგონა კუნძულზე მდებარე ერთადერთი სოფელია საქართველოში. კუნძულს ირგვლივ მდინარე ენგური აკრავს. ამ სოფლის სახელი დოკუმენტებში გვხვდება როგორც **შამგონას**, ასევე **შანგონა || შანგვანას** სახით. მაგალითად გენერალ გოგენბახის ერთ მიმართვაში სოფელ **შანგვანაში** (შამგონა აქ ოდესღაც გავრცელებული შამგუს ჯიშის ვაზის სახელიდან მომდინარეობს) ცხოვრობდა აზნაურთა 5 კომლი, მათი ყმების 20 კომლი და მთავრის ყმა გლეხების 4 კომლი (საისტორიო არქივი, ფონდი 4, საქმე 384, ფურც. 52). ამ სოფლის სახელის ადრეული სახე უნდა ყოფილიყო **შაგვანა**, რადგან **შანგონა || შანგვანაში**, რომელიც შუალედური ფორმა ჩანს ამ სახელისა, **ნ** აშკარად განვითარებულია. მეგრულს ხომ ესოდენ ახასიათებს ხშულმსკდომთა და განსაკუთრებით **გ**-ს წინ **ნ**-ს განვითარება (სერგი ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის გრამატიკა, თბ. 1953, გვ. 91). მეგრულისათვის ასევე ჩვეულებრივი მოვლენაა **ნ** და **მ** ბგერების მონაცვლეობა. ამდენად **შანგვანა**-დან ადვილად შეგვეძლო მიგვეღო **შამგონა**. რაც შეეხება დოკუმენტებში დადასტურებულ **შანგვანა || შანგონა** ფორმებს, ისინიც კანონზომიერი **ვაო** ფონეტიკური პროცესით უნდა აიხსნას. **შაგვუ || შანგვუ** ვაზის ერთ-ერთი მეგრული ჯიშის სახელია. ბოლოსართი **ონ** კი კრებითობის მაწარმოებელია მეგრულში. ამიტომ შანგვანა || შანგონა ნიშნავს ადგილს, სადაც **შაგვუ || შანგვუ** ჯიშის ვაზის ზვრებია.

ჯოლეჯიანი. დღეს ინგირად წოდებული სოფლის ძველი სახელი **ჯოლეჯიანი** ფოლკლორული ეტიმოლოგიით უკავშირდება ძაღლისა და ღორის აღმნიშვნელ მეგრულ სიტყვებს, **ჯოლორი** და **ღეჯი**. თითქოს ეს სახელი სოფელს უნდა დარქმეოდა იმის გამო, რომ იქ ბევრი ძაღლი და ღორი იყო. სახელწოდების ამგვარი ახ-

სნა მცდარია. ჯოლეჯიანის ფონეტიკურ ნიადაგზე სახეშეცვლილი ჯოლედიანი ჩანს. ჯოლედიანი მამაკაცის სახელი იყო ძველ საქართველოში. იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის ერთ აღაპში, რომელიც XII-XIV საუკუნეებით თარიღდება, მოხსენიებულია ჯოლედიან ინასარიძე (ე. თაყაიშვილი, 1937, გვ. 41; ე. მეტრეველი, 1962, გვ. 95).

ონის საჯანიკარის ეკლესიის მთავარანგელოზის ხატის წარწერა კი იხსენიებს „ორთა ძმათა სოსაგისძესა ჯოლედიანსა და დარდანს“ (მ. ნიკოლეიშვილი, 1978, გვ. 79).

პირსახელი ჯოლედიანი, როგორც ერთი დოკუმენტიდან ჩანს, გვარსახელადაც გადაქცეულა. მკვლევართა მიერ შენიშნულია, რომ მეგრულ ტოპონიმში წარმომავლობის მაწარმოებელი ურ სუფიქსი ხშირად ამა თუ იმ ადგილის ვიღაცის ყოფილ საკუთრებაზე მიუთითებს და ასრულებს ამავე ფუნქციას, რასაც ნა- პრეფიქსი ნაწულუკუს, ნაგვაზაოს, ნაცატუს ტიპის ტოპონიმებში. მაგალითად, ტოპონიმები: გაგური, გვაზური, ეჯიბური, მონიური, ჟვანური, ფაღური, ჩაჩოური, ჩემური, ჭითანური, ჯაკონური, ჯანაშური ნიშნავს შესაბამისად გაგუას, გვაზავას, ეჯიბიას, მონიავას, ჟვანიას, ფაღავას, ჩაჩავას, ჩემიას, ჭითანავას, ჯაკონიას და ჯანაშიას ნამკვიდრალს (პ. ცხადია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, თბ. 1985, გვ-81; ლ. გოგოხია, წარმომავლობის სახელები ზანურში, კრ. „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, VI. თბ. 1996. გვ. 56). ამიტომ გურიის სოფელ ბზვანაში 1888 წელს დადასტურებულ ტოპონიმში ჯოღადიონოური, უეჭველად იგულისხმება ან უკვე გამქრალი საგვარეულო სახელი **ჯოღადიანი** (მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (XIX ს. –XX ს. ასაწყისი, თბ. 1989, გვ. 149).

მეგრულისათვის დამახასიათებელი ისეთი ფონეტიკური მოვლენის გამოისობით, როგორიცაა აფრიკატიზაცია, ბოლოკიდური ბგერა **დ** გადადის **ჯ**-ში (ა. შანიძე, 1960, გვ. 233), **ჯოლედიანი** დროთა განმავლობაში იქცა **ჯოლეჯიანად**. ამრიგად ტოპონიმ **ჯოლეჯიანის** ფოლკლორული ეტიმოლოგია, რომელიც მას ძალისა და ღორის აღმნიშვნელ მეგრულ სიტყვებს უკავშირებს,

მცდარია. სინამდვილეში ის წარმოადგენს პირსახელ ჯოლედიანის ფონეტიკურ სახეცვლილებას.

ჯუმი ზუგდიდის მომიჯნავე სოფლის სახელია. ისიც გატოპონიმებული პირსახელი უნდა იყოს. პირსახელი **ჯუმი** რომ კოლხურ ონომასტიკონში უძველესი დროიდან არსებობდა, კარგად ჩანს ნაგვარალი (ნაგენონიმარი) ანთროპონიმ ჯუმბერის არსებობით. ცნობილია, რომ ბერე ლაზური სიტყვაა და ნიშნავს ძეს, ვაჟიშვილს. ამიტომ ისეთ გვარსახელებში, როგორიცაა გოგიბერიძე, კილაბერიძე, ჩაკაბერია, სულაბერიძე, კახაბერიძე, და სხვა მკვლევრები სავსებით მართებულად გამოყოფენ ორ საგვაროვნო ფორმანტს (ლაზურ ბერე || ბერი-ს და ქართულ -ძე-ს).

* * *

ზუგდიდისა და მისი მიდამოების არაერთი ტოპონიმი უკვე დავიწყებას მიეცა, მაგრამ მათ შესახებ ცნობები დოკუმენტებშია დაცული. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე მათგნის სრული ტექსტის ან ნაწყვეტის აქ დამოწმება.

იოსებ მიქაბერიძის მოხსენებაში ნიკო დგებუაძისადმი ნათქვამია: „მომხთარს შორის მთავრის სახლისა და მცხოვრებთა სოფლის ცაიშის მიწაზედ საჩივრისა განსრულსა ჩყ ბ-სა წელსა მე შევედი ამ საქმის განრჩევაშიდ და აღმოჩნდა, რომელ განსვენებულთა მთავართა მენგრელიისათა კნიაზთ ლევან და... დავით დადიანებთა დასდვეს საზღვრად ადგილებთა შორის ცაიშის მცხოვრებთა და მთავრის სახლსა შემდგომი: იწყების რა მდინარის ჩხოუშიდან, სადაცა არის გასასვლელი წოდებული **მიქელის ნაჭოფარად** პირდაპირი გზით წოდებული **სამენჯო** შარათ დიდი გზა **იოსიკას ნაურშალამდის**, სადაცა სდგას დიდი მუხა, ჯვარის სახიანი, რომელიცა გაკეთებულია ბრძანებისამებრ... მთავრის დავითისა. იქიდან გავა პირდაპირ დიდი ხეთის გზამდის. ერთის მხრით ამა საზღვრისა მდებარეობს მიწა ცაიშის მცხოვრებთა,

მეორეს მხრით მიწა მთავრის სახლისა" (ზუგდიდის მუზეუმი, საკანც. არქივი, №796).

ამ დოკუმენტში მოხსენიებული ტოპონიმები ცაიშ-ჭითანყარის საზღვარზე მდებარე ადგილებს უნდა რქმეოდა.

1869 წლის ერთ დოკუმენტში იხსენიება „აბასთუმნის შემავალი ჯახილაური", სადაც თურმე 100 ქცევა მიწას 42 კომლი სარგებლობდა (ზუგდიდის მუზეუმი, საკანც. არქივი, 351).

1. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ.1977.

2. ა. ტულუში, ა. თორდია, ერთი სოფლის ლოკალიზაციისათვის გაზ. „ოდიში", 1991 წ. №98.

3. აბ. ტულუში, 2003. №1 – აბ. ტულუში, სოფელი, რომელსაც სახელი დაკარგვია (ბოლშევიკების მიერ ოქტომბრად გადარქმეული სოფლის სახელის შესახებ), გაზ. „რინა", 2003 წ. №1.

4. ა. არნანია, ვ. შონია, 1999 – ა. არნანია, ვ. შონია, დარჩელი (ნარკვევები სოფლის ისტორიიდან), თბ. 1999.

5. გ. ელიავა,1977 – გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ. 1977.

6. გ. ელიავა, 1989 – გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ. 1989.

7. ე. თაყაიშვილი, 1937 – ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937.

8. ს. კაკაბაძე, 1958 – ს. კაკაბაძე, ისტორიულ პირთა სურათები ჯვრის მონასტრის კედლის მხატვრობიდან, ჟ. „საბჭოთა ხელოვნება", 1958 წ. №8.

9. თ. მიბჩუანი, 1984 – თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ. 1984.

10. მ. ნიკოლეიშვილი,1978 – მ. ნიკოლეიშვილი... მასალები [ქუთაისის მუზეუმისა], ტ. III, თბ. 1978.

11. ო. სოსელია, 1981 – ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, წ. II , თბ. 1981.

12. ა. შანიძე, 1972 – ჟ. „მაცნე“, (ენისა და ლიტერატურის სერია), 1972 წ. №3.

13. ა. შანიძე, 1960 – აკ. შანიძე, ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1960, №2.

14. ა. ტულუში, 1997 – აბესალომ ტულუში, ოდიშის სამთავროს ვეზირი პაატა წულუკიძე, ჟ. „მაფშალია“, 1997, №2.

15. ა. ტულუში, 2001 – აბესალომ ტულუში, ცაიშის საეპისკოპოსო, ზუგდ. 2001, გვ. 12.

16. გრ. ჭედია, 2003-2004 – გრ. ჭედია, მოსაზრებები დარჩელის ტოპონიმის შესახებ, ჟ. „დარჩელი“, 2003-2004, №1-2, გვ. 192-193).

ზუგდიდის ერგონიმია

ანაკლიის ქუჩა – დღევანდელი რუსთაველის ქუჩის ხიდს გაღმა ნაწილი მდინარე ჩხოუშიის მარჯვენა სანაპიროდან.

აბასთუმნის ქუჩა – როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, XX საუკ. 20-იანი წლების დამდეგს ერქვა ყოფილი მახარაძისა და დღევანდელი თავისუფლების ქუჩას. ამაზე მეტყველებს ის, რომ იმ დროს იქ სახლობდნენ ბესა არქანია და ფარნა ავალიშვილი.

ალექსანდრეს ქუჩა (Александров улица) – როგორც ირკვევა, ერქვა დღევანდელ გამსახურდიას (ყოფილ ლენინის) ქუჩას (დოკუმენტების მიხედვით ამ ქუჩაზე მცხოვრებლები ჩანან XX საუკ. 20-იანი წლების დამდეგს ნიკოლოზ (კოლია) ბუკია, ევგენი ძაძამია, მამია ანჯაფარიძე, ვარლამ გობეჩია, მიხა გვასალია, მიხა გოგია, მიხა გუგუშვილი, კოტატი გერგედავა, გიორგი გადელია, მაქსიმე გელენიძე, დომე გაგუა, ბესა გვასალია, დავით ივანეს ძე დარჯანია, ვანო დარჯანია, აკაკი დარასელია, მალაქია ეჯიბია, ათანასა ესებუა, ადითო დავითაია, ვაჭარი ალექსი თოდუა, თეოფანე თოფურია, ადვოკატი გახუ კანკია, ალექსანდრე ასლანბეის ძე კეიდია, გერონტი მილორავა და სხვები.

ეკლესიის მოედანზე ცხოვრობდა ანდრია სამსონის ძე ჩიქოვანი. XX საუკ. 20-იანი წლების დამდეგს ეკლესიის ქუჩაზე ცხოვრობდა ვასილ ბოჭორიშვილი.

კორცხელის ქუჩა – ერქვა ქუჩას, სადაც ცხოვრობდნენ გუდუ ანთელავა, კოსტა ანთელავა, ისიდორე არუსია.

ლეშედანე – ადგილი ზუგდიდში (არსებობდა ლეშედანეს სასაფლაო, რომელიც რკინიგზის სასაფლაო უნდა იყოს).

მანცხვარკარის ქუჩა – დღევანდელი ნინოშვილის ქუჩა. XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს აქ ცხოვრობდნენ ილიკო ანთელავა, ძაკუია აფაქიძე.

ნათუთუმუ – ადგილი ზუგდიდში, დღევანდელი ჯვარიშ გინართაფუ.

ოფუცხოლი – ღელე. მდ. ჩხოუშის მარცხენა შენაკადი. უერთდება მას ნაწულუკუსა და ლედგებიეს საზღვარზე.

სასაკლაოს ქუჩა ერქვა ქუჩას, სადაც XX საუკ. 20-იანი წლების დამდეგს ცხოვრობდნენ ბიჩო და ერასტო აბულაძეები.

სასტუმრო „ბათუმი" – ზუგდიდში 1877 წელს იყო, მაგრამ სად, დასადგენია (ი. ბექირიშვილი, სასტუმრო „ბათუმი" ზუგდიდში, გაზ. „მებრძოლი", 1977 წ. 10. IX).

სენაკის ქუჩა დღევანდელ აღმაშენებლის ქუჩას ერქვა. ამ ქუჩაზე ცხოვრობდნენ XX საუკ. 20-იანი წლების დამდეგს თადა აშორდიას ქვრივი სტეფანე ანასტასიადი, გიორგი ანთელავა, ვატა და ბახვა ბარამიები.

სოხუმის ქუჩაზე XX საუკ. 20-იანი წლების დამდეგს ცხოვრობდნენ ჭიჭიკო ასათიანი, ექვთიმე და ლადი აფხაზავები.

ხიბულას ქუჩა – დღევანდელი ტელმანის ქუჩა, აქ ცხოვრობდა მიხა აშორდია.

ყულიშკარის ქუჩა, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, XX საუკ. 20-იანი წლების დამდეგს ერქვა დღევანდელ ლ. ბერიას (ყოფ. გაგარინის) ქუჩას. ამ ქუჩაზე ცხოვრობდნენ ევგენი, სანდრო და აკაკი ადამიები, ბეგი და პავლე აკობიები, კოტე ანჯაფარიძე.

ჩხოუშის მოედანი ერქვა ზუგდიდში იმ ადგილს, სადაც XX საუკ. 20-იანი წლების დამდეგს ცხოვრობდნენ ბეგო გუნავა, სტეფა ადამია.

ჩხოუშის ქუჩა – ამ ქუჩაზე ცხოვრობდა პეტრე ბასილაია.

წმინდა ნიკოლოზის ეკლესია – იდგა ვაჟთა გიმნაზიის (დღევანდელი I საშ. სკოლა) გვერდით, სენაკის ქუჩაზე.

ჭულეთი – ადგილი (IX საშ. სკოლის მიდამოები).

ზუგდიდის მაზრის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა დროთა განმავლობაში იცვლებოდა. 1902 წელს გამოცემულ „ამიერკავკასიის მხარის სტატისტიკურ მონაცემთა კრებულში" 276-277 გვერდებს შორის ჩართულია ქუთაისის გუბერნიის ეთნოგრაფიული რუკა, სადაც ნაჩვენებია როგორც მაზრების, ასევე მასში შემავალი თემების (სასოფლო საზოგადოებების) საზღვრებიც ამ თემების ადმინისტრაციული ცენტრების აღნიშვნით. 1900 წლის მონაცემებით ზუგდიდის მაზრაში 37 ადმინისტრაციული ერთეული იყო. დღევანდელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საზღვრებში აბასთუმნის, განარჯიაშ მუხურის, დარჩელის, დიდინეძის, კახათის, კოკის, კორცხელის, ნიკოსიის, ზუგდიდის, ყულიშკარის, ცაიშის, ჭკადუაშისა და ჭაქვინჯის თემები შედიოდა (სასოფლო საზოგადოებები) (Сборник статистических сведении по Закавказскому краю, ч. I, Тифл. 1902, стр. 270).

საქართველოს ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, რომელიც 1929 წელს განხორციელდა, ზუგდიდის მაზ-

რაში შედიოდა 18 თემი (სასოფლო საბჭო). კერძოდ – **აბასთუმნისა** (რომელშიც შედიოდა სოფლები: აბასთუმანი და ხეცერა), **ანაკლიისა** (სოფლები – ანაკლია, განარჯიაშ მუხური, ჭითაწყარი), დარჩელის (სოფლები – ბუკონა, კუნოში, წყურგილე), დიდინეძისა (სოფლები – დიდინეძი, დღვაბა-ნაკალევი, დიხაგუძუბა, ლუღიშ მუხური, დიდნეძიშ კახათი), ზუგდიდისა (სოფლები – ზუგდიდი, ლედგებიე, ლეშედანე, ოფაჩხაფუ, საჭურლულიო, უჩაშონა, ჩხოუში, ჭითაწყარი, ჯუმი), კახათისა (სოფლები – კახათი, შამგონა), კოკისა (სოფლები – დიდი კოკი, ჭიჭე კოკი, მანჩაშ კახათი, ორსანტია, ოტობაია), კორცხელისა (სოფლები – კორცხელი, ბაში, ჟინ ენერი, ლედგებიე, ლეჭითანე, ნაცატუ, ჭკადუაში), ნარაზენისა (ამ თემს მხოლოდ სოფელი ნარაზენი წარმოადგენდა), ნიკოსიის (სოფლები – ნიკოსია, ნაწულუკუ, რუხი), ორულ-ერგეტასი (სოფლები – ერგეტა, მოგირ-ნაკალევი, ორულუ, წექე-ნაჭკადუ), ცაიშ-კახათისა (სოფლები – დავითიანი, თარგამული, მარაშ მუხური), ტყაია-ბეჟაშღალისა (სოფლები – ბეჟაშღალუ, მახარია, რეყე, ტყაია), ყულიშკარისა (სოფლები – ალერტკარი, უჩაშონის ნაწილი, ყულიშკარი), ცაიშისა (სოფლები – ცაიში, ურთა, ცაცხვი), ჭაქვინჯისა, და ჯიხაშკარისა. ქალაქ ზუგდიდში შედიოდა საკუთრივ ქალაქი და სოფლები ოირემე, ჭითანყარი, ჯოლეჯიანი (საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფილისი, 1930, გვ. 121-123).

